PRIME Time

N36 (337) ორშაბათი, 14 სექტემბერი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

exclusive





მალაიზიის ცისხეში

ნარკოტიკებისთვის დაკავებული ქართველი ქალები შეიწყალეს

რას ყვებიან პატიმრები და როგორი პირობები აქვთ

ტენორის პოლიტსკანდალები დაიწყო

სტვენა ტაშის ნაცვლად

ყოფილი მაღალჩინოსნები ნარკობიზნესში

ნარკოტიკების გადამამუშავებელი ლაბორატორია

SCANDAL

საქართველოში ახალი ნარკოტრაფიკი გაიშიფრა

სრულიად კონფიდენციალური!!!

exclusive

„არ მაქვს უფლება, გავცე ინფორმაცია“

აშშ-ს მოქალაქე საქართველოს პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს

bazarr

ვინ ევაჭრება ბურჯანაძეს მილიონზე

bazarr

ნაციონალები ოფისს 3 მილიონად ყიდიან

bazarr

ახალი კომპრომატი სააკაშვილის საყვარლებზე

სკანდალური ექსკლუზივი

ანტისანიტარია საავადმყოფოებში

- რესპუბლიკური
- ონკოლოგიური
- ინფექციური

exclusive

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

„სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ამბულატორიული კლინიკების ქსელი ახლა საბურთალოსა და გლდანში!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რესპუბლიკელები ისევ იმუქრებიან

კოალიციაში არიან ჯგუფები, რომლებსაც სასიცოცხლო შეუთავსებლობა აქვთ რესპუბლიკელების მიმართ. ალასანიას კოალიციიდან გასვლის შემდეგ, მიაჩნიათ, რომ ისინი მხრებშიც გასწორდნენ, ტონსაც აუწიეს და პრეტენზიებიც არაადეკვატური გაუჩნდათ.

მათი მტკიცებით, ჯერ ხომ თავი მოიკლეს, სანამ ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად არ დანიშნეს, მერე სუს-ის უფროსის კვოტა მოსთხოვეს, მოგვიანებით პრემიერის პორტფელი და ახლა დაჟინებით ითხოვენ თურმე: საგარეჯოს თუ წავაგებთ, იცოდეთ კოალიციიდან გავალთ, ყველა რესურსი გამოიყენეთ ჩვენ გასამარჯვებლადო.

რესპუბლიკელები პირად საუბრებში ასეთ ხმებს ჭორებს უწოდებენ. მათი თქმით, ბევრს მათი ინტელექტი და განათლებულობა, ასევე ორგანიზებულობა და პროდასავლური ღირებულებები აღიზიანებთ.

პუტინს მიშას ქალების შურს...

პუტინი ბერლუსკონისთან მეგობრობს, მას საჩუქრად ძვირადღირებულ საძინებელსაც უგზავნის. სოცქსელებში გავრცელებული ფოტოებით თუ ვიმსჯელებთ, ოთხადგილიან საძინებელს. თუმცა, კაგებე მაინც საქართველოს ექსპრეზიდენტის ქალებს დასდევს. ხან ვისზე ატეხს ხმაურს და სკანდალს და ხან ვისზე. ქართველი ქალებიდან, უკრაინელ „ნაშებზე“ გადავიდა, მერე იმათაც „მიაგნო“, ვისზეც იძალადა. ალბათ, ვერაფერმა რომ ვერ გაჭრა, ახლა რუსული მედია განსაკუთრებული ხმაურით აანონსებს: სააკაშვილს ტრანსვესტიტი ჰყავდა და იმან კიდევ ფოტოებიც გადაუღო და სკანდალურ განცხადებებს გააკეთებსო.

ტრანსვესტიტი ვიდეოსაც ავრცელებს. ამის შემდეგ სოცქსელებში განსაკუთრებული არა, მაგრამ ამბავი მაინც ატყდა. ერთ-ერთმა იუზერმა სტალინის ისტორია გაიხსენა: ნამდვილი ამბავია: სტალინს მოახსენეს: გვაქვს ინფორმაცია, რომ მარშალი როკოსოვსკი მსახიობ ვალენტინა სეროვას „იმასუშვება“ და რა ვქნათ, რა მოვიმოქმედოთო?

- რა უნდა მოვიმოქმედოთ... უნდა გვშურდეს! - უპასუხა სტალინმა.

პაატა ბურჭულაძემ

„მაჭავარიანი პირად საუბრებში ბურჭულაძესთან კავშირს არ უარყოფს და იმასაც ადასტურებს, რომ მას ხშირად ხვდება, თუმცა იქვე ამბობს, რომ პოლიტიკურ გეგმებზე საუბარი არ არის“

ვანო მაჭავარიანის გარდა, პაატა ბურჭულაძის პარტნიორად განიხილება იუსტიციის მოქმედი მინისტრი თეა წულუკიანიც, რომელიც დარწმუნებულია, რომ სულ მალე თანამდებობას დაატოვებინებენ

მირიან ბოქოლიშვილი

სად მთავრდება ქველმოქმედება და იწყება დიდი პოლიტიკა? – ეს კითხვა კიდევ ერთხელ გააქტიურდა მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია ცნობილი საოპერო მომღერლის, საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ პრეზიდენტის, პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში შესაძლო მოსვლის შესახებ. ამ ხმებმა კიდევ უფრო გაამყარა საზოგადოების ერთ ნაწილში უკვე ჩამოყალიბებული აზრი იმის შესახებ, რომ უანგარო ქველმოქმედება არ არსებობს და, ადრე თუ გვიან, ქველმოქმედი აუცილებლად მოითხოვს გაწეული სიკეთის საფასურს.

აპირებს თუ არა ცნობილი ბანი, არაერთი ოჯახისთვის გაწეული დახმარება პოლიტიკური დივიდენდების სახით დაიბრუნოს? თავად ბურჭულაძე ამბობს, რომ ამ ეტაპზე პოლიტიკაში მოსვლის საჭიროებას ვერ ხედავს, თუმცა სამომავლოდ ამ შესაძლებლობას არ გამორიცხავს. ბურჭულაძე არ აკონკრეტებს, როდის შეიძლება დადგეს ამ ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობა და აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიათი დაწყებული, მას პოლიტიკაში მოსვლას ყველა ლიდერი სთავაზობდა, მაგრამ ის არ დასთანხმებულა, სამომავლოდ კი შესაძლოა, სხვაგვარად მოიქცეს.

აღსანიშნავია, რომ ბურჭულაძე საქველმოქმედო კამპანიის ფარგლებში აქტიურ შეხვედრებს მართავს საქართველოს რეგიონებში. ექსპერტების ნაწილი დარწმუნებულია, რომ ამით ის რეალურად პოლიტიკურ კამპანიას ეწევა და ცდილობს ამომრჩეველთა განწყობის შესწავლას.



არავისთვისაა უცხო ბურჭულაძის ახლო კავშირები საპატრიარქოსთან და პირადად კათოლიკოს-პატრიარქთან. პოლიტიკაში მოსვლაზე საუბრისას ამბობს კიდეც, რომ ასეთ შემთხვევაში პირველი, რასაც გააკეთებს, იქნება ის, რომ პატრიარქთან მივა და მისგან კურთხევას აიღებს, თუმცა ამბობენ იმასაც, რომ ბურჭულაძის შესახებ სამღვდელოებაშიც არ არის ერთიანი პოზიცია. ამის დასტურია საპატრიარქოს სახელით გავრცელებული ბოლო განცხადებაც, რომელიც ღვთისმშობლის კვართის შესახებ ბურჭულაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა:

„ბატონ პაატა ბურჭულაძის მიერ ზუგდიდელებთან ახლახან გაკეთებულმა შეთავაზებამ ზუგდიდის მუზეუმში დაცული ღვთისმშობლის კვართის თბილისში, მახათას მთაზე მშენებარე ტაძარში, ა.წ. 21 სექტემბერს ჩამობრძანების შესახებ, ამ სიწმინდესთან მიმართებაში არსებული ისედაც დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა, რადგან საზოგადოების ნაწილმა ეს ნათქვამი საქართველოს საპატრიარქოსთან დააკავშირა.

ვაცხადებთ, რომ ბატონ პაატა ბურჭულაძის მიერ გახმოვანებული ზემოაღნიშნული აზრი არის მისი იდეა. ასეთ თემებზე კი ეკლესიასთან შეუთანხმებლად მსჯელობა დაუშვებლად და მიუღებლად მიგვაჩნია“, – განაცხადეს საპატრიარქოში, რითაც სამღვდელოება პრაქტიკულად გაემიჯნა საოპერო მომღერალს.

ვინ იქნება ბურჭულაძის პოლიტიკური პარტნიორი? კულუარებში ამბობენ, რომ ის ამ თემაზე რამდენიმე ცნობილ სახეს ესაუბრება, მათ შორის არიან ხელოვნების წარმომადგენლები, სამოქალაქო აქტივისტები და პოლიტიკური ფიგურებიც. ჩვენი ინფორმაციით, საოპერო მომღერალს საკმაოდ ახლო ურთიერთობა აქვს პრეზიდენტის ყოფილ მრჩეველთან, ვანო მაჭავარიანთან. თავად მაჭავარიანი პირად საუბრებში ბურჭულაძესთან კავშირს არ უარყოფს და იმასაც ადასტურებს, რომ მას ხშირად ხვდება, თუმცა იქვე ამბობს, რომ პოლიტიკურ გეგმებზე საუბარი არ არის.

მაჭავარიანის გარდა, პაატა ბურჭულაძის პარტნიორად განიხილება იუსტიციის მოქმედი მინისტრი თეა წულუკიანიც, რომელიც დარწმუნებული ყოფილა, რომ სულ მალე თანამდებობას დაატოვებინებენ და სტრასბურგში საქართველოს წარმომადგენლად დანიშვნაზეც უარს ეტყვიან. როგორც ჩვენი წყარო გვიყვება, საახლობლო წრეში წულუკიანი მომავალ პარტნიორად სწორედ პაატა ბურჭულაძეს განიხილავს.

საოპერო მომღერლისადმი სიმპათიებს ვერ მალავს მწერალი და სამოქალაქო აქტივისტი ირაკლი კაკაბაძეც, რომელიც ბურჭულაძის პოლიტიკურ გააქტიურებას სოციალურ ქსელში ეხმაურება და წერს: „ქართულ პოლიტიკას ახლა საერთაშორისო მასშტაბის შემოქმედი ადამიანი სჭირდება, რომელიც,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დამოუკიდებელი თამაში ნამოინყო

სოსო ცისკარიშვილი: „პოლიტიკაში ჩართვის შემთხვევაში მას, ტაშის ნაცვლად, დახვდება სტვენა და ცილისწამება... ამიტომ ვურჩევ, საკუთარი პენსიონერული დრო გამოიყენოს კუს ტბაზე, ან ვაკის პარკში“



საოპერო მომღერლისადმი სიმპათიებს ვერ მალავს მწერალი და სამოქალაქო აქტივისტი ირაკლი კაკაბაძეც, რომელიც ბურჭულაძის პოლიტიკურ გააქტიურებას სოციალურ ქსელში ეხმაურება

ვინ იქნება მისი პოლიტიკური პარტნიორი და რატომ გაემიჯნა საპატრიარქო?



სხვებთან ერთად, შექმნის ჩვენს მრავალხმიან მომავალს, რომელსაც ეყოფა გამბედაობა ახალი ხედვისთვის და რომელიც დაშტამპულ პოსტმოდერნულ დოგმებსა და სტერეოტიპებში არ მოექცევა“.

კაკაბაძე გასაგებია, თუმცა რა მსოფლმხედველობითი საერთო შეიძლება ჰქონდეთ პაატა ბურჭულაძეს, ვანო მაჭავარიანს, ან თეა წულუკიანს, ბევრისთვის გაუგებარი დარჩება. თუმცა ქართული პოლიტიკა ხომ მუდამ გაუგებრობებით, მოულოდნელობებითა და წინააღმდეგობებით არის სავსე. ასე რომ, შესაძლოა, არც აღმოჩნდეს გასაკვირი, თუ „რუსულ ბანად“ წოდებულ (როგორც თავად ამბობს და ამაყობს კიდეც. – ავტ.) პაატა ბურჭულაძის გვერდით პროდასავლური იმიჯის მქონე პოლიტიკოსებიც ვიხილოთ.

სოციალურ ქსელებში კი ბურჭულაძის შესაძლო პოლიტიკოსობას არცთუ ისე პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა. მაგალითად, ფორუმის მომხმარებლები საოპერო მომღერლის რუსულ კავშირებზე მიუთითებენ და წერენ, რომ „ბურჭულაძის პოლიტიკაში მოსვლა ნიშნავს ქვეყნის რეგრესსა და ღია ანექსიას“.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდეც იყო საუბარი პაატა ბურჭულაძის კანდიდატურის დაყენების შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, პაატა ბურჭულაძესთან საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის საკითხზე მოლაპარაკებას ჯონდი ბაღათურია აწარმოებდა.

ხელოვანს პოლიტიკაში მარცხს უწინასწარმეტყველებენ ექსპერტებიც. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი ამბობს, რომ ამ ნაბიჯით პაატა ბურჭულაძე მისადმი საზოგადოების კეთილგანწყობას საბოლოოდ დაასამარებს.

სოსო ცისკარიშვილი, ექსპერტი:

– ჩემი უკანასკნელი შეხვედრა ბატონ პაატასთან შედგა ორიოდე წლის წინათ. მაშინაც აქტიურად განიხილებოდა თემა მისი პოლიტიკაში შემობრძანების შესახებ. ბურჭულაძეს ეს თემა სასაცილოდაც არ ეყო. არ ვიცი, რა შეიცვალა ახლა. ერთი რამ ცხადია: პოლიტიკაში ჩართვის შემთხვევაში მას ტაშის ნაცვლად დახვდება სტვენა და ცილისწამება. ხელოვანის ნატურა ამას ვერ გაუძლებს. მას მოენატრება თავისი პროფესია და შეიძლება, დაზარალდეს კიდეც.

– ამის მიუხედავად, ფაქტია, რომ ის თავადვე არ გამორიცხავს პოლიტიკაში მოსვლის შესაძლებლობას....

– მე მხოლოდ შემიძლია, თანაგრძნობა გამოვუცხადო პაატას. მას არასდროს დაბნევია გზა საკუთარ კარიერაში. ვფიქრობ, საქართველო უფრო მეტს დაკარგავს მისი პოლიტიკაში მოსვლით, ვიდრე მოიგებს, რადგან ქვეყანას აღარ ეყოლება უნიკალური ხელოვანი, რომელიც, ასევე, მოტივირებული და წარმატებულია საქველმოქმედო სფეროში. არც ისეთი ასაკის გახლავთ, რომ სიმღერა მისთვის წარსულში გადავიდეს.

– გამოცდილებამ აჩვენა, რომ გზა ქველმოქმედებიდან პოლიტიკამდე არცთუ ისე შორია...

– დიახ, ასეა. თუ პაატაც ამავე გზას დაადგა და აღარ აპირებს სცენაზე გასვლას, არა მგონია, ეს გონივრული გადაწყვეტილება იყოს, თუმცა გასართობად შეუძლია პოლიტიკითაც დაკავდეს, რადგან ქართულ პოლიტიკაში გასართობი ნამდვილად ბევრია, თუმცა შედეგია ნაკლებად სასიამოვნო. მე მაინც ვურჩევ, რომ საკუთარი პენსიონერული დრო გამოიყენოს კუს ტბაზე, ან ვაკის პარკში. მე, უბრალოდ, მის ჯანმრთელობას ვუფრთხილდები.

– ბოლო ხანს ბურჭულაძე აქტიურად ხვდება რეგიონების მოსახლეობას... ხედავთ რაიმე პოლიტიკურ ქვეტექსტს?

– ჩემი აზრით, ეს არის მისი ავტორიტეტის გამოყენების მცდელობა. ჩვენ ყველა არჩევნების წინ ვაკვირდებით პროცესს, როდესაც ცნობადი სახეები ამა თუ იმ პარტიის მხარდასაჭერად მოედებიან ხოლმე ქვეყანას, არჩევნების შემდეგ კი აღარც პასუხისმგებლობას იღებენ შედეგზე და არც პოლიტიკურ პროცესებზე.

– თუმცა ის არც ერთი პოლიტიკური პარტიის სახელით არ დადის... დამოუკიდებელ პოლიტიკურ თამაშს ხომ არ ჰგავს მისი ქმედებები?

– ეს არის ერთადერთი საშუალება, რომ ქვები არ დააყარონ. რომელიმე პოლიტიკური პარტიის სახელით სიარული იქნება კრახი მისი პოლიტიკური პერსპექტივისთვის. ამჟამად მისი პარტნიორია მთელი საქართველო, თუ მას აღარ ძალუძს, ეს ტვირთი ატაროს და რომელიმე ვიწრო პოლიტიკური ჯგუფის ინტერესების გამომხატველი გახდეს, შეიძლება ხანმოკლე შვება იგრძნოს, მაგრამ რაიმე პოლიტიკური წარმატების პერსპექტივა ასეთ ღირებულ ხელოვანს ნამდვილად არ დაემგზავრება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ფოტორეპორ

ბავშვთა ინფექციური

პაციენტი: „ბავშვი რომ მოგყავს, ასეთ გარემოში ყოფნას ნამდვილად არ ისურვებ“



my View
სალომე ჩადუნელი

2015 წლის 9 მარტიდან, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მონიტორინგის შედეგად, ამოქმედდა პირობა, რომელიც სამედიცინო დაწესებულებას სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვას ავალდებულებს. მიუხედავად ამ რეგულაციისა, პაციენტები ხშირად ჩივიან საავადმყოფოებში არსებული ანტისანიტარიისა და არადამაკმაყოფილებელი პირობების გამო. გაზეთმა „პრაიმტაიმმა“ გადაწყვიტა სამედიცინო დაწესებულებების, როგორც გარე, ისე შიდა სივრცეები დაეთვალიერებინა. მოვინახულეთ ბავშვთა ინფექციურის, რესპუბლიკურისა და ონკოლოგიური საავადმყოფოების ტერიტორიები. სურათი არც ისე სახარბიელოა. დასასუფთავებელი გარემო, ძველმანებით გატენილი გარე და შიდა სივრცეები და არაჰიგიენური საპირფარეშოები წამყვანი პრობლემებია.

პაციენტების უკმაყოფილების მიზეზების შემოწმების მიზნით პირველად ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოს ვესტუმრეთ. ყურადღება ძველმა, გაჭვარტლულმა და დანგრევის პირას მისულმა შენობებმა მიიპყრო. ოთახები, რომლებშიც პაციენტები იმყოფებიან ძალიან პატარაა და ძველი, გადასაყრელად გამზადებული საწოლებით, ქვეშაგებითა და ნივთებითაა სავსე. ვიწრო სივრცეში, რომელშიც ორი ადამიანი, ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლის, უამრავი ბავშვი მოძრაობს, სარდაფები სავსეა გამოუყენებელი და გადასაგდებად გამზადებული ნივთებით. ფანჯრები, რომლებიც საკანს უფრო მოგვაგონებს ფარდის ერთი ნაგლეჯითაა დაფარული. საპირფარეშოების ნახვამ დაგვარწმუნა, რომ მდგომარეობა სავალალოა. უნიტაზს თავსახური არ აქვს, არაა ქაღალდი, თხევადი საპნის ნაცვლად ხელის საპონი გვხვდება, ხოლო კარში დარჩენილ ღრიჭოში ქაღალდის ხელსახოცია გაჩრილი.

ერთ-ერთი პაციენტის მშობლის განცხადებით სიბინძურე საგრძნობი არაა, თუმცა არც ისეთი გარემოა, რომ ბავშვი დააწვინო.

„რა გითხრათ, სიბინძურე არ არის, შენ თავად უნდა მოუარო ოთახს სადაც ხარ, თუმცა ბავშვი რომ მოგყავს, ასეთ გარემოში ყოფნას ნამდვილად არ ისურვებ. მეტ-ნაკლებად დაცულია ჰიგიენა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ სრულიად“.

ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს ექიმ-ეპიდემიოლოგის სოსო ჯაფარიძის განცხადებით:

„ჰიგიენურ-სანიტარული კონტროლი მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ვერანაირად ვერ გააუმჯობესებს, ამას სჭირდება დაფინანსება და კაპიტალ-დაბანდებები, რომ ეს ყველაფერი იყოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი. სამწუხაროდ, ჩვენი მატერიალური ბაზა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ამასთან დაკავშირებით სახსრები გამოგვიყვეს, მიმდინარეობს პროექტების დამუშავება. უახლოეს პერიოდში ეს პრობლემაც მოგვარდება, მაგრამ ამ წუთას სახარბიელო მდგომარეობა არ არის“.

ინფექციურის ლაბორატორიაში შესვლისას ძველი კოლბები და მოწყობილობები დაგვხვდა. საპირფარეშოში აქაც სავალალო მდგომარეობაა. ნანახს არ გვიდასტურებს ეპიდემიოლოგი სოსო ჯაფარიძე და აღნიშნავს, რომ ლაბორატორია 3-4 თვის წინ თანამედროვე აპარატურითა და ანალიზატორებით აღიჭურვა.

„თვითონ სათავსო, სადაც აპარატურაა განლაგებული, მოთხოვნებს ვერ პასუხობს, თუმცა სულ რაღაც ერთ-ორ კვირაში ახალ კორპუსში გადავდივართ, სადაც მაქსიმალურად იქნება ლაბორატორიული პირობები დაცული“, - ამბობს სოსო ჯაფარიძე.

შემდეგი გაჩერება რესპუბლიკური საავადმყოფოა. სამედიცინო დაწესებულების წინა, თანამედროვე შუშის ფასადს დანგრეული და დაბინძურებული უკანა მხარე ცვლის. 12 სართულიანი შენობის უკანა ნაწილში მხოლოდ პირველი სართული ფუნქციონირებს. შენობაში შესულებს უამრავი გადასაყრელი ნივთი გვხვდება: საკაცეები, ლეიბები, მაგიდები, ბალიშები, სკამები, აპარატურა.

რესპუბლიკურის ბნელეთში რამდენიმე განყოფილება ფუნქციონირებს. ესენია: სპორტული მედიცი-

ონკოლოგიური



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ტაჟი საავადმყოფოებიდან



ექიმ-ეპიდემიოლოგი სოსო ჯაფარიძე: „ჰიგიენურ-სანიტარული კონტროლი მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ვერანაირად ვერ გააუმჯობესებს“

ჯაკო უგრეხელიძე: „სანიტარიულად მისი გაკონტროლება სრულიად წარმოუდგენელია, იმიტომ რომ, ძალიან დიდი ფართია“

ნისა და სამედიცინო რეაბილიტაციის დეპარტამენტი, ცენტრალური არქივი, მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების კომისია, სადიალიზო განყოფილება და დეტოქსიკაციის დეპარტამენტი. ნაგვის ურნებში ექიმის ხელთათმანები ყრია, კარადებში კი დამტვერილი ლეიბებია შეტენილი. გაუქმებულ 12 სართულში ანტისანიტარიის ბუდეა. ყრია პამბერსები, ჩვრები ბინტები, ტანსაცმელი... მოგვიანებით, რესპუბლიკურ საავადმყოფოში განგვიმარტეს, რომ გაუქმებული ტერიტორიის კონტროლი არ ევალებათ და შეუძლებელიც კია.

ეზო ცალკე პრობლემაა. ერთ გაუქმებულ შესასვლელში, როგორც ჩანს, ვიღაც უსახლკაროდ დარჩენილმა თავისთვის ღამის გასათევი მოიწყო.

რესპუბლიკური საავადმყოფოს სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის უფროსის ჯაკო უგრეხელიძის განცხადებით სამედიცინო დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ფირმასთან, რომელიც წელინადში ექვსჯერ სამკომპონენტიან სრულ დამუშავებას ახორციელებს, რომელშიც სხვადასხვა პროცედურები ერთიანდება, თუმცა აქვე აღიარებს, რომ რესპუბლიკურს უკანა მხარეს სანიტარიისა და ჰიგიენის კუთხით პრობლემა აქვს. მისი თქმით, სახელმწიფო ამუშავებს გეგმას, რომლის დახმარებითაც ეს პრობლემაც მოგვარდება.

„სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ეს ყველაფერი უახლოეს მომავალში მოწესრიგდეს. ძალიან დიდი ტერიტორიაა ჩვენს მფლობელობაში, რომელსაც ახლა, ამ წუთში ვერ ვარეგულირებთ. სანიტარიულად მისი გაკონტროლება სრულიად წარმოუდგენელია, იმიტომ რომ, ძალიან დიდი ფართია. ველოდებით სამინისტროს გადაწყვეტილებას და მერე, როგორც ნინა მხარეზე ვანარმოებთ კონტროლს, ისე გავრცელდება მთლიან ტერიტორიაზე“, - განაცხადა ჯაკო უგრეხელიძემ.

მესამე სამედიცინო დაწესებულება, რომელიც „პრაიმტაიმმა“ მოინახულა ონკოლოგიურია. მდგომარეობა არც აქაა განსხვავებული: გამოუყენებელი ნივთებისა და ქვეშაგების გროვა, საპირფარეშო ქაღალდის გარეშე და ფიცრებისგან გაკეთებული პანდუსი.

სამედიცინო დაწესებულებებში ანტისანიტარიისა და დასუფთავების დაბალ ხარისხს მომხმარებელთა უფლებების დამცველი გია ბურჯანაძე აფასებს. მისი თქმით, საქართველოში პაციენტის უფლებებს არავინ იცავს.

„ის ფორმა და ის დამოკიდებულება, რაც სამედიცინო დაწესებულებებს პაციენტებთან აქვთ, თავიდან ბოლომდე

გია ბურჯანაძე: „დღეს პაციენტის უფლებებს აბსოლუტურად არავინ იცავს“

განუკითხაობა და ქაოსია. დღეს პაციენტის უფლებებს აბსოლუტურად არავინ იცავს. ჩვენთანაც და ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზეც ხშირია ინფორმაციები, სწორედ ამ დამოკიდებულებიდან გამომდინარე. უკონტროლო დამოკიდებულება, რომელიც ამ სფეროში სუფევდა, დღესაც არსებობს. მართლაც საყურადღებოა ანტისანიტარიული მდგომარეობა. თუ პაციენტის დიაგნოსტირება მოხდა, შეიყვანეს დაწესებულებაში და მალევე გამოიყვანეს, აღნიშნული საწოლი დამუშავებას მაინც საჭიროებს, რახან იქ იყო 10-15 წუთი, დამოკიდებულებაა რომ თეთრეულის გამოცვლა აუცილებელი არაა. რაიონში საშინელება ხდება, უბედურებაა, ვერ გაარკვევ სამედიცინო დანესებულებაში ხარ თუ დასუფთავებაში“, - აცხადებს გია ბურჯანაძე და პასუხისმგებლობას, როგორც საავადმყოფოებს ისე მთავრობას აკისრებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ინტერვიუ საგარეჯოს მაჟორიტარობის კანდიდატთან



თამარ ხიდაშელი: „ინაშვილს სჭირდება საპარლამენტო ტრიბუნა. ეს გასაგებია, მაგრამ მას ტრიბუნა აქვს ტელეკომპანია „ობიექტივის“ სახით“

მირიან ბოქოლიშვილი

ეს იქნება იდეოლოგიების ჭიდილი, – ასე აფასებს 31 ოქტომბერს საგარეჯოში დანიშნულ შუალედურ არჩევნებს „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი და იმედი აქვს, რომ მისი თანაპარტიელის, თამარ ხიდაშელის გამარჯვებით ამ ოლქში პროდასავლური ვექტორი გაიმარჯვებს. როგორც ცნობილია, ხიდაშელის ერთადერთი კონკურენტი „პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანი ირმა ინაშვილია.

თამარ ხიდაშელი საარჩევნო კამპანიას დღეიდან იწყებს. მანამდე კი მმართველი გუნდის კანდიდატი საკუთარ უპირატესობებზე „პრაიმტაიმს“ ესაუბრა. მან, ასევე, დაადასტურა ინფორმაცია, რომ მისი კონკურენტი ირმა ინაშვილი ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანას ცდილობს.

– ქალბატონო თამარ, პირველ რიგში, გვითხარით, რა არის თქვენი მთავარი უპირატესობა?

– ირმა ინაშვილი არის ერთი კონკრეტული პარტიის წარმომადგენელი, რომელსაც პარლამენტში ამ მომენტისთვის არ ჰყავს წევრები. შესაბამისად, ის იქნება ერთადერთი ადამიანი განყენებულად. ჩვენ ვიცით, რა არის საჭირო იმისთვის, რომ კანონშემოქმედებითი საქმიანობა წარიმართოს – თითოეული კანონის მისაღებად საჭიროა უმრავლესობის მხარდაჭერა. მე ვსვამ კითხვას – როგორ შეძლებს ქალბატონი ინაშვილი ამ მხარდაჭერის მოპოვებას, როდესაც მას პარლამენტში არ ეყოლება თანამოაზრეები, არც უმრავლესობაში და, სხვათა შორის, არც უმცირესობაში. ოპოზიციის საქმიანობა ძალიან მნიშვნელოვანია პარლამენტში, მაგრამ ეს მაშინ არის აქტუალური, როდესაც კონკრეტულ ძალას ჰყავს თანამოაზრეები. ამ შემთხვევაში ირმა ინაშვილს არ ჰყავს პარტნიორები. ჩემი უპირატესობა კი სწორედ ისაა, რომ წარმოვადგენ სახელისუფლებო გუნდს და მაქვს გაცილებით მეტი ბერკეტი, რომ შეძლებისდაგვარად ვუპასუხოთ საგარეჯოს რაიონის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებს. მე მთავრობასთან მექნება უშუალო კონტაქტი, რომ რაიონში განხორციელდეს კონკრეტული პროექტები. გარდა ამისა, ჩემს უპირატესობად მივიჩნევ გამოცდილებას. მე ვარ იურისტი, აქამდეც ახლო შეხება მქონია კანონშემოქმედებით საქმიანობასთან. არა მგონია, ქალბატონ ირმა ინაშვილს ჰქონდეს ასეთი გამოცდილება. მას, უბრალოდ, სჭირდება საპარლამენტო ტრიბუნა. ეს გასაგებია, მაგრამ მას ტრიბუნა აქვს ტელეკომპანია „ობიექტივის“ სახით.

– არ გქონიათ მიწვევა „ობიექტივში“ სტუმრობაზე?

– ახლა არა, მაგრამ როდესაც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ ვიყავი, რამდენჯერმე ვარ ნამყოფი ამ არხზე. ვსაუბრობდი უფლებადარღვევის ფაქტებზე. ირმა ინაშვილს შორიდან ვიცნობ, მასთან ურთიერთობის ცუდი გამოცდილება ნამდვილად არ მაქვს. ჩვენ მაშინ ერთნაირად ვფიქრობდით, იმ თვალსაზრისით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არღვევდა ადამიანის უფლებებს. ახლა ჩვენ ვართ სრულიად სხვადასხვა მხარეს.

– ანუ გინდათ თქვათ, რომ იყო დრო, როდესაც ერთ მხარეს იდექით?

– როდესაც ვსაუბრობდი უფლებების დარღვევებზე, ქალბატონი ირმაც იგივე თემებზე საუბრობდა. მაგალითად, იმ პრობლემების შესახებ, რომელიც იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. თუმცა ჩვენი მთავარი განმასხვავებელი არის საგარეო პოლიტიკური ვექტორი. საგარეჯოელებისთვის შეიძლება ეს ცოტა ნაკლებად საინტერესო იყოს, მაგრამ ისინი ამ საკითხსაც, ასევე, ყურადღებით ადევნებენ თვალყურს. ჩვენ გვაქვს ძალიან მკაფიოდ გაცხადებული პროდასავლური ორიენტაცია, ქალბატონ ირმა ინაშვილის საგარეო ვექტორი კი ცოტა ჩამოუყალიბებელია. ის ნათლად არ გვესაუბრება ამ საკითხზე.

– თქვენ კი ამბობთ, ჩემი მთავარი უპირატესობა ის არის, რომ სახელისუფლებო გუნდს წარმოვადგენო, მაგრამ ამბობენ, რომ არაოფიციალურად პარტია „ქართული ოცნება“ სწორედ ინაშვილს უჭერს მხარს და არა თქვენ... ამ საკითხზე კოალიციამ სპეციალური განცხადებაც გაავრცელეთ და ირმა ინაშვილი ამომრჩევლების შეცდომაში შეყვანაში დაადანაშაულეთ... რა ხდება რეალურად? დარწმუნებული ხართ, რომ კოალიცია თქვენ გიჭერთ მხარს?

– ჩვენი შტაბის წარმომადგენლებისგან ვიღებთ ინფორმაციას, რომ ირმა ინაშვილი თავად აწარმოებს ასეთ კამპანიას და ამბობს, რომ თითქოს „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით სარგებლობს. მის ინტერვიუებსაც რომ მოვუსმინოთ, პირდაპირ აპელირებს, რომ ის არის „რესპუბლიკური პარტიის“ კონკურენტი. რეალურად, მინდა ხაზგასმით იცოდეს ჩვენმა ამომრჩეველმა, რომ სახელისუფლებო გუნდს, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ საგარეჯოში ჰყავს ერთადერთი კანდიდატი და ეს არის თამარ ხიდაშელი. გამორიცხულია ყოველგვარი გარიგება.

– ფიქრობთ, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ, თუნდაც საგარეჯოელების მიმართ, გაცემული დაპირებები შეასრულა?

– მე ვფიქრობ, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს მოსახლეობის პრობლემების მოსაგვარებლად, მაგალითად, მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სფერო, სადაც შემოვიდა აგროდაზღვევა, რაშიც სახელმწიფო სერიოზულ როლს თამაშობს. სადაზღვევო თანხის ნახევარზე მეტს იხდის სახელმწიფო და რეალურად, როდესაც ყვარელში სეტყვა მოვიდა, მეურნეების 1/3 იყო დაზღვეული, შესაბამისად, მათ მიყენებული ზარალი აუნაზღაურდებათ. გარდა ამისა, სახელმწიფო გლეხს სთავაზობს მიწის უფასო დამუშავებას.

– ქალბატონო თამარ, რთველი კარს არის მომდგარი, თუნდაც საგარეჯოში, რომელიც ცნობილი მანავის მწვანეს სამშობლოა... სახეზეა მევენახეების სერიოზული უკმაყოფილება... ამ ფონზე სოფლის მეურნეობაში წარმატებებზე საუბარი გადაჭარბებული ხომ არ არის?

– ყურძენი ძალიან პრობლემური საკითხია. მთავარია, რომ სახელმწიფო სუბსიდირებას აგრძელებს და ყველას ჰპირდება, რომ ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩება. იმ ყურძენს, რასაც მეღვინეები არ ჩაიბარებენ, მე ჩავიბარებო. ჩვენ ვსაუბრობთ საბაზრო ეკონომიკაზე, სადაც სახელმწიფო ყურძნის ფასის დადგენაში ვერ ჩაერევა. მთავარია, სწორად ავუხსნათ არსებული ვითარება მოსახლეობას. მე გულწრფელად ვფიქრობ, რომ რთველთან დაკავშირებით სახელმწიფო აკეთებს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს.

– ზოგი მიიჩნევს, რომ საგარეჯოს არჩევნები გარკვეულწილად იქნება ტესტი იმისა, რამდენად შეიცვალა მოსახლეობის განწყობა საგარეო ვექტორთან მიმართებაში...

– დიახ, მე ვეთანხმები ბატონ დავით ბერძენიშვილის მოსაზრებას, რომ ეს იქნება იდეოლოგიების ჭიდილი. მე არ ველოდები, რომ ირმა ინაშვილი გაიმარჯვებს. ვფიქრობ, დამაჯერებელ წარმატებას მოვიპოვებ საგარეჯოში.

– თქვენს ამომრჩეველს, ალბათ, აინტერესებს, რა ნათესაური კავშირი გაქვთ თინა ხიდაშელთან, რომელიც უკვე გახლდათ საგარეჯოს მაჟორიტარი?

– კი, მაქვს. ეს არც არასოდეს დამიმალავს. ჩემი და თინას ბაბუები ძმები იყვნენ.

„სახელმწიფო ყურძნის ფასის დადგენაში ვერ ჩაერევა“

„მე გულწრფელად ვფიქრობ, რომ რთველთან დაკავშირებით სახელმწიფო აკეთებს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს“

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სრულიად კონფიდენციალური!!!

რა EXCLUSIVE საიდუმლო მასალებს ფლობს 50 წლის მამაკაცი

ირაკლი მამალაძე

საქართველოში აშშ მოქალაქე პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ამერიკის მოქალაქე ოფიციალურად აცხადებს უარს შეერთებულ შტატებში ცხოვრებაზე და საქართველოს მთავრობას პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს. ოფიციალური ინფორმაციით, 50 წლის მამაკაცი პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის მთავარ მიზეზად ამერიკული სპეცსამსახურებს მხრიდან მის წინააღმდეგ განხორციელებულ დევნას ასახელებს. აშშ მოქალაქის მტკიცებით, იგეგმება მისი ლიკვიდაცია. ამის მიზეზად კი იმ საიდუმლო მასალებს ასახელებს, რომელსაც შტატების სპეცსამსახურებზე ფლობს. ერთ-ერთი ინფორმაციით, დევნილობაში მყოფი მამაკაცი საიდუმლო მასალებს სპეცსამსახურების შეიარაღებასთან დაკავშირებით ფლობს, თუმცა ამ ინფორმაციის გახმაურებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აპირებს, თუ საქართველოში პოლიტიკურ თავშესაფარს მიიღებს. „პრაიმტაიმისთვის“ ექსკლუზიურად ცნობილი ხდება, რომ ამ დროისთვის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით განხილვა დაწყებულია. რა პროცედურები მიმდინარეობს ამერიკის მოქალაქის მიერ მოთხოვნილ პოლიტიკურ თავშესაფართან დაკავშირებით და გათვალისწინებს თუ არა ამერიკული სპეცსამსახურების მიერ დევნილი მოქალაქის მოთხოვნას საქართველოს მთავრობა, ჩვენ ამის შესახებ ინფორმაცია სოზარ სუბარის უწყებიდან გამოვითხოვეთ.

„საუბარია მისი ქვეყნის სპეცსამსახურებზე, თუმცა არ მაქვს უფლება, გავცე ინფორმაცია. ეს კონფიდენციალურია“

ირაკლი კოკაია, ლტოლვილთა და რეპატრიაციის სამმართველოს უფროსი:

– გიდასტურებთ ინფორმაციას. ნამდვილად მოგვმართა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქემ პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით. ეს არის პირველი შემთხვევა. მსგავსი განცხადება ბოლო 10 წლის მანძილზე ჩვენს სამინისტროში არ შემოსულა და როგორც ვიცი, არც მანამდე...

– ბატონო ირაკლი, ეს ადამიანი, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, განიცდის დევნას ამერიკული სპეცსამსახურების მხრიდან და ამის საფუძველზე ითხოვს თავშესაფარს საქართველოში?

– დიახ, განცხადებაში არის საუბარი მისი ქვეყნის სპეცსამსახურებზე, თუმცა მე არ მაქვს უფლება, გავცე ეს ინფორმაცია. ეს კონფიდენციალურია. ასევე, მოგიწოდებთ, არც თქვენ მოახდინოთ ამ ადამიანის იდენტიფიცირება მანამ, სანამ ყველა ის პროცედურა არ დასრულდება, რომელსაც არსებული კანონმდებლობა ითვალისწინებს.

ირაკლი კოკაია

– რამდენი წლის არის ეს მამაკაცი და რა გზით მოხვდა საქართველოში?

– ეს ადამიანი გახლავთ 50 წლის. არ ვიცი, რა მარშრუტით ისარგებლა და როგორ მოხვდა თბილისში. შემიძლია, გითხრათ მხოლოდ ის, რომ ჩვენ მოგვმართა ოფიციალურად. მიმდინარეობს მისი განცხადებისა და საქმის შესწავლა ყველა პროცედურის დაცვით. აღნიშნულ საქმეზე მონიტორინგს ახორციელებს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი.

– არსებობს ალბათობა, რომ ამ ადამიანს სტატუსი მიენიჭოს?

– ეს პიროვნება გახლავთ ამერიკის მოქალაქე და როგორც იცით, ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებები დაცულია. ჩვენ არ გვქონია მსგავსი საქმე. როგორც თავში მოგახსენეთ, ვსწავლობთ ყველა დეტალს და სამინისტრო მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან ერთად, რომელიც ჩართულია ამ საქმეში.

– ამერიკის საელჩოსთან თუ გქონდათ კომუნიკაცია ამ თემაზე?

– არა, ამას კანონმდებლობა არ გვავალდებულებს. შესაბამისად, მათი ჩართვა ამ საქმეში არ მოხდება.

ვინ არის 50 წლის მამაკაცი, რომელიც საქართველოში პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს? ამ ეტაპზე მისი ვინაობის დასახელებისგან თავს ვიკავებთ მისივე უსაფრთხოების მიზნით. „პრაიმტაიმისთვის“ ამ დროისთვის ცნობილი მხოლოდ ის ფაქტებია, რომლის გათვალისწინებაც საქართველოს მთავრობას მოუწევს. ამერიკის მოქალაქე ირწმუნება, რომ მისი ქვეყნის სპეცსამსახურები შეერთებული შტატების მიმართ მტრულად განწყობილ სახელმწიფოებთან და ტერორისტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდნენ, რის საფუძველზეც მის წინააღმდეგ ხორციელდებოდა თვალთვალი. დევნილობაში მყოფი მოქალაქე კატეგორიულად უარყოფს სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას და აცხადებს, რომ მისი მიყურადებისა და თვალთვალის ერთადერთი მიზეზი ის ინფორმაციაა, რომელსაც შეერთებული შტატების სპეცსამსახურებზე ფლობს, კერძოდ, საუბარია რადიოაქტიურ ნივთიერებებზე, რომელსაც ამერიკული სპეცსამსახურები ფლობენ. შეერთებული შტატების მოქალაქე ამ სკანდალური ინფორმაციის გამჟღავნებას იმ შემთხვევაში გეგმავს, თუ საქართველოში პოლიტიკურ თავშესაფარს მიიღებს. ამერიკის მოქალაქის საქმეზე გადაწყვეტილებას საქართველოს ლტოლვილთა და რეპატრიაციის დეპარტამენტი გაეროს უმაღლეს ლტოლვილთა კომისარიატთან ერთად უახლოეს პერიოდში მიიღებს. სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა, რეალურად რა ინფორმაციის მატარებელია შეერთებული შტატების მოქალაქე, რომელმაც ამერიკა დატოვა და ამ დრომდე თბილისს აფარებს თავს.

აშშ-ს მოქალაქე საქართველოს პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა უამბო მალაიზიის ციხეში მყოფმა დარეჯან კოხტაშვილმა პარლამენტის ვიცე-სპიკერს?

ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული ქართველი ქალები მალაიზიის მონარქმა შეიწყალა და ისინი რამდენიმე თვეში სამშობლოში დაბრუნდებიან

მირიან ბოქოლიშვილი

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის მოულოდნელი ვიზიტი მალაიზიის ციხეში... მანანა კობახიძემ იქ 2010 წელს ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული ქართველი ქალბატონი, დარეჯან კოხტაშვილი მოინახულა. რა უამბო დეპუტატს ქართველმა პატიმარმა, რომელიც მეგობართან, ბაბუცა გორდაძესთან ერთად, სიკვდილით დასჯას გადაურჩა. ამის გასარკვევად „პრაიმტაიმი“ მანანა კობახიძეს მალაიზიაში დაუკავშირდა. სანამ მასთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ, შეგახსენებთ, რომ მალაიზიაში დაკავებული ქართველები – ბაბუცა გორდაძე და დარეჯან კოხტაშვილი სახრჩობელას მას შემდეგ გადაურჩნენ, რაც ქართველ სამართალდამცველებს ნებით ჩაჰბარდათ ბაბუცა გორდაძის მეუღლე ელდარ (გიორგი) დავითიანი და ნარკოტრაფიკის ბრალდება თავის თავზე აიღო.

გახმაურებული ნარკოტრაფიკის საქმეზე მსჯავრდადებული ელდარ დავითიანი პატიმრობიდან ცოტა ხნის წინ განთავისუფლდა. როგორც გავარკვიეთ, მას პარლამენტის მიერ მიღებული საყოველთაო ამნისტიის აქტით სასჯელის დიდი ნაწილი შეუმცირდა.

აქვე მკითხველს განვუმარტავთ, რომ მალაიზიაში კვლავაც მოქმედებს 1975 წელს მიღებული კანონი, რომელიც ნარკოდანაშაულისთვის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს. ცნობილია, რომ მხოლოდ 2011 წელს კუალა-ლუმპურის აეროპორტში ნარკოტრაფიკის 92 მცდელობა დაფიქსირდა. ამოღებული ნარკოტიკების საბაზრო ღირებულება 60 მილიონ დოლარს შეადგენს.

მანანა კობახიძე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი:

– საქართველოს პარლამენტის დელეგაცია, ჩემი, ზვიად კვაჭანტირაძისა და დავით ბაქრაძის შემადგენლობით, ოფიციალური ვიზიტით ვიმყოფებით მალაიზიაში, სადაც საქართველოს საელჩო გაიხსნა. ჩვენს დიპლომატს აქვს საშუალება, მოინახულოს ხოლმე ეს ქალბატონები. ისინი მადლობელნი არიან საელჩოს წარმომადგენლის, ბატონი ლევან მაჭავარიანის მუშაობით. სამწუხაროდ, როცა დააკავეს, მაშინ არ გვქონდა წარმომადგენლობა და, შესაბამისად, ძალიან ჭირდა კომუნიკაცია აქაურ სტრუქტურებთან. სხვათა შორის, ძალიან დიდი მადლობლები არიან არა მხოლოდ დღეს მოქმედი ხელისუფლების, არამედ მაშინდელი მთავრობისაც, კერძოდ, ბატონი გიორგი ვაშაძის, რადგან რეალურად მაშინ მართლაც ძალიან დაეხმარათ საქართველოს სახელმწიფო. რაც შეიძლებოდა, გაკეთდა, თან იმ პირობებში, როცა მალაიზიაში არანაირი წარმომადგენლობა არ გვქონია.

– რაც შეეხება პირობებს, რამდენად დამაკმაყოფილებელია იქაურ ციხეში არსებული პირობები?

– როცა ადამიანი ციხეშია, თანაც უცხო ქვეყანაში, კარგად ყოფნაზე საუბარი რთულია, თუმცა თავად დარეჯანს რაიმე საჩივარი არ გამოუთქვამს. თავიდან ენობრივი ბარიერის გამო ჰქონდა პრობლემები, ახლა აქაურ ენასაც დაეუფლა და კონტაქტი აღარ უჭირს. სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ დასაქმებულიც არის და შედარებით უკეთესი პირობები აქვს. სამწუხაროა, რომ მეორე ქალბატონს ვერ შევხვდი, თუმცა ჩვენი წარმომადგენლისგან ვიცი, რომ მისი მდგომარეობაც დამაკმაყოფილებელია. ციხეში ყოფნა, მით უმეტეს ძალიან შორს შენი ქვეყნიდან და ახლობლებისგან, ცხადია, ყოველთვის მძიმეა. არავის ვუსურვებ მსგავს მდგომარეობას. იმედი მაქვს, ორივე ქალბატონი მალე დაუბრუნდება თავის ოჯახს. დაახლოებით 40 წუთის განმავლობაში ვესაუბრე დარეჯან კოხტაშვილს. მას ერთი წელი დარჩა სასჯელის მოხდამდე, ბაბუცა გორდაძეს კი თებერვალში გასდის პატიმრობის ვადა. მისი მონახულება, დროის სიმცირის გამო, სამწუხაროდ, ვერ შევძელი. ის სხვა ქალაქშია, სასჯელაღსრულების სხვა დანესებულებაში იმყოფება. პერიოდულად ოჯახს ტელეფონით უკავშირდებიან და მათთან რაღაც დონეზე კომუნიკაციის საშუალება აქვთ.

– თუ გესაუბრათ წარდგენილ ბრალთან დაკავშირებით?

– ამ ქალბატონმა მითხრა, რომ რეალურად არანაირი კავშირი ნარკოტიკებთან და ამ დანაშაულთან არ ჰქონია. საქმის დეტალები არ მოუყოლია და სიმართლე გითხრათ, აღარ განვუახლე ეს ტკივილი. მისთვის ეს ძალიან ემოციური საკითხია. სამწუხაროდ, სრულად მათი გამართლება შეუძლებელი აღმოჩნდა. მთავარი ის არის, რომ ეს ხალხი სიკვდილით დასჯას გადაურჩა. იცით, რომ აქ ნარკოდანაშაულის მიმართ კანონი ძალიან მკაცრია და არაერთი მოქალაქე დაუსჯიათ სიკვდილით. მთავარი იყო მათი სიცოცხლის გადარჩენა. მოგეხსენებათ, მალაიზიაში არის კონსტიტუციური მონარქია. ჩვენმა მოქალაქეებმა ისარგებლეს შეწყალების უფლებით და სასჯელის გარკვეულ ნაწილში მონარქმა ისინი შეიწყალა.

ჩვენი მკითხველისთვის, უპირველესად კი დაკავებული მოქალაქეების ოჯახისთვის, ალბათ, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა საგარეო საქმეთა სამინისტროს დარეჯან კოხტაშვილისა და ბაბუცა გორდაძის შესახებ ინფორმაციას პერიოდულად აწვდის. ბოლო ანგარიშში ნათქვამია: ბაბუცა გორდაძე სასჯელს ქალაქ კოტა-კინაბალუს ქალთა ციხეში იხდის. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია. გორდაძე დასაქმებულია ციხის საწყობში და საელჩოს მასთან მუდმივი კონტაქტი აქვს. საქართველოს კონსულმა ის ბოლოს აპრილში მოინახულა, რის შემდეგაც ბაბუცა გორდაძეს შეხვედრა აღარ მოუთხოვია.

დარეჯან კოხტაშვილი კი სასჯელს ქალაქ კაჯანგის ქალთა ციხეში იხდის. მას ჯანმრთელობის შესახებ ჩივილების გამო მალაიზიის ციხეების დეპარტამენტმა სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარა, თუმცა სამედიცინო კომისიამ ჯანმრთელობის პრობლემები ვერ გამოავლინა.

ამჟამად დარეჯან კოხტაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა და საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია.

საელჩოს წარმომადგენელმა მიმდინარე წელს ის ოთხჯერ მოინახულა, აქედან ორჯერ თავად კოხტაშვილის მოთხოვნით. უკანასკნელად საქართველოს კონსულმა ის ოქტომბერში მოინახულა, რის შემდეგაც კოხტაშვილს შეხვედრა აღარ უთხოვია. საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში მზად არიან მათ მოსაგვარებლად.

საქართველოს მალაიზიასთან დიპლომატიური ურთიერთობა არ ჰქონდა, ამიტომაც ძნელდებოდა იქ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის საკონსულო დახმარების გაწევა. მალაიზიის ფედერაციაში საქართველოს საელჩო ოფიციალურად 2013 წელს გაიხსნა.



EXCLUSIVE

მანანა კობახიძე: „მადლობლები არიან არა მხოლოდ დღეს მოქმედი ხელისუფლების, არამედ მაშინდელი მთავრობისაც, კერძოდ, ბატონი გიორგი ვაშაძის, რადგან რეალურად მაშინ მართლაც ძალიან დაეხმარათ საქართველოს სახელმწიფო“

„მითხრა, რომ რეალურად არანაირი კავშირი ნარკოტიკებთან და ამ დანაშაულთან არ ჰქონია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჩემი კლინიკა

სამედიცინო კორპორაცია ევექსი

„სამედიცინო კორპორაცია ევექსის"
ამბულატორიული კლინიკების ქსელი ახლა უკვე თქვენ მეზობლად!

„ჩემი კლინიკის" სერვისები და კვლევები:

- პირადი ექიმის მომსახურება;
- ენდოკრინოლოგია;
- კარდიოლოგია;
- ნევროლოგია;
- ოფთალმოლოგია;
- ოტორინოლარინგოლოგია;
- უროლოგია;
- პროქტოლოგია;
- ზოგადი ქირურგია;
- გინეკოლოგია;
- დერმატოლოგია;
- პულსოქსიმეტრია;
- ელექტროკარდიოგრაფია;
- ზოგადი ექოსკოპია;
- პიკ-ფლოუმეტრია;
- ყველა სახის ლაბორატორიული კვლევა.

გვეწვიეთ ყოველდღე, ჩვენი სამუშაო საათებია:

ორშ-პარ 09:00 - 21:00 შაბ-კვ 09:00 - 17:00

2 55 05 05

www.evex.ge

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქართველოში ახალი

როგორ კვდება ოდენობით ნარ
დოჰადან თურქ

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

მას შემდეგ, რაც დაახლოებით წელინად-ნახევრის წინათ ვალეში **116** კილოგრამი ჰეროინის დაკავება ქართულმა პოლიციამ ზარ-ზეიმით ამცნო ქვეყანას და ამერიკელი კოლეგებისგანაც მხურვალე მადლობა და შექება დაიმსახურა, ამ მიმართულებით კიდევ არაერთი საქმე გაიხსნა, უკანასკნელ ხანს კი თბილისის აეროპორტიდან თვალშისაცემი ინტენსივობით ამოიღეს კოკაინის დიდი ოდენობა.

მაშ ასე, გაიშიფრა თუ არა ნარკოტრანზიტის ახალი გზა? რა სქემით მოძრაობდა ნარკოტიკი და როგორ ხვდებოდა ის მეზობელ თურქეთში? რა ინფორმაციას ფლობს კრიმინალური პოლიცია ყოფილი ხელისუფლებების მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობაზე ნარკობიზნესში და მართლაც არსებობს თუ არა საქართველოში ნარკოტიკების გადამამუშავებელი ლაბორატორია?

„პრაიმტაიმის“ ამ და კიდევ სხვა კითხვებს ამჯერად კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, უშანგი ლომიძე პასუხობს:

– ამბობენ, ნარკომოვაჭრის აღმოსაჩენად ერთი მარტივი ტესტი არსებობს – თუ ვინმე მოულოდნელად გამდიდრდება, ძვირფას მანქანას შეიძენს და უძრავ ქონებაში დაიწყებს ფულის დაბანდებას, ეს უკვე ნიშანია იმისა, რომ, დიდი ალბათობით, ეს პირი ნარკობიზნესში ჩაერთო და ოპერატიული სამსახურებიც მყისიერად იწყებენ მის შესწავლას...

– ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შექმნილია ნარკოტრანზიტის განყოფილება, რომელიც ოპერატიული ინფორმაციის დამუშავებასა და რისკების ანალიზზე მუშაობს. ნარკოტიკებით ვაჭრობას ბევრი გარემოება ახლავს, რომელიც პროფესიონალი პოლიციელისთვის შესამჩნევია.

– ბოლო დროს თვალშისაცემად ხშირი გახდა აეროპორტში კონკრეტული პირების მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების ამოღების ფაქტები. ახალი სატრანზიტო გზა ხომ არ აღმოაჩინეთ?

– ბოლო წლების განმავლობაში გამოვავლინეთ ახალი სახმელეთო და საჰაერო სატრანზიტო გზები, კერძოდ, 2013 წელს ამოღებული იქნა 116 კგ ჰეროინი, ხოლო 2014 წელს – 2,7 ტონა თხევადი ჰეროინი, რაც გახდა საფუძველი 2014 წლის 28 ნოემბერს, შს მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანების საფუძველზე, შექმნილიყო ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ჩვენი დეპარტამენტისა და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები. სწორედ ამ ჯგუფმა გამოავლინა ახალი საჰაერო სატრანზიტო მარშრუტიც. შემუშავდა რისკების სისტემა ტვირთებთან და პიროვნებებთან დაკავშირებით, გადამოწმდნენ კონკრეტული პირები, მოხდა საინფორმაციო წყაროების იდენტიფიცირება.

– თუ შეგიძლიათ, ჩვენც გაგვიშიფრეთ ეს სქემა. სად იყო საწყისი ქვეყანა, რომელი იყო მიმღები და რა გზებითა და საშუალებებით მოხვდა ის საქართველოში?

– ბოლო ოპერაციაში, რომლითაც ახალი სატრანზიტო დერეფანი გავშიფრეთ, საწყისი ქვეყანა იყო სამხრეთ აფრიკა და სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ქვეყნები. რაც შეეხება კონკრეტულ მარშრუტებს, გამოყენებული იყო როგორც ევროპა, ასევე, არაბეთის გაერთიანებული საამიროები. კერძოდ, სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი ქვეყნიდან ნარკოტიკული საშუალება შემოჰქონდათ საქართველოში დუბაისა და დოჰას გავლით, შემდგომ მისი თურქეთში გადატანის მიზნით.

– მიუხედავად იმისა, რომ აეროპორტში არაერთგზის დაიკავეთ ნარკოტიკი, რატომ ვერ მოხერხდა ამ გზის სრულად აღმოფხვრა?

– ბოლო ორი თვის განმავლობაში ამოვიღეთ დაახლოებით 25 კილოგრამი კოკაინი და 40 კილოგრამი მარიხუანა. დავაკავეთ 13 პირი. ისინი ძირითადად სამხრეთ აფრიკელები და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების მოქალაქეები იყვნენ. ჩვენ დავუპირისპირდით მსოფლიო მასშტაბის კრიმინალური ბიზნესის ნაწილს და, ბუნებრივია, დამნაშავეებსაც აქვთ საკუთარი გეგმები და მეთოდები. მათთან ბრძოლა მუდმივ ხასიათს ატარებს და ჩვენი მიდგომებიც მუდმივად ვითარდება მათ წინააღმდეგ.

– საქართველოში კონსპირაციისთვის ოფიციალურად რას საქმიანობდნენ ისინი?

– ამ ეტაპზე, ოპერატიული ინტერესებიდან გამომდინარე, ამ თემაზე საჯაროდ საუბარი მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

– რა საშუალებებით შემოაქვთ ნარკოტიკი ამ უცხოელებს?

– ნარკოკურიერები ნარკოტიკული საშუალებების გადაზიდვის სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ, კერძოდ, ბარგში არსებულ სამალავებში და სხეულით.

– ჩანთით?..

– ერთ გზაზე მოდის 2-3 ნარკოკურიერი. პრაქტიკიდან გამომდინარე, ყოფილა შემთხვევა, რომ ერთ პირს შემოუტანია 2 კილოგრამამდე კოკაინი, ასევე, იყო შემთხვევა 7 კილოზე მეტი კოკაინის გადატანის. კვირაში ნარკოტიკების შემოტანის 2-3 ფაქტი ფიქსირდებოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც დანაშაულებრივი ჯგუფის საქართველოში მყოფი წევრები დავაკავეთ, დღეის მდგომარეობით შემოტანის ფაქტი აღარ დაფიქსირებულა. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა ისევ გრძელდება...

– როგორც წესი, ნარკოტიკების ტრანზიტის დროს, რაღაც რაოდენობა გამტარ ქვეყნებში რჩება ხოლმე. ამ შემთხვევაშიც ასე იყო?

– ამ საქმეში იკვეთება, რომ ამოღებული ნარკოტიკი საქართველოს ტერიტორიაზე არ რჩებოდა და მთლიანად თურქეთის რესპუბლიკაში გადასატანად იყო განკუთვნილი.

– ამ ნარკოტიკის ე.წ. ქუჩის ფასი როგორია?

– საქართველოში კოკაინის გაყიდვის ფაქტი ამ დრომდე არ დაფიქსირებულა, თუმცა ევროპის შავ ბაზრებზე 1 გრამი კოკაინის ფასი 300 დოლარს აღწევს. ჩვენ მიერ გამოვლენილი სატრანზიტო გზით შემოსული არც მარიხუანა და არც კოკაინი, როგორც აღვნიშნე, საქართველოსთვის არ იყო განკუთვნილი.

– წინა გზა იყო ჰეროინის და ის ძირითადად ავღანეთიდან და ირანიდან შემოდიოდა, არა?..

– დიახ... გახსოვთ, ალბათ, 116 კილოგრამი ჰეროინი ამოვიღეთ, ას-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნარკოტრაფიკი გაიშიფრა

დიდი კოტიკი ეთში?

„სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი ქვეყნიდან ნარკოტიკული საშუალება შემოჰქონდათ საქართველოში დუბაისა და დოჰას გავლით, შემდგომ მისი თურქეთში გადატანის მიზნით“

„კვირაში ნარკოტიკების შემოტანის 2-3 ფაქტი ფიქსირდებოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც დანაშაულებრივი ჯგუფის საქართველოში მყოფი წევრები დავაკავეთ, დღეის მდგომარეობით შემოტანის ფაქტი აღარ დაფიქსირებულა“

ევე ამოღებული იქნა 2.7 ტონა თხევადი ჰეროინი, რომელიც ევროპის ქვეყნებისთვის იყო განკუთვნილი.

– ახალი სატრანზიტო გზა თქვენი რესურსებით გაშიფრეთ, თუ გქონდათ ურთიერთობა საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში?

– ნარკოტრანზიტის რამდენიმე ფაქტი ჩვენ მიერ გაკეთებული რისკების ანალიზის შედეგად გამოვავლინეთ. ბუნებრივია, რომ საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა საჭიროებს მჭიდრო თანამშრომლობას პარტნიორ ქვეყნებთან, სადაც პოლიციური თანამშრომლობის ფარგლებში მივლინებულია მეკავშირე ოფიცრები, რომლებთანაც სისტემატურ რეჟიმში ხდება ინფორმაციის გაცვლა ნარკოტრანზიტის გამოვლენისა და პრევენციის მიზნით და მათგანაც ვიღებთ ღირებულ ინფორმაციას.

– ბატონო უშანგი, დღეს ექსპერტებს შორის ხშირად მიდის დავა, საქართველოს გავლით ნარკოტიკების გატანა ნარკოკარტელებისთვის ერთ-ერთი მთავარი გზაა, თუ სათადარიგო... თქვენ რას იტყვით?

– აღნიშნული დანაშაულის ორგანიზატორები ხშირად ცვლიან ნარკოგადაზიდვის მარშრუტებს, რაც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სატრანზიტო გზები მუდმივად იცვლება და საქართველო ვერ იქნება ერთადერთი სატრანზიტო გზა.

– კონტროლირებადი ტვირთი თუ გქონიათ?

– კონტროლირებადი მიწოდება ამ ეტაპზე ჯერჯერობით არ გვქონია...

– ამ პროცესში მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს ე.წ. ჰაიმანებს (ევროპის ქვეყნებში ყველა საბაჟოზე დგას ეს ტექნიკური საშუალება, რომლითაც მოწმდება, სატრანზიტო ტრაილერში არის თუ არა ნარკოტიკი. მისი აღმოჩენისას ნარკოტიკების სახეობის მიხედვით ის შესაბამის ფერებს აჩვენებს. – მ.ნ.)... დაახლოებით 2 წლის წინათ, დაზუსტებით ვიცით, რომ ჩვენთან ეს საშუალება არ არსებობდა. რამე ხომ არ შეიცვალა ამ მიმართულებით?

– დღესდღეობით საქართველოს რამდენიმე სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე დამონტაჟებულია ე.წ. სკანერები. ამის გარდა, შემოვიყვანეთ კინოლოგიის სამსახურის სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლები. ახლა მათ ნარკოტრანზიტის სქემების გაშიფვრისას ინტენსიურად ვიყენებთ.

– როდესაც 116 კილოგრამი ჰეროინი დააკავეთ, მაშინ შსს-მ განაცხადა, რომ იმ ეტაპისთვის მხოლოდ 2 პირი იყო დაკავებული, თუმცა კვალი გაცილებით შორს მიდიოდა და მათ გამოვლენასაც აპირებდით. რა მოხდა შემდეგ?

– საქართველოში მხოლოდ ამ ორი პირის დაკავება მოხდა. რაც შეეხება დანარჩენებს, ჩვენს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია გადავეცით ჩვენს ევროპელ კოლეგებს.

– ანუ დანარჩენი მონაწილეები საქართველოს ტერიტორიაზე არ იმყოფებოდნენ?

– არა, არ იმყოფებოდნენ.

– სხვათა შორის, გაეროს ექვსი წლის წინანდელი მოხსენების მიხედვით, ევროპაში სამხრეთ კავკასიიდან წელიწადში 11 ათასი ტონა ნარკოტიკი შედიოდა. მათგან 7 ტონა – საქართველოს გავლით. ეს მონაცემები, ალბათ, თქვენთვისაც არის ცნობილი. დღეს როგორი მდგომარეობაა ამ მიმართულებით? რა ინფორმაციას ფლობთ?

– როგორც ცნობილია, საქართველო, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის მიმზიდველი იყო საერთაშორისო გადაზიდვებისთვის, მათ შორის, ნარკოტრანზიტისთვისაც. შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით, რასაც მოწმობს ბოლო წლებში ჩვენ მიერ უპრეცედენტო რაოდენობის ნარკოტიკული საშუალებების ამოღების ფაქტები.

– სხვადასხვა ხელისუფლების პირობებში ნარკოტრანზიტს სხვადასხვა მფარველები ჰყავდა. გვახსოვს ამ ბიზნესთან დაკავშირებული ცნობილი სკანდალური მკვლელობებიც... იქნებ გვითხრათ, მართლა ჰყავდა ნარკოტრანზიტს მფარველები სააკაშვილის ხელისუფლების უმაღლეს დონეებზე?

– თუ რომელიმე ჟურნალისტს ან სხვა მოქალაქეს აქვს ხელისუფლების რომელიმე წევრის, მაღალი თუ დაბალი რანგის ჩინოვნიკის ნარკოდანაშაულში მონაწილეობის დამადასტურებელი რაიმე ინფორმაცია – ჩვენ მზად ვართ, გამოვიძიოთ და რეაგირება მოვახდინოთ ამაზე.

– არც ნარკოტიკების გადამამუშავებელი ლაბორატორია ყოფილა ოდესმე პანკისში?

– არა. ასეთი რამ გამოვლენილი არ ყოფილა. საქართველო ნარკოტიკების მწარმოებელი ქვეყანა არ არის. ნარკოტიკს ძირითადად ამზადებენ ირანში, ავღანეთში, სამხრეთ აფრიკასა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. შინაგან საქმეთა სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს უკომპრომისო ბრძოლას ნარკოდანაშაულისა და ნარკოტრანზიტების წინააღმდეგ და, იმედი მაქვს, ამ მიმართულებით ჩვენი უწყება მომავალშიც წარმატებული იქნება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ახალი ხმის წამყვანები ეკა ამირეჯიბი და დუტა სხირტლაძე იქნებიან

მუსიკალური კონკურსის „ახალი ხმის“ წამყვანების ვინაობა ცნობილია. ახალი სეზონიდან მეგა-შოუს დუტა სხირტლაძე და ეკა ამირეჯიბი გაუძღვებიან.

გადაწყვეტილებას სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ეკა ამირეჯიბის „იმედზე“ გამოჩენამ საზოგადოება გააკვირვა, ზოგს კითხვის ნიშანი გაუჩინა, თუმცა უმეტესობის მოწონება დაიმსახურა. ამ დრომდე „რუსთავი 2“-ში დილის გადაცემის წამყვანად მუშაობდა და თამაშობდა სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“. მან დატოვა „რუსთავი 2“ და „იმედზე“ გადაინაცვლა.

ის, რომ ლუდი კარგია..

ჰო ჰო, რა სალუდე ამინდები იყო აგვისტოში! როგორც იტყვიან, ლუდი თვითონ გვეძახდა. სექტემბერიც ასეთი იქნება და კიდევ უფრო მეტ საინტერესო ადამიანთან დაგვამეგობრებს. ხომ გახსოვთ, რომ ლუდი დამეგობრების უებარი საშუალებაა. კიდევ რა კარგი თვისებებით ხასიათდება ეს ყველაზე ყველაზე სასმელი, ამ პოსტიდან შეიტყობთ.

1.

ლუდი ნატურალური პროდუქტია. იგი არ შეიძლება, არანატურალური იყოს, რადგან სხვანაირად ამ სითხის მიღება შეუძლებელია. ლუდი შეიძლება, უფრო ნატურალურიც კი იყოს, ვიდრე რძე ან ხილის წვენი, რომელსაც ყოველდღე ვყიდულობთ.

2.

ლუდის სმა შინაგან რიტმს აუმჯობესებს. შინაგანი რიტმი, რა თქმა უნდა, გულისცემაა. ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, ლუდის ზომიერი მოხმარება დადებითად მოქმედებს გულის კუნთზე და მის მუშაობას უწყობს ხელს.

3.

ლუდის მოხმარება გონებას აგიმუშავებთ. ჯერ, მოდით, შევთანხმდეთ იმაზე, რომ ლუდი აინშტაინად არ გაქცევთ. სამაგიეროდ, ლუდის სისტემატური და ზომიერი მოხმარება ტვინის სტიმულირებას უწყობს ხელს. კვლევაში, რომელშიც 40 ადამიანს ფილმის ყურებისას ვერბალურ ტესტებს ახსნევინებდნენ, მათ, ვისაც სისხლში ალკოჰოლის შემცველობა 0,75 ჰქონდა, დავალებებს უკეთ გაართვეს თავი.

4.

ლუდის ზომიერი მოხმარება მეორე ტიპის დიაბეტის რისკს ამცირებს. დანიელ მეცნიერებს საამისოდ წლები და 38 000 ადამიანის ჯანმრთელობის შესწავლა დასჭირდათ. დიახ, ზომიერად მსმელი ლუდის მოყვარულებში მეორე ტიპის დიაბეტის გამოვლინება გაცილებით ნაკლები იყო. მთავარი კი აქ ლუდის ზომიერი და რეგულარული მოხმარებაა. ასე რომ, ზომიერება ამ შემთხვევაშიც გეხმარებათ.

5.

ლუდი გემოს მბრძანებელია. ამ სასმელს აქვს უნიკალური თვისება, იყოს გემოს უბადლო შემზავებელი. ანუ, ლუდი უხდება უამრავ კერძს. იქნება ეს ბოსტნეული, ცომეული თუ ხორცეული. ლუდის საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ იგი საკვებს გემოს კი არ უკარგავს, არამედ, პირიქით, ავსებს მას და უფრო აგემრიელებს. ასე რომ, ლუდი კერძის შემაყვარებელია.

6.

დაბოლოს, ლუდი თავდაჯერებულობის წამალია. ბრიტანეთში კვლევა ჩაატარეს, რომლის დროსაც ადამიანებს სიტყვით გამოსვლა დაავალეს, შემდეგ კი ჰკითხეს, როგორ გამოიყურებოდნენ და რამდენად კმაყოფილები იყვნენ საკუთარი გამოსვლით. აქაც, ლუდის ზომიერად მომხმარებლებმა თქვეს, რომ უფრო თავდაჯერებულები იყვნენ.

ასეა, მეგობრებო: ლუდი მართლა წამალია, თუკი მას ზომიერად მოიხმართ. მევლუდს უყვარს ლუდი და უყვარხართ თქვენ. ამიტომ მომდევნო პოსტებში კიდევ საინტერესო თემებზე ვისაუბრებთ, იმ სასმელზე, რომლის სიყვარულიც გვაერთიანებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

იური ლუჟკოვი თბილის

„6 თვის წინ კორპუსის საძირკველში გარკვეული ბიძგები შეინიშნებოდა“

ემზარ ასპანიძე: „მარტო საქართველოში კი არა, მსოფლიოში რაც არ უნდა მოხდეს, ეს შენობა ერთ-ერთი იქნება, რომელიც ძალიან მყარად იდგება...“

სალომე ჯოლია

თბილისის ცენტრში, კერძოდ ცირკის მოპირდაპირე მხარეს, თამარ მეფის ხიდთან, პირდაპირ კლდეზე უკვე კარგა ხანია მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობს. სამუშაოები ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება, თუმცა უცნობია, რამდენად უსაფრთხოა კლდეზე აშენებული პენტჰაუსი. ამ საკითხის გარკვევის პროცესში საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია გვიამბეს. ამბობენ, რომ მრავალსართულიანი პენტჰაუსის უკან მოსკოვის ყოფილი მერის, იური ლუჟკოვის ინტერესები დგას, თუმცა ამაზე ოდნავ ქვემოთ გიამბობთ. მანამდე კი გაგაცნობთ მშენებლობაზე დასაქმებული ერთ-ერთი მუშის ნაამბობს, რომელმაც ანონიმურობის დაცვის გარანტიით გვიამბო, რომ დაახლოებით ექვსი თვის წინ აქ მიწისქვეშა ქანები დაიძრა და სამშენებლო პროცესი 6 თვით შეჩერებულიც კი იყო. ცნობილია, რომ კლდეზე, სადაც ეს კორპუსი შენდება, გრუნტის წყლები ჩამოედინება და შიგადაშიგ კლდის პირიც იშლება ხოლმე.

მშენებლობას „ინოვაციური სამშენებლო-საინჟინრო კომპანია“ აწარმოებს. მაღალი რისკების მიუხედავად, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, კორპუსში ერთი კვადრატული მეტრის ფასი დაახლოებით 3500 დოლარიდან 5000 დოლარამდე მერყეობს.

კომპანია, რომელიც სამუშაოებს აწარმოებს, ირწმუნება, რომ არანაირი საფრთხე არ არსებობს და „რაც არ უნდა მოხდეს, შენობის სიმყარეს საფრთხე არ დაემუქრება“. კომპანიის დირექტორი ემზარ ასპანიძე ამბობს, რომ ამ ადგილზე აშენებული კორპუსი საკმაოდ უსაფრთხოა. მისი თქმით, კლდე არის მეშვიდე-მერვე კატეგორიის გრუნტი. მინა კი – პირველი-მეორე კატეგორიის გრუნტი. ამიტომ ბევრად უფრო უსაფრთხოა კლდეზე მსგავსი შენობა-ნაგებობების აშენება.

ემზარ ასპანიძე, კომპანიის დირექტორი:

„როგორ ფიქრობთ, კომპანია, რომელიც 70 მილიონი დოლარის ინვესტიციას ახორციელებს, არ ითვალისწინებს, სად და როგორ აშენებენ კორპუსს?! ეს არის მეშვიდე კატეგორიის გრუნტზე აშენებული. აქ ჩატარებულია არა მარტო გეოლოგიური კვლევები, არამედ გეოფიზიკური კვლევებიც (გეოფიზიკის ინსტიტუტის მიერ), დასკვნები მომზადებულია ერთ-ერთი სერიოზული ბიუროს – კაპიტელის მიერ. ჩატარებულია აბსოლუტურად ყველა გეოლოგიური სამუშაო, რომელიც მიმდინარეობდა ორი წლის განმავლობაში. გარდა ამისა, საპროექტოდ უნდა ყოფილიყო 80-სანტიმეტრიანი ფილა, მაგრამ ჩვენ გავაკეთეთ 180-სანტიმეტრიანი რკინა-ბეტონის ფილა. მარტო საქართველოში კი არა, მსოფლიოში რაც არ უნდა მოხდეს, ეს შენობა ერთ-ერთი იქნება, რომელიც ძალიან მყარად იდგება“.

ამ ადგილას მრავალსართულიანი პენტჰაუსის აშენებაზე ნებართვა ჯერ კიდევ 2011 წელს გაიცა. ამბობენ, რომ კომპანიის მფლობელებს მერიიდან ნებართვის მიღება საკმაოდ ძვირიც დაუჯდათ და რომ არა გავლენიანი პირების ჩარევა, ეს პროცესი დიდი ხნის განმავლობაში გაჭიანურდებოდა.

გავლენიანი პირი კი ამ კომპანიის ირგვლივ მართლაც არაერთია. კომპანია ოფიციალურად ნიკოლოზ ორჯონიკიძის სახელზეა რეგისტრირებული. როგორც ჩვენი წყარო გვიყვება, რეალური მეპატრონე კი რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მილიარდერი სოსო ორჯონიკიძე და მოსკოვის ყოფილი მერი, იური ლუჟკოვი არიან.

სოსო ორჯონიკიძე რუსეთში მოღვაწე ქართველი მილიარდერია, რომელსაც 90-იანი წლებიდან საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეკავა მოსკოვის მერიაში. სწორედ მერიაში მუშაობის დროს დაუახლოვდა ის მოსკოვის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და გავლენიან მერს იური ლუჟკოვს და მისი მრჩეველიც იყო. შემდგომში ლუჟკოვმა ის თავის მოადგილედ დანიშნა. ის კურირებდა საგარეო ეკონომიკურ და საინვესტიციო საქმიანობას. ამბობენ, რომ ორჯონიკიძემ და ლუჟკოვმა საერთო ბიზნესსაქმიანობა სწორედ იმ პერიოდიდან წამოიწყეს. მათ სახელს უკავშირდება „ინოვაციური საწარმოების კავშირი“, რომლის პრეზიდენტიც სოსო ორჯონიკიძე გახლდათ.

ინტერნეტგამოცემა BPN წერდა, რომ მოსკოვის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მერი იმდენად ენდობოდა მის ბორჯომელ პარტნიორს (სოსო ორჯონიკიძე წარმოშობით ბორჯომიდან გახლავთ), რომ თავის დროზე, რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის „შეთავაზებაც“ კი არ გაითვალისწინა და არ გაათავისუფლა სოსო ორჯონიკიძე, რომელიც პუტინის „შავ სიაში“ მოხვდა.

„ვლადიმერ პუტინი მოსკოვის მერს იმ ჩინოვნიკების განთავისუფლებას სთხოვდა, რომელთა მიმართაც სამართალდამცავ ორგანოებს, მათი დეპარტამენტის საქმიანობიდან გამომდინარე, შეკითხვები გაუჩნდათ. თუმცა, ერთადერთი, რაც ლუჟკოვმა გააკეთა, ეს ორჯონიკიძის დაქვემდებარებაში მყოფი დეპარტამენტისთვის სახელის გადარქმევა იყო. ქართველ მილიარდერს კი კვლავინდებურად დარჩა ტენდერების, ასევე ტურისტული და სათამაშო ბიზნესის მაკონტროლებელი ბერკეტები“, – წერდა ზემოხსენებული გამოცემა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ში პენტჰაუსს ამენებს?!

EXCLUSIVE

„ეს კომპანია ეკუთვნის 50 კაცზე მეტს და არ ვიცი, ვინ არის მეწილე და ვინ – არა“

სოსო ორჯონიკიძე მოსკოვის მერიაში საქმიანობას საბოლოოდ რამდენიმე წლის წინათ, იური ლუჟკოვის მერობის პოსტიდან გადაყენების შემდეგ დაემშვიდობა. ჩინოვნიკური საქმიანობის დასრულების შემდეგ ქართველმა მილიარდერმა და მოსკოვის მერმა აქტიურად განაგრძეს სამშენებლო ბიზნესი. როგორც ჩანს, მათი ინტერესის სფეროში მოექცა თბილისიც, სადაც 2011 წელს სწორედ ზემოხსენებულ კლდეზე ფეშენებელური პენტჰაუსის აშენება გადაწყვიტეს, თუმცა სოსო ორჯონიკიძეც და იური ლუჟკოვიც საქართველოში აქამდეც ფლობდნენ რამდენიმე ბიზნესაქტივს, მათ შორის უძრავი ქონების ობიექტებს თბილისში, ბორჯომსა და ბათუმში.

მათ შორის, იური ლუჟკოვის მეუღლის საკუთრება გახლდათ ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი „ბათუსი“, რომელიც ბათუმის მერიამ 2006 წლის 11 აგვისტოს აუქციონზე გაყიდა. უძრავი ქონების ერთადერთი მყიდველი შპს „აჭარინვესტი“ აღმოჩნდა.

საჯარო რეესტრის ოფიციალური მონაცემებით, „აჭარინვესტის“ დამფუძნებელი ჰოლდინგი „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფია“. მისი მფლობელი კი ოფშორულ ზონაში, კერძოდ, მარშალის კუნძულებზე, 1994 წელს დაარსებული კომპანია „ჩემექსიმ ინტერნეიშენალ ლიმიტედია“. ამ კომპანიას ჰყავს ერთადერთი ქართველი პარტნიორი, საქართველოს პარლამენტის წევრი დავით ბეჟუაშვილი. ის საქართველოს საგარეო დაზვერვის სამსახურის ექსხელმძღვანელისა და საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის, გელა ბეჟუაშვილის ძმაა.

როგორც ჩანს, მაშინ სააკაშვილის ხელისუფლებამ ბათუმში იური ლუჟკოვის ბიზნესაქტივებს შეუტია და ქონება მასთან დაახლოებულ ბიზნესმენს, დავით ბეჟუაშვილს გადასცა. ახლა ის არის გასარკვევი, რა მოხდა წლების შემდეგ ისეთი, რომ იმავე სააკაშვილის ხელისუფლებამ ლუჟკოვი-ორჯონიკიძის სამშენებლო ბიზნესს გზა გაუხსნა (შეგახსენებთ, რომ სამშენებლო ნებართვა თბილისში პენტჰაუსის მშენებლობაზე 2011 წელს არის გაცემული).

კომპანიაში, რომელიც მშენებლობის პროცესს ხელმძღვანელობს, ამბობენ, რომ ეს არის ავსტრიული ინვესტიცია, თუმცა იური ლუჟკოვთან კავშირების შესახებ არ საუბრობენ.

„ეს არის ავსტრიული კომპანიის ფილიალი და ეს კომპანია ეკუთვნის 50 კაცზე მეტს და არ ვიცი, ვინ არის მეწილე და ვინ – არა. ეს არ არის ჩემი საქმე, მე მშენებელი ვარ. ჩვენ მხოლოდ ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი“, – აცხადებენ „ინოვაციურ სამშენებლო-საინჟინრო კომპანიაში“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

არ გასინჯ

„არის აფთიაქები, სადაც ნაცნობებზე და მუდმივ კლიენტებზე უპრობლემოდ ყიდიან, მაგრამ მე არ მყავს არც ერთ აფთიაქში ნაცნობი“

„ეს იყო ჩვეულებრივი ჯოჯოხეთი, სიკვდილის ზღვარზე“

ლაშა ზარგინავა

რეალობიდან გასვლის მარტივი ხერხი თუ თვითდამკვიდრების ეფექტური საშუალება?! - სენი, რომლითაც შეპყრობილია ქართველი ახალგაზრდობის ძალიან დიდი ნაწილი, სახელად - ტოკსიკომანია.

მათთვის სრულიად უცხო წარმომავლობის აბები, ქიმიური ნაერთებით გაჯერებული ფხვნილები და კლუბებში გავრცელებული მსუბუქი ნარკოტიკები, რომლებიც მათი აზრით, ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის. ეს ყველაფერი საერთო ჯამში ქმნის არასასურველ, ზოგჯერ ფატალურ შედეგამდე მისულ შემთხვევებს. ბევრი ახალგაზრდა არასწორი მოხმარების, ან დოზის გადაჭარბებით მიღებული ინტოკსიკაციის შედეგად გარდაიცვალა. სახელმწიფოს მიერ გამკაცრებული კონტროლის მიუხედავად, ისინი მაინც ახერხებენ მსგავსი პრეპარატების შოვნას.

რა არის სინამდვილე და რის გამო ხდებიან ახალგაზრდები დამოკიდებული მსგავს პრეპარატებზე და ნივთიერებებზე, Prime Time ეცადა გაერკვია გამომწვევი მიზეზები და ყველაფერი მოესმინა თვითონ მომხმარებლებისგან, ან თუნდაც იმ ახალგაზრდებისგან, ვისაც ერთხელ მაინც გაუსინჯავს მსგავსი ნარკოტიკული საშუალებები.

ჩვენი რესპონდენტები ახალგაზრდები, სიცოცხლეს მოწყურებული ადამიანები არიან, მათი ძირითადი ნაწილი სტუდენტია, ან წარმატებული კარიერის საწყის ეტაპზე იმყოფება. სპორტსმენი, მხატვარი, მოცეკვავე. მათი სურვილი ნამდვილად არაა ნაადრევად მოისწრაფონ სიცოცხლე. არა, უბრალოდ, სურთ რეალობას სხვა განზომილებიდან შეხედონ, ეს მათი სიტყვებია, ყველა ხაზგასმით ამბობს, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ახერხებენ მოსაწყენი რეალობიდან გასვლას. ჩვენმა რესპონდენტებმა ვინაობის გამხელაზე უარი განგვიცხადეს.

Mago Style Planet - იგი ასე მოიხსენიებს თავის თავს. სულ რაღაც ოცი წლისაა, მაგრამ უკვე საკმაო გამოცდილება დაუგროვდა ნარკოტიკებთან ურთიერთობაში.

- მე 17 წლიდან დავიწყე მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარება, პირველი იყო მარიხუანა. სიმართლე რომ გითხრათ, როგორც მე ვიცი, მარიხუანა არ შეიცავს სიცოცხლისთვის სახიფათო ნივთიერებებს და ვეწეოდი პერმანენტულად, თუ იყო და იშოვებოდა, შანსს არ ვუშვებდი ხელიდან. უბრალოდ, მსიამოვნებდა, ვგრძნობდი სიმსუბუქეს, თავისუფლებას, რაც ახლა ამ გადმოსახედიდან მგონია კომპლექსი, ერთგვარი კომპლექსი შინაგან მდგომარეობასთან, ვერ ვფლობდი საკუთარ პიროვნებას ისე, რომ იგი მე ფხიზელს მემართა. სწორედ მაგ პერიოდში შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში აბები, გაურკვეველი წარმომავლობის და ჩემთვის უცნობი დანიშნულების აბები, რომლებსაც ძალიან ხშირად ვიღებდი, ეს იყო კონკრეტულად რომ გითხრათ მაგიტუსი. მაშინ მეგონა, რომ მის ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას ყველაზე ბედნიერი ვიყავი, თავისუფალი და ამავდროულად მიმაჩნდა, რომ ცუდს არაფერს ვაკეთებდი, თითქოს ჩემი პიროვნება გაორდა, გაიყო და ცუდმა მხარემ, ფაქტობრივად, მეფეც მე ვიყავი, მოქალაქეც, შენობაც და თვით ღმერთი, მმართველი იქაურობის, ვაშენებდი, ვანგრევდი, ვხოცავდი და ვაჩენდი. ეს ყველაფერი ერთგვარ სიამოვნებას მგვრიდა, მომწონდა ის რეალობა, რომელშიც არსებული, მოსაწყენი რეალობიდან გადავდიოდი და მაქსიმალურად ვცდილობდი უფრო და უფრო მეტი აღმომეჩინა მისი ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას. ხატვა ვახსენე, ხო, ზუსტად მისი ხემოქმედების ქვეშ დავიწყე ახალი ხატვა, გაგიკვირდებათ და ზუსტად ასეა, ახალი ხატვა, ანუ სრულიად სხვა სტილში დავიწყე ქაღალდზე გადმოტანა იმ ყველაფრისა, რასაც ვხედავდი, თვალებს ვხუჭავდი და მაქსიმალურად ვცდილობდი მეტი მეფიქრა, იყო ცუდი, კარგი, ბოროტი, კეთილი და მე ამ ყველაფერს ვაერთიანებდი ერთ ნახატში.

ერთი კონკრეტული მაგალითი მინდა მოგიყვეთ, ეს ეხება ბიოს, რომლის გასინჯვასაც დღემდე ვნანობ. მეგობრებთან ერთად ვიყავი და მე, როგორც ყველაფრის მოყვარულმა, უარი არ ვთქვი ბიოზე, რომელიც სრულიად სხვა სახეობის, ქიმიური შენარევებით გაჯერებული ნარკოტიკია, იმ კონკრეტულ შემთხვევაში კი იყო ბიო-კოკსი, ანუ ბიო კოკაინის შემცველობით. მოვწიეთ, ეს იყო მხოლოდ სამი ნაფაზი, რის შემდეგაც დაიწყო ყველაფერი, ის ჯოჯოხეთური ტანჯვა, რომელიც იმ დღეს გადავიტანე. თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო, ბევრი სიცილი, გართობა, სეირნობა მეგობრებთან ერთად და ბოლოს ერთბაშად მომაწვა ყველაფერი, ცუდი ფიქრები, ზმანება უცნაური გამოსახულებებისა და ჰალუცინაციები. დავჯექი, ზუსტად მახსოვს, ვხედავდი, რომ ჩემი სხეულიდან რაგაც თეთრი ნათება გავიდა, გავიდა და ჩემს თვალწინ გაქრა, გაუჩინარდა. ამიტანა შიშმა და ფიქრებმა იმაზე თუ რა იყო ეს ნათება. მერე, მოულოდნელად, გაიხსნა სამყარო და უფსკრულში მივექანებოდი, იყო თეთრი შუქი და მოლოდინი იმისა, რომ დამთავრდება, ცოტაც და მორჩება ეს ჯოჯოხეთური ვარდნა და მოულოდნელად აღმოვჩნდი ღმერთის, ნუ მე ასე წარმოვიდგინე, ასე დავინახე, აღმოვჩნდი უფლის წინაშე მუხლმოყრილი და მასთან დიალოგიც კი გავმართე. ეს იყო ჩემი მხრიდან უდიდესი თავნებობა, მე შევძელი და ჩემში, ჩემს წარმოსახვაში უფალი დავინახე, მასთან ვისაუბრე და მის ვერც ერთ კითხვას პასუხი ვერ გავეცი, რამაც კიდევ უფრო შემაშინა და სხვა რეალობაში მომისროლა. რეალობას იმიტომ ვუწოდებ ამ ყველაფერს, რომ მართლა ძალიან რეალური იყო, ყველაფერი დეტალურად მახსოვს. შემდეგ იყო ჩემი სხეულის მოულოდნელად დაპატარავება და გავრბოდი ქუჩაში, ვიცდენდი დიდი, გიგანტური ადამიანების ნაბიჯებს და შიშისგან გული მისკდებოდა, ბოლოს ერთ-ერთმა მათგანმა ხელი ჩამავლო ქეჩოში, სადღაც ბნელ ოთახში შემიყვანა და საკეპ მანქანაში მატარებდა, იმდენად დიდ ტკივილს განვიცდიდი, რომ ვერ აღვწერ, სინამდვილეში კი მე, როგორც მეგობრებმა მითხრეს, ვიხრებოდი და უფრო და უფრო ვიხრებოდი ფეხებისკენ, ვუჭერდი ხელებს მთელ სხეულს და ამისგან განვიცდიდი ამ საშინელ ტკივილს. მერე იყო საშინელი დარტყმები, თითქოს ლოდი მეცემოდა, არა და რეალურად მეგობრები ცდილობდნენ ჩემს გამოფხიზლებას სახეში სილის გაწვნით. მოვახერხე და დავძლიე ეს მდგომარეობა, გამოვედი, მას მერე იმ დღეს მეგობრებთან ერთად ვისეირნე, ვჭამეთ, ბევრი ვისაუბრეთ, გავიხსენეთ ჩემი მდგომარეობა და ერთ მომენტში ყველაფერი ისევ ხელახლა დაიწყო, მოულოდნელად ჩემს წინაშე აღმოვჩნდი მე, ზუსტად ისეთივე, როგორიც სიმანდვილეში ვარ და მასთან, ანუ მესთან გავმართე ჩვეულებრივი დიალოგი, ის, ანუ უკეთესი, კეთილი მე რჩევებს მაძლევდა, მარიგებდა და ყველანაირად ცდილობდა იმ, შავბნელი სამყაროსთვის გამოეგლიჯა ჩემი თავი. ვფიქრობ, რომ ეს შეძელი! ახლა მაქსიმალურად ვცდილობ ნაკლებად ვიყო მასზე დამოკიდებული, ეს იქნება ბიო, აბები, თუ ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალება, მე ვერიდები და ვერ ვიტყვი, რომ საბოლოდ დავძლიე, მაგრამ ისეთივე სიხშირით არ ვიღებ. უამრავი რამ დამიხატავს მისი ზემოქმედების ქვეშ, იმდენი დამიგროვდა, რომ შეიძლება გამოფენაც კი გაკეთდეს, უბრალოდ, ჯერ არ მინდა იმ, ბევრად უფრო სერიოზული ნახატების გამოჩენა, ჯერ ისინი მხოლოდ ჩემია და იმედია მოვა დრო და საზოგადოებასაც ვანახებ, მანამდე არის რამდენიმე ნახატი, რომლის ნახვა ყველას შეუძლია. მე ყველას მოვუწოდებ, ვინც ამ უბედური სენითაა შეპყრობილი, იფიქრონ მომავალზე, იფიქრონ, პირველ რიგში დედაზე, რომელიც ნამდვილად არაა ღირსი ნახოს რეალობაარეული შვ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ო!! საშიში და მავნებელია

„ალმოვჩნდი უფლის წინაშე მუხლმოყრილი და მასთან დიალოგიც კი გავმართე“

ილი, რომელიც ცხრა თვე მუცლით ატარა. მიყევით ჯანსაღი ცხოვრების წესს, ამას არაფერი ჯობს, მე ამას რომ ვამბობ, ცოტა უცნაურია, მაგრამ გვიანი არასდროსაა, სანამ პირში სული გვიდგას.

იგი ჩვენი ერთადერთი მდედრობითი სქესის წარმომადგენელი რესპონდენტია. ბევრ გოგოსთან ვეცადე ამ თემაზე საუბარს, მაგრამ არავინ ისურვა მისი სიტყვების საჯაროდ გამოტანა. მან კი კეთილი ნება გამოიჩინა და ეცადა მაქსიმალურად აღეწერა ის ყველაფერი, რაც განუცდია მსუბუქი თუ არამსუბუქი ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას.

ნანა:

- მე შემიძლია ვისაუბრო მეტამფეტამინზე, ნამდვილდ ვიცოდი, რომ ძალიან სახიფათო იყო, მაგრამ მაინც გავრისკე და გავსინჯე, ეს იყო ძალიან პატარა დოზით, იგი ინვევს დეზორიენტაციას და შეიძლება სრულიად შეუსაბამო, არაადეკვატური რამ ჩაიდინო, თავში გიტრიალებს უცნაური აზრები. ვიღაც შეიძლება მისი ზემოქმედების ქვეშ ძალიან ცუდად გახდეს, ან პირიქით. მაქსიმალურად ვცდილობ მარტო ყოფნისას არ მივიღო, მარტო როცა იღებ „იგრუზები“ და ცუდი ფიქრებისკენ ხარ მიდრეკილი. ამ ნარკოტიკს ძალიან მარტივად შეუძლია მასზე დამოკიდებული გაგხადოს, როცა პირველად მივიღე მეტამფეტამინი, ეს იყო სრული სიგიჟე, ბევრი რაღაც არ მახსოვდა მეორე დღეს. მისი ზემოქმედების ქვეს ყოფნისას ალკოჰოლი დავლიე უამრავი, კონკრეტულად სამი ბოთლი ვისკი, ანუ გემოს შეგრძნება დავკარგე და როგორც წყალს ისე ვსვამდი ალკოჰოლს, რომელიც მეზიზღება. ასევე გაკარგვინებს მადას. მეორე დღეს აშკარად გრძნობ, რომ გინდა, გთხოვს ორგანიზმი, გაქვს „ლომკა“ ოღონდ არა ისეთი, როგორსაც ფილმებში ვხედავთ, არა, უბრალოდ, გინდა და თავს არაკომფორტულად გრძნობ. ძალიან მტკიოდა ძვლები, საჭმელი თითქმის არ მინდებოდა, ვერ ვსვამდი წყალს და მარტივად რომ გითხრათ, პრობლემა ხდება უკვე, პირველივე გასინჯვიდან რამაც, ძალიან შემაშინა.

რაც შეეხება მოხმარების სიხშირეს, სიმართლე რომ გითხრათ არ ვარ „შემჯდარი“, უბრალოდ, როცა არის საშუალება უარს ნამდვილად არ ვამბობ.

მე გამისინჯავს ლირიკა, ექსტაზი, მეტამფეტამინი, MDMA, LSD და, რა თქმა უნდა, მარიხუანა და მსგავსი სახეობის რამდენიმე მსუბუქი ნარკოტიკი, ასევე ახალი, ქართული ნარკოტიკი მინა, რომლის გასინჯვასაც არავის ვურჩევ, ეს იყო ჩვეულებრივი ჯოჯოხეთი, სიკვდილის ზღვარზე ვიყავი და შემთხვევით, სრულიად უცნობმა ბიჭმა გადამარჩინა.

„ღმერთს შევთხოვდი ეს იყო დედასთან თუნდაც ბოლო, თუნდაც უკანასკნელი ზარი, რომ პატიება მეთხოვა მისთვის“

მისი ცხოვრება თითქოს არაფრით განსხვავდება სხვებისგან, ერთი ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქეა. სტუდენტი, ჰყავს უამრავი მეგობარი და იმისი წარმოდგენაც კი გაგიჭირდებათ რომ, ის მსგავსი პრეპარატების მომხმარებელია.

გუგა:

- როცა პირველად გავსინჯე მაგიტუსი, ეს იყო გამოწვეული უსაქმურობით, ვიყავი ძმაკაცებთან ერთად რაგაც კონცერტზე, რომელიც, სიმართლე გითხრათ, არც მე და არც ჩემს ძმაკაცებს არ გვაინტერესებდა. ერთ ძმაკაცს გაუჩნდა იდეა რამე აბებით „გვეკაიფა“ და ვიყიდეთ მაგიტუსი, რომელიც იმ დროს ღირდა ხუთი ლარი ორი ფირფიტა და აღსანიშნავია, რომ იმ დროს ეს წამალი ყველგან, ნებისმიერ აფთიაქში ურეცეპტოდ იყიდებოდა, როგორც ვიცი ხველების საწინააღმდეგო წამალია, მაგრამ შეიცავს ისეთ ნივთიერებებს რაც საბოლოო ჯამში, დიდი დოზით მიღებისას ინვევს ჰალუცინაციებს და ერთგვარ „კაიფს“. ჩვენც სწორედ ასე მოვიქეცით, ვიყიდეთ მთელი ფლაკონი და სამივემ თანაბარი რაოდენობით მივიღეთ, ორი საათის განმავლობაში არაფერი ცვლილება არ გვიგრძნია, ზუსტად ორი საათის მერე დაიწყო ყველაფერი, ეს იყო მარტივად რომ გითხრა, უფრო შიში და ერთგვარი რეალობიდან გასვლა, ვიდრე სიამოვნება. იმდენად შემეშინდა რომ დავდიოდი, ვცდილობდი ბევრი მელაპარაკა, არ მიმეცა თავისთვის საშუალება, რომ მოვდუნებულიყავი. ზუსტად იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ძმაკაცებიც.

არ ვიცი რა გითხრა, რატომ ვაკეთებთ ამას, ალბათ, რეალობიდან გასვლის ერთ-ერთი საშუალებაა, მაგიტუსის გარდა ასევე სხვა აბაბიც გამისინჯავს, ყველაზე დიდი „მუღამი“ მაინც გრიმოდინს აქვს, უბრალოდ, ერთი პრობლემაა, ახლა არსად იშოვება, არ ვიცი შეიძლება ვიღაცები სადმე ახერხებენ შოვნას, მაგრამ მე, სამწუხაროდ, ვერ ვყიდულობ. ისე ვიცი, რომ არის აფთიაქები, სადაც ნაცნობებზე და მუდმივ კლიენტებზე უპრობლემოდ ყიდიან, მაგრამ მე არ მყავს არც ერთ აფთიაქში ნაცნობი.

ასევე გამისინჯავს რაღაც წამალი, რომელსაც ტრიგანი ჰქვია, ნამდვილად არ ვიცი რისი წამალია, ძალიან ჰგავს აი მაგალითად ანალგინის აბს, სტანდარტული აბია, რომელსაც ხუთ ცალს ვიღებდი და სიმართლე გითხრა, საერთო ჯამში ძალიან ცუდ შეგრძნებებს იწვევს. ძალიან გძაბავს და გიბიძგებს ცუდი ფიქრებისკენ, ძალიან გამძიმებს და ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს სამასი კილო ვიყავი და სიამოვნებას, მხოლოდ ერთ ადგილას გდებისგან ვიღებდი.

ყველაზე მარტივია ბაკლოსანის შოვნა, ასევე მაგიტუსიც შეიძლება იშოვო, გრიმოდინს რაც შეეხება, ძალიან რთულია მისი შოვნა, ლირიკაც თითქმის არ იშოვება, ტრიგანი და მსგავსი უბედურებების შოვნა მარტივია. უბრალოდ, ახლა ვცდილობ მაქსიმალაურად ავარიდო თავი, არის მომენტები, როცა უარს ვერ ვამბობ,

„ეს იყო დღე, რომელიც არასდროს წაიშლება ჩემი ცხოვრებიდან, დღე, როდესაც სიცოცხლე ბევრად მეტად დავაფასე“

მაგრამ ცდა ბედის მონახევრეა, ვცდილობ შევეშვა.

მისთვის ცხოვრების აზრი ცეკვაა, არასდროს ნებდება. მას ყველა იცნობს, როგორც ძალიან ძლიერ პიროვნებას, მეგობრებისთვის ერთგვარი სტიმულის მიმცემი და გამამხნევებელია. მაგრამ არის მეორე მხარე, უნებისყოფობა, რომელსაც თვითონაც აღნიშნავს.

ლუკა:

- როცა პირველად გავსინჯე ნარკოტიკი, ეს იყო რამდენიმე წლის წინ, მოვხვდი მეგობართან ერთად ისეთ წრეში, რომლებიც კარგად ერკვეოდნენ ნარკოტიკებში და ფაქტობრივად, ყოველდღიურად მოიხმარდნენ ამა თუ იმ ნარკოტიკს. მეც არ ვთქვი უარი, რადგან მეგონა, რომ ეს იყო ჩვეულებრივი მარიხუანა, მაგრამ, აღმოჩნდა ბიო, ეგრეთ წოდებული ფხვნილი. პირველივე ნაფაზისას, ორ წამში ვიგრძენი, რომ სრულიად სხვა, არაამქვეყნიურ სამყაროში გადავედი, თითქოს სხეული დავტოვე და მას ზემოდან ვუყურებდი, ვხედავდი თუ რამდენად უძლური და, ფაქტობრივად, სიკვდილის პირას მყოფი მე ვეგდე იატაკზე გათიშული, ეს იყო გარდამტეხი მომენტი, როცა მე დავასკვენი რომ, მორჩა, მოვკვდი, გავედი ამ ქვეყნიერებიდან და სადღაც შორიდან დავიცქერი ჩემს ნეშტს. ვცდილობდი მეყვირა, შველა მეთხოვა, მაგრამ ვერც კი ვინძრეოდი, ხელის აწევა, ხმის ამოღებაც კი არ შემეძლო. როგორც მეგობრები ამბობენ, რამდენიმე წამი პულსიც კი არ მესინჯებოდა, უბრალოდ, ვეგდე გონებადაკარგული და რამდენიმე წამის მერე, მოვედი გონს, ვერ ვიტყვი, რომ საღ გონებას დავუბრუნდი. ერთი რამ მოვახერხე, წამოდგომა და გასვლა ოთახიდან - აი, სწორედ მანდ დაიწყო ის ახალი შეგრძნებები, არ გამოვირჩევი დიდად მორწმუნეობით, მაგრამ ღმერთის არსებობის მჯერა და პირველი, რასაც ღმერთს შევთხოვდი, იყო დედასთან თუნდაც ბოლო, თუნდაც უკანასკნელი ზარი, რომ პატიება მეთხოვა მისთვის. მეგობრებმა მითხრეს, რომ ბოლო ხმაზე გავყვიროდი დედა მინდას, ეს იყო ნამდვილად ამქვეყნიური ჯოჯოხეთი. მოვიკრიბე ძალა და სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით გავიქეცი, სახლამდე სირბილით მივედი და გზაში, ხან სამაჯურებს ვიგლეჯდი და ხან ტანსაცმელს. როცა სახლამდე მივაღწიე, მახსოვს ოთახში დედა და მეზობელი ქალი იყვნენ, შევედი თუ არა ბიბლიიდან მონანიების ფრაგმენტი წავუკითხე დედას ზეპირად, მიუხედავად იმისა, რომ ბიბლია არასდროს წამიკითხავს, არ ვიცი შეიძლება შორეულ წარსულში მქონდა შეხება, ან სადმე წავიკითხე, ან ვინმესგან მოვისმინე, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ იმ დღეს ეს ყველაფერი ზეპირად, არაამქვეყნიური ხმით ნავუკითხე დედას... ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვიყავი, აი, თითქოს ბეწვის ხიდზე გავიარე. ეს იყო დღე, რომელიც არასდროს წაიშლება ჩემი ცხოვრებიდან, დღე, როდესაც სიცოცხლე ბევრად მეტად დავაფასე.

რაც შეეხება ზოგადად მსგავსი ტიპის ნარკოტიკების მოხმარებას, ეს ერთგვარი ტენდენციაა. დღევანდელი ახალგაზრდობა თითქოს ამ ყველაფრით ცდილობს ადგილის დამკვიდრებას კონკრეტულ სოციალურ ფენაში. ძალიან შემცირდა ასაკობრივი ზღვარი მომხმარებლებში, 13-14 წლის ბავშვები ხდებიან ამ საშინელი პრეპარატების მხსვერპლი და ეს, ჩემი აზრით, უდიდესი უბედურებაა.

მე გამისინჯავს ასევე ციკლოპი, ეს არის ერთგვარი აბი, რომელიც სრულად გადუნებს, ჩემ შემთხვევაში მოქმედება იყო სრულად შენელებული, მისი ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას ჰალუცინაციები ნამდვილად არ იყო, უბრალოდ, შეგრძნება მქონდა, რომ ძალიან დავიღალე, ყველაფრი მეზარებოდა და ერთ ადგილას ჯდომისგან ვიღებდი სიამოვნებას. ასევე ვიღებდი ანდანტეს, მისი ეფექტი იყო დროის გაჭიანურება, ყველაფერი გაინელა, ორი წამი ერთ საათად მეჩვენებოდა და იყო პატარა ჰალუცინციები, მაგალითად, ვუყურებდი ნატურას და აღვიქვადი როგორც ულამაზეს ყვავილს. აქვს ერთი ძალიან ცუდი თვისება, რომ გავიწყდება რა ხდებოდა ორი წამის წინ, თითქოს ცდილობ დარჩე რეალობაში, მაგრამ მაინც გადიხარ წამიერად. მიუხედავად ამ ცუდი გამოცდილებისა, ამდენი შიშისა და რისკისა მაინც წაგვიცდება ხოლმე ახალგაზრდებს ხელი მსგავსი პრეპარატებისკენ.

ეს არის რეალობა, რომელშიც უწევს ქართველი ახალგაზრდობის დიდ ნაწილს ყოფა. იქნებ არის რამე საშუალება, მარტივად რომ ვთქვა, ხსნა, რითიც ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრება მსგავსი პრობლემები. ბევრს ხსნად ესახება მარიხუანას ლეგალიზება და დეკრიმინალიზაცია. იქნებ მართლა იყოს ეს გამოსავალი, იქნებ მართლა შემცირდეს ახალგაზრდების უხეშად რომ ვთქვათ, სულელური მიზეზებით გარდაცვალების შემთხვევები. მეტი ფიქრი და ქმედითი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო ამ პრობლემის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად და სწორედ ეს ქმედითი ნაბიჯები სახელმწიფომ, მთელმა ქვეყანამ, საზოგადოებამ უნდა გადადგას. მეორე საკითხი მზაობაა - ვართ კი მზად?! - ვცადოთ, ცდა ბედის მონახევრეა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სკანდალი კო

მონიტორინგის დასკვნა: „დაფიქსირებული იყო 5 ბავშვის ცხელი წყლით დამწვრობისა და საპასუხო რეაგირების სტაციონარში გადაყვანისა და მკურნალობის კურსის ჩატარების ფაქტი“

ნინო გაბინაშვილი

2014 წლის იანვარში ჯანდაცვის სამინისტრომ თავისავე მმართველობაში არსებულ თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა. მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშის მიხედვით, თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში შემდეგი დარღვევები ფიქსირდება: ბენეფიციარები არ სარგებლობენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებით, ბავშვები ძირითად დროს დაწესებულებაში ატარებენ; სამედიცინო პროფილაქტიკური შემოწმება (ლაბორატორიული კვლევები) რეგულარულად არ ტარდება; ბავშვების ნაწილს დაგვიანებით ან საერთოდ არ აქვს ჩატარებული ასაკის შესაბამისი იმუნიზაცია; დარღვეულია საკვები პროდუქტის შენახვის ნორმები; მომსახურებაში ჩართული პერსონალის უმრავლესობას არ აქვს გავლილი სატრენინგო კურსი; არ ხორციელდება რეგულარული მონიტორინგი თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით. აღნიშნულ დოკუმენტაციაში დაფიქსირებული იყო 5 ბავშვის ცხელი წყლით დამწვრობისა და საპასუხო რეაგირების (სტაციონარში გადაყვანა და მკურნალობის კურსის ჩატარება) ფაქტი.

მონიტორინგი, რომელმაც ეს დასკვნა დადო, გასული წლის იანვარში ჩატარდა. „პრაიმტაიმი“ დაინტერესდა, რა სიტუაციაა ამჟამად ნუცუბიძეზე მდებარე ჩვილ ბავშვთა სახლში. ბავშვთა სახლის დირექტორი გამორიცხავს დარღვევებს.

დავით პავლიაშვილი, ბავშვთა სახლის დირექტორი:

– ყველა ჩვენი ბენეფიციარი არის სახელმწიფოს პატრონაჟის ქვეშ. ძირითადად, ბავშვები, რომლებიც სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ არიან, ანუ მშობლებმა სხვადასხვა მიზეზით უარი თქვეს მათზე. ამის მიზეზი შესაძლოა, იყოს სოციალური პირობები, ოჯახური კონფლიქტი, ან ბავშვის თანდაყოლილი დიაგნოზი.

ძირითადად ყველა საჭიროებს მუდმივ სამედიცინო მეთვალყურეობას. 24 საათის განმავლობაში ექიმი და ექთანი მორიგეობს. გარკვეული პერიოდულობით ამ ბავშვებს ვუტარებთ სამედიცინო გამოკვლევებს.

– ამჟამად ეს ბავშვები საყოველთაო დაზღვევით სარგებლობენ, როგორ ხდებოდა ადრე?

– ადრე სარგებლობდნენ კერძო სადაზღვევო კომპანიის დაზღვევით.

– იმუნიზაცია პერიოდულად ტარდება? 2014 წელს ჩატარებულ მონიტორინგის დასკვნაში, ვკითხულობთ, რომ ირღვევა იმუნიზაციის კალენდარი.

– დიახ, პერიოდულად ტარდება კალენდრის მიხედვით. გვქონდა პერიოდი, როცა ავცდით კალენდარს, იმიტომ რომ ეს ბავშვები ხშირად მოავადენი არიან. ჩვენ გვემსახურება „მედ კაპიტალი საქართველო“. აქ მოდიან და ადგილზევე ვატარებთ აცრებს. სექტემბრის ბოლოს გვიწევს კიდევ ერთი ეტაპის ჩატარება.

– ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი როგორია?

– არ დაფიქსირებულა ბავშვთა სახლში რამდენიმე წელია.

– 2014 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ ადგილი ჰქონდა 5 ბავშვის დაწვას წყლით...

– 3 წელია, აქ ვარ და ერთხელ მოხდა ასეთი ფაქტი, ერთ-ერთ აღმზრდელს დაბანისას წყლით დაეწვა. ეს არ უნდა მომხდარიყო. ეს არის დაუდევრობა და ასეთი ფაქტი არ უნდა მოხდეს.

დავით პავლიაშვილი: „ამ ბავშვებთან მიმართებაში ძალადობაზე საუბარი ზედმეტია. გვაქვს ვიდეოკამერები, რომ არ იყოს უყურადღებობის ფაქტები“

ქეთი ხატიაშვილი

შეიძლება ითქვას, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა პარლამენტში დიდი ვაჭრობის შედეგადაც კი საკონსტიტუციო ცვლილებებზე შეთანხმება ვერ მიიღწევა. ახლა პირველად, ხელისუფლება საპარლამენტო ოპოზიციასთან ვერანაირ შეთანხებას ვერ მიაღწევს. არადა ეს მოახერხა შევარდნაძემ პარლამენტის მოკლე ისტორიაში ყველაზე ჭრელ პოლიტიკურ შემადგენლობასთან, მოახერხა სააკაშვილმა რომელმაც, როგორც ახლა იხსენებენ, ახლებთან და „ქდმ“-სთან მიაღწია შეთანხმებას... თუმცა, ახლა პოლიტიკაში ვითარება განსაკუთრებულია. „ნაციონალური მოძრაობისთვის“, არ წავიდეს არანაირ კომპრომისზე, პრინციპის საკითხია.

ასე რომ, საკონსტიტუციო კომისიის მუშაობა რომ თავიდანვე განწირული იყო, ბევრისთვის თავიდანვე ცხადი გახლდათ. დავით უსუფაშვილს არც იმდენი გავლენა და ავტორიტეტი აქვს, ოპოზიციასთან ურთიერთობა რომ რაიმენაირად დაალაგოს, ან რაიმე საკითხზე დაითანხმოს.

კონსტიტუციის ირგვლივ დღეს პოლიტიკური ვნებები გახურდა. ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს ბრალდებებს უყენებენ. ექსპერტების ვარაუდით, ამ პარლამენტში ვერანაირი ცვლილება ვერ გავა.

შეფასებები სხვადასხვაგვარია. ზოგი პოლიტიკურ შეფასებებს აკეთებს, ზოგიც ობიექტურ მიზეზებზე საუბრობს. თუმცა, ეს ის მათემატიკური შემთხვევაა, როცა ტოლობა არ იცვლება – რაც არ უნდა იყოს მიზეზი, შედეგი მაინც არ არის და არც იქნება.

საკონსტიტუციო კომისიას არც ერთ საკითხზე არც ერთ სამუშაო ჯგუფში ჯერ კენჭისყრაც კი არ ჩაუტარებია. ანუ თითქმის ორწლიანი მუშაობის შემდეგ არანაირი შედეგია არც ერთ თემაზე არ არსებობს.

ექსპერტ ვახტანგ მენაბდის შეფასებით:

„პრობლემა ის არის, რომ საკონსტიტუციო კომისიის მუშაობა, ფაქტობრივად, პარალიზებულია და მას ბოლო რამდენიმე თვეა, შეხვედრები არ გაუმართავს, მათ შორის დაახლოებით ერთი წელია, არც ერთი შეხვედრა არ ჩაუტარებია უშუალოდ იმ სამუშაო ჯგუფს, რომელსაც ვახტანგ ხმალაძე ხელმძღვანელობს და, რომელსაც უშუალოდ ევალებოდა იმ საკითხების განხილვა, რაც დღეს პარლამენტშია ინიცირებული. თუ მმართველ გუნდს ეს იდეა ჰქონდა და ამაზე სურდა მუშაობა, ცხადია, ეს საკითხი საკონსტიტუციო კომისიაში უნდა მომწიფებულიყო, თუმცა, სამწუხაროდ, უმრავლესობა მთელი წლის განმავლობაში უგულებელყოფდა კომისიის აღნიშნულ სამუშაო ჯგუფს და დემონსტრაციულად არ ატარებდა შეხვედრებს. დეპუტატების დიდი ნაწილი არ მონაწილეობდა სხდომებში, რის გამოც კვორუმი არასდროს იყო. კომისია მხოლოდ დამოუკიდებელი ექსპერტების, არასაპარლამენტო ოპოზიციისა და ცალკეული დეპუტატის იმედზე არსებობდა“.

ვახტანგ ხმალაძე: „მას, ვინც ხედავს და, ვისი აზრითაც, კონსტიტუციის პროექტის შეტანა პარლამენტში აზრს ჰკარგავს, იმიტომ რომ მაინც არ იქნება 3/4 მხარდაჭერა, არ უნდა თავის შეწუხება და სხდომებზე არ მოდის“

თუმცა, ასეთ შეფასებებს არ იზიარებს კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი. ის უშუალოდ არის ჩართული კომისიის მუშაობაში და მიიჩნევს, რომ კომისიაში შექმნილ

ვითარებას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს:

– ასეთი კატეგორიული არ ვიქნებოდი... მინდა გითხრათ, რომ გარკვეული სიძნელეები არსებობს კონცეფციასთან დაკავშირებით. ძირითადი საკითხი, რომელიც არის გადასაწყვეტი, ეს არის ურთიერთობა სახელისუფლებო შტოებს – სამეულს შორის: მთავრობა, პრეზიდენტი და პარლამენტი. ამის თაობაზე, რამდენადაც ვხვდები, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, რომელიც ძირითადად წარმოადგენს კომისიას, ერთიანი პოზიცია ჩამოყალიბებული არ არის. შესაბამისად, ის პროექტი, რომელიც შემოტანილი იყო ვახტანგ ხმალაძის სამუშაო ჯგუფში, ვერ სარგებლობს მხარდაჭერით, მან უმრავლესობა ვერ მოიპოვა.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო კომისიის მიერ მიღებული პროექტი უნდა მოიწონოს პარლამენტმა, მერე ხელი მოაწეროს პრეზიდენტმა. შესაბამისად, საჭიროა ორჯერ, სამი თვის ინტერვალით, სხვადასხვა სესიებზე ამ პროექტს მხარი დაუჭიროს პარლამენტის სრული შემადგენლობის 3/4-მა. ასეთი არ არსებობს. ამიტომაც, აზრსაც კი კარგავს რაიმე კონკრეტულის მიღება და პარლამენტში გატანა - ის განწირულია ჩავარდნისთვის. ანუ რაღაც ობიექტური მიზეზები არსებობს.

თუმცა, არის სამუშაო ჯგუფები, მაგალითად, მანანა კობახიძის ჯგუფი, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხება, სასამართლო ხელისუფლების ჯგუფი, რომელიც მუშაობს. მართალია, პროდუქტი ჯერ დადებული არ აქვს, მაგრამ გარკვეული მუშაობა მიდის.

მაგრამ პარლამ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნსტიტუციის გარშემო

ვაჭრობა, გარიგება და ოპოზიცია

ვახტანგ მენაბდე: „საკონსტიტუციო კომისიის მუშაობა, ფაქტობრივად, პარალიზებულია და მას ბოლო რამდენიმე თვეა, შეხვედრები არ გაუმართავს“

ენტი, პრეზიდენტი, პრემიერის სამუშაო ჯგუფი დიდი ხანია არც შეკრებილა. შესაბამისად, არც პლენარული სხდომები ჩატარებულა. თუმცა, რამდენადაც ვიცი, კომისიის სრული შემადგენლობის სხდომა უნდა ჩატარდეს.

– თქვით, რომ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა. ხმალაძის ვარიანტში როგორ არის გადანაწილებული უფლებამოსილებები?

– ვახტანგი ამბობს, რომ ეს წმინდა საპარლამენტო მოდელია. ანუ პრეზიდენტს უფლებამოსილებები უნდა შეუმცირდეს და ძირითადი აქცენტი გადავა მთავრობაზე, და მთავრობა პერსონიფიცირებულია პრემიერ-მინისტრის თანამდებობით. არის აზრთა სხვადასხვაობა...

– ანუ პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების შეკვეცაა მთავარი წინააღმდეგობა?

– ძირითადი ეგ არის... თუმცა მთლად ეგეც არ არის... იზრდება მთავრობის უფლებამოსილება, რთულდება საკანონმდებლო პროცესი, ძლიერდება პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილება. ეს არის ძირითადი საკითხები, რომელზეც შეთანხმება არ არის მიღწეული. არ ვიცი, „ოცნებაში“ რა ხდება, თუმცა, პოზიციების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ ერთიანი პოზიცია არ არის. „ოცნებიდან“ გამოვიდა ალასანიას ჯგუფი, რომელიც ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტის მომხრეა. აგრეთვე, არსებობს ჯგუფები, რომლებიც პრეზიდენტის უფლებების შემცირებას არ ეთანხმებიან. მთავარი გახლავთ ის, რომ პარლამენტში 3/4-ის შეკრება გამორიცხულია ამ ეტაპზე. ამ ეტაპზე კი არა, საერთოდ, დიდი ვაჭრობისა და გარიგებების გარეშე, ოპოზიცია მხარს არ დაუჭერს, მათ გარეშე კი 3/4 ვერ შეგროვდება.

– 1992-1995 წლის პარლამენტი ყველაზე ჭრელი იყო თავისი შემადგენლობითა და განწყობებით... მაშინ რა გარიგება შედგა შევარდნაძესა და ოპოზიციას შორის?

– მაშინ ვაჭრობა შედგა, რა თქმა უნდა. საკონსტიტუციო კომისიიდან წავიდა პროექტი, რომელიც პარლამენტში არ იქნება მიღებული. მერე გარკვეული ვაჭრობების, გარიგებებისა და კომპრომისების ფასად კონსტიტუცია მიიღეს, თანაც აბსოლუტურად განსხვავებული. კომისიიდან, ვთქვათ, წავიდა ფრანგული მოდელი, მერე პარლამენტმა ეს ჩააგდო და მიიღო ამერიკის მსგავსი საპრეზიდენტო მოდელი. დიდი ვაჭრობა შედგა.

– ვაჭრობის თემა რა იყო?

– ვერ გეტყვით. მე კომისიის მდივანი აღარ ვიყავი, კომისია აღარ არსებობდა. რესპუბლიკელებსა და შევარდნაძეს შორს იყო შეთანხმება... რესპუბლიკელებმა თავიდან არ დაუჭირეს მხარი კონსტიტუციას, მერე დაუჭირეს..

– და მერე არჩევნებიც ვერ მოიგეს, მახსოვს...

– დიახ, ვერ მოიგეს.

– ხმალაძის მოდელში პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს?

– დიახ. მაგრამ აქვს ალტერნატივაც. ან პარლამენტი აირჩევს, ან კოლეგია... კოლეგია, ანუ რეგიონების წარმომადგენლები და პოლიტიკური პარტიები. ხმალაძე პირდაპირი არჩევნების წინააღმდეგ გამოდის.

ვახტანგ ხმალაძე ვახტანგ მენაბდეს ვითარებაში კარგად გარკვევას ურჩევს. მისი განმარტებით, საკონსტიტუციო კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით არსებობს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები:

– იცით, რა? ასე ვიტყოდი: ეს ობიექტურიც არის და სუბიექტურიც. მას, ვინც ხედავს და ვისი აზრითაც, კონსტიტუციის პროექტის შეტანა პარლამენტში აზრს ჰკარგავს, იმიტომ რომ მაინც არ იქნება 3/4 მხარდაჭერა, არ უნდა თავის შეწუხება და სხდომებზე არ მოდის. რჩებიან ისინი, ვისაც აქვს ინტერესი, რომ ტექსტი დაიდოს კარგი, რომ ეგებ შემდეგ იყოს მიღებული.

ვახტანგ ხმალაძე ეთანხმება მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საკონსტიტუციო შეთანხმება ოპოზიციასთან უნდა შედგეს, თუმცა, ის ამ ეტაპზე ამის საშუალებას ვერ ხედავს: ძნელად წარმომიდგენია, ოპოზიციასთან რაიმე სახის გარიგება ან კომპრომისი შედგეს, და არამხოლოდ ამ პარლამენტში, კომპრომისის მიღწევა შეიძლება მომავალ პარლამენტშიც ძალიან გაჭირდეს. – განმარტავს ხმალაძე.

ავთანდილ დემეტრაშვილი: „ძირითადი საკითხი, რომელიც არის გადასაწყვეტი, ეს არის ურთიერთობა სახელისუფლებო შტოებს – სამეულს შორის“

ამის მიუხედავად, პარლამენტში რამდენიმე საკონსტიტუციო ცვლილებაა ინიცირებული. მათ შორის ერთ-ერთი იმ შეთანხმების გაუქმებას ითვალისწინებს, რომელიც თავის დროზე სააკაშვილსა და „ქდმ“-ს შორის შედგა. საქმე ეხება ბარიერის გადალახვის თემას. ანუ პარტია, რომელიც ბარიერს გადალახავდა, ავტომატურად იღებდა პარლამენტში ფრაქციას. უფრო კონკრეტულად, ბარიერის გადალახვა ავტომატურად გაძლევდა პარლამენტში ექვს მანდატს, იმისთვის რომ ფრაქცია შეგექმნა. ამ ნორმის გაუქმება ახლა იგეგმება. ვახტანგ ხმალაძის განმარტებით, ეს ნორმა უსამართლოა და თავის დროზე „ეს მოდელი მაშინ შემუშავდა, როცა ახლებმა და „ქდმ“-მ რვიანი მიატოვეს და მერე „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ შეთანხმდნენ... რაზე შეთანხმდნენ, არ ვიცი...“

1995 წელს შევარდნაძე, როგორც ამბობენ, მხოლოდ რესპუბლიკელებს კი არა, ყველას გაურიგდა, ირაკლი წერეთელსაც კი. მაშინ ყველას რაღაც დაუთმეს. ის პარლამენტი ჭრელი იყო, თუმცა ვაჭრობის თემა – აქტუალური. სააკაშვილს, როგორც სულ აცხადებდნენ, ყოველთვის ჰყავდა საკუთარი ოპოზიცია, ვისთანაც შეთანხმებას აღწევდა. ახლა ვითარება გაცილებით რთულია. „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცდება, ოპოზიციაში ტონის მიმცემი იყოს. თუმცა, გამონაკლისი ყოველთვის არსებობს. ყოველთვის შეიძლება გამოჩნდეს ვიღაც, ვინც პოლიტიკურ გარიგებაზე წავა, თუმცა, ნაციონალებს პროდასავლურ ფლანგზე ძლიერი პარტიის ტიტულს ვერავინ ჩამოართმევს. ასეთი კონკურენტი ჯერჯერობით არ ჩანს. ამიტომაც მის პოზიციას მნიშვნელობა ყოველთვის ექნება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ერეკლე დეისაძე

ნიკა გრიგოლია

„მაიტა ნასოსი“ 2-ის

დათო კენჭიაშვილი: „მე და ნინი წიკლაური შეყვარებულები ვართ“

როგორ ჩვენთვის გახდა ცნობილი „სვანური ვენდეტა“ „მაიტა ნასოსის“ გაგრძელებას იღებენ. ფილმის სამუშაო სახელია „რაის ნასოსი“ და მას რეჟისორი, გიორგი კაჭარავა იღებს. ფილმში არ იქნება სოსო ჯაჭვლიანი. სცენარი ახალია და სახეებიც, შესაბამისად, ახალი შეირჩა. გადაღებები თბილისსა და სვანეთში მიმდინარეობს.

ფილმში ნახავთ სიყვარულის ისტორიას. როგორც გავიგეთ, ერთმანეთი მომღერლებს დათო კენჭიაშვილსა და ნინი წიკლაურს შეუყვარდებათ. ერთ-ერთ როლზე დამტკიცებულია გიორგი ვარდოსანიძეც.

გიორგი გადაღებების დროს ამღერდა კიდეც, მაგრამ არა ფილმისთვის. მან დათო კენჭიაშვილთან ერთად დუეტი ჩაწერა. როგორც ამბობენ, ეს სევდიანი სიმღერა გიორგიმ ყოფილ ცოლს, სალომე ჭაჭუას მიუძღვნა.

ფილმი დათო კენჭიაშვილის სიმღერით („მიყვარხარ“) იწყება.

დათო კენჭიაშვილი:

- მე ვთამაშობ საკუთარ თა-

რატომ ჩააკითხა მარკუს მეტრეველს თამო ვაშალომიძემ კაჭრეთში ტირტით

მომღერალი მარკუს მეტრეველი კაჭრეთის „ამბასადორში“ ისვენებს. „პრაიმტაიმი“ მომსწრე გახდა ფაქტისა, როგორ ჩამოაკითხა მარკუსს მოდელმა, თამო ვაშალომიძემ ტორტით. წვილმა ის საღამო ერთად გაატარეს. ყავა დალიეს, ჩოგბურთი ითამაშეს და ბოლოს „ამბასადორის“ ხეივანში სკამზე განმარტოვდნენ კიდეც.

ჩვენ პაპარაცული ფოტოების გადაღება მოვახერხეთ.

თამო მარკუსს კვლავ ჩამოსვლას დაჰპირდა, დაემშვიდობა და გვიან ღამით წავიდა. ჩვენ მარკუსს და თამოს კომენტარი ვთხოვეთ.

მარკუს მეტრეველი:

- მარკო, დაბადების დღე ხომ არ გქონდა, რატომ ჩამოგაკითხა თამუნამ ტორტით?

- არა, ნამდვილად არ მქონდა. მე და თამუნამ ერთმანეთი გია ჯავჯანიძის გადაცემის დაგაღებებზე გავიცანით. ერთად ვიყავით შატილში. მანამდე თამუნას შორიდან ვიცნობდი, ნანახი მქონდა მისი გამომწვევი ფოტოები, ძალიან მომწონდა მისი სხეული და ალმაგზნებდა, როგორც მამაკაცს მისი სხეულის სავსე და ლამაზი ფორმები. მომწონს, როცა ქალი ასე უვლის საკუთარ თავს, ვარჯიშობს.

- თამუნას ხშირად აკრიტიკებენ წონის გამო...

- ყველა მამაკაცს თავისი გემოვნება აქვს. ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია მისი წონა, ქალი ასეთი უნდა იყოს, ხორციანი, ნავარჯიშევი, ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს თამო იმისთვის, რომ მის გვერდით მამაკაცმა საწოლში კარგად იგრძნოს თავი.

- გამოსცადე უკვე?

- არა, ჯერ ძალიან ადრეა ამაზე ლაპარაკი. ჩემი და თამოს ურთიერთობა მხოლოდ სიმპათიების დონეზეა.

- ვერ ვიტყოდი, თუ ნახავ ფოტოებს, რომელიც ჩვენ გადავიღეთ, ამაში აღარ დამარწმუნებ.

- შენ პროფესიონალიზმზე აღარ ვილაპარაკებ, ყველაფერს ხედავ და ამჩნევ, მაგრამ, ეს არ არის ის, რასაც შენ ფიქრობ.

- ისე უყურებთ ერთმანეთს... რა მოხდა შატილში?

- მოდი ამ კითხვას უკომენტაროდ დავტოვებ.

თამო ვაშალომიძე:

- განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, უბრალოდ, ვიცოდი ცუდ ხასიათზე იყო და ჩავაკითხე. თან, ვიცი, ხილის ტორტზე გიჟდება. რაც შეეხება ურთიერთობას, ჯერ მხოლოდ ტორტები დაგვაქვს ერთმანეთთან (იცინის).

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გადალეგეგი დაიწყო

ვინ აამღერა გიორგი ვარდოსანიძე

ვს, მომღერალი ვარ ფილმშიც. ჩემი მეწყვილე გიორგი ვარდოსანიძეა. ფილმშიც ასეთივე სევდიანი ვარ, როგორ სიმღერებსაც ვმღერი (ილიმის), რადგან სმს-ის საშუალებით ვიგებ, რომ ჩემს შეყვარებულს აღარ უნდა ჩემთან ყოფნა და გაბრაზებული მივდივარ სვანეთში, სადაც მომყვება გიორგი და ცდილობს ჩემ დამშვიდებას, მეუბნება, რომ ყველაფრის შეცვლა შეიძლება. სვანეთში მიყვარდება მედეა (მომღერალი, ნინი წიკლაური) და იწყება ჩვენი სიყვარულის ისტორია.

- სასიყვარული სცენებსაც ნახავს მაყურებელი?

- იქნება ერთი სცენა, სადაც მე და ნინი კარავში ვართ განმარტოებულები და სადაც ვუხსნი, რა ბედნიერი ვიქნები, როცა ჩემი ყოველი დილა მისით დაიწყება.

- ხეზე ვინ მიგაბათ შენ და გიორგი ვარდოსანიძე?

- მედეას ბაბუამ დაგვიჭირა. ჯერ მოგვდევენ მედეას ბაბუა და „გოლიათა“ და გვესვრიან. საჭესთან დავით ქაცარავა ზის. მოკლედ, საინტერესო სანახაობა გელით წინ.

- დათო, ეს ახალი ამპლუაა შენთვის. ხომ არ გაგიჭირდა როლის განსახიერება?

- რა თქმა უნდა, გამიჭირდა, ეს ჩემთვის მართლაც ახალი ამპლუაა, თუმცა, მინდა გითხრა, რომ ჩათრევა სცოდნია. მომეწონა მუშაობის პროცესი, თან უნიჭოც არ გამოვდექი (იცინის). ეს არ არის პრეტენზია არტისტობაზე. უბრალოდ გავერთე, დანარჩენი მაყურებელმა შეაფასოს.

- შენ და გიორგიმ ძალიან ლამაზი დუეტი ჩაწერეთ, „ლანდებს“, ეს სიმღერა მოხვდება ფილმში?

- არა, ეს დუეტი ძალიან სპონტანურად ჩაიწერა. ფილმისთვის საუნტრეკს ვწერდით. შესვენების დროს გიორგი გიტარაზე ძალიან ლამაზ სიმღერას უკრავდა. მომეწონა, გავაჩერე, ლამაზი არანჟირება გავუკეთე და ცოტა მეც წავიღიღინე.

- ვის მუძღვნა გიორგიმ ეს სიმღერა?

- არ ვიცი, არც მიკითხავს, სხვისი პირადი ცხოვრებით არ ვინტერესდები.

ნინო ძოწენიძისა და მერაბ სეფაშვილის კონცერტი ისრაელში

ნინო ძოწენიძე და მერაბ სეფაშვილი ისრაელში იმყოფებოდნენ გასტროლით. მათ ქართველ ებრაელებსა და ქართველ ემიგრანტებს დაუვიწყარი საღამო აჩუქეს. ქართულმა დელეგაციამ, რომელშიც ქუთაისის მერი და იმერეთის გამგებელიც შედიოდა, მოილოცეს იერუსალიმის წმინდა ადგილები.

ნინო ძოწენიძე:

- კონცერტი, ისრაელის ქალაქ აშკელონში ჩატარდა. ძალიან თბილი დახვედრა მოგვიწყვეს ებრაელებმა. ულამაზესი საღამო გამოვიდა. მესამედ ვიყავი ისრაელში და ყოველ ჯერზე უფრო და უფრო კმაყოფილი ვბრუნდები ამ ქვეყნიდან.

- რა უმღერე ქართველ ებრაელებს?

- „მე საიდუმლოს შენახვა ვიცი“, „ჯემალ სეფიაშვილის „დაშვებული ფარდები“, ქართული პოპური. სხვათა შორის, ვიტნი ჰიუსტონიც ვიმღერე და ძალიან მოეწონათ, რატომღაც მეგონა, რომ უცხოური სიმღერები დიდად არ მოსწონდათ და თურმე ვცდებოდი.

გიორგი ხაბურზანია

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ არ არსებობს საქართველოში გემთმფლობელი კომპანიების შავი სია?

მირიან ბოქოლიშვილი

ალბათ, მედიასაშუალებებით არაერთხელ გსმენიათ სხვადასხვა ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავ გემებზე მყოფი ქართველი მეზღვაურების შესახებ, რომლებიც საქართველოს მთავრობისგან დახმარებას ითხოვენ. ხშირია ფაქტები, როდესაც თვეობით საკუთარ ოჯახს მოწყვეტილი მეზღვაურები, უბრალოდ, ტრეფიკინგის მსხვერპლნი, ან სხვადასხვა ტიპის კონტრაბანდაში ხდებიან ჩართულნი. თუ გაუმართლათ და ახლობლებს როგორმე ხმა მიაწვდინეს, საქართველოს ხელისუფლებას საკმაოდ რთული პროცედურების გავლა სჭირდება ქართველი მეზღვაურების გამოსახსნელად, ან სხვა სახის დახმარების აღმოსაჩენად.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, გაერკვია, რა პრევენციულ ზომებს მიმართავს სახელმწიფო ქართველი მეზღვაურების უფლებების დასაცავად.

როგორც წესი, ცივილიზებულ ქვეყნებში არსებობს გემთმფლობელი კომპანიების შავი სია, რომელთან თანამშრომლობასაც არ ურჩევენ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს. ეს სია ყოველწლიურად ახლდება და მეზღვაურებს საშუალება აქვთ, მას სისტემატურად გაადევნონ თვალი. ცხადია, ისინი შავ სიაში მყოფ კომპანიებთან თანამშრომლობაზე არ მიდიან და, შესაბამისად, რისკებიც ნაკლებია.

საინტერესოა, რა ხდება ამ მიმართულებით საქართველოში? არსებობს თუ არა ეს შავი სია? ამის გასარკვევად საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დავუკავშირდით. აღმოჩნდა, რომ უწყებას ამ ეტაპზე მსგავსი სია საერთოდ არ გააჩნია. სააგენტომ ასეთი გაფრთხილება მეზღვაურების მიმართ ბოლოს 2011 წელს გამოაქვეყნა და მასში 6 გემთმფლობელი კომპანია მოხვდა. მას შემდეგ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შავი სია არ შეუდგენია და 2011 წელს არსებული გაფრთხილებაც ამჟამად აღარ მოქმედებს.

როგორც ამ უწყებაში განგვიმარტეს, მაშინ შავი სიის შედგენის აუცილებლობა არსებულმა პრობლემებმა განაპირობა, ვინაიდან ხშირი იყო ქართველი მეზღვაურების უფლებების დარღვევის, მათ შორის დატყვევების ფაქტები.

„ამჟამად ასეთი სია არ მოქმედებს“, – განმარტეს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში, რომელმაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გემთმფლობელი კომპანიების შავი სია ბოლოს 4 წლის წინათ გამოაქვეყნა და მასში სხვადასხვა ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი 6 საზღვაო ხომალდი მოხვდა, მათ შორის პანამის, კვიპროსის, მალტისა და საქართველოსიც კი.

როგორც ჩანს, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში ამ ეტაპზე

სააგენტომ ასეთი გაფრთხილება მეზღვაურების მიმართ ბოლოს 2011 წელს გამოაქვეყნა და მასში 6 გემთმფლობელი კომპანია მოხვდა

მას შემდეგ, რაც თავიდან მოხდა 75 ქვეყნის სტატისტიკის გადახედვა, საქართველო პირველად, 15 წლის განმავლობაში აღმოჩნდა ნაცრისფერ სიაში

შავი სიის არსებობას საჭიროდ არ მიიჩნევენ, თუმცა არსებული ვითარება სრულიად საწინააღმდეგოზე მეტყველებს. მხოლოდ 2015 წელს რამდენიმე ფაქტი გახმაურდა, როდესაც ადგილი ჰქონდა ქართველი მეზღვაურების შრომითი უფლებების დარღვევას.

მაგალითად, 2015 წლის იანვარში ცნობილი გახდა სამხრეთ აფრიკაში 5 სხვადასხვა გემზე მყოფი ქართველი მეზღვაურების შესახებ, რომელთაც შრომითი ხელშეკრულება უკვე ორი თვის ამოწურული ჰქონდათ. მათთვის ხელფასი 6 თვის განმავლობაში არ გადაუხდიათ. მეზღვაურები ხელფასის გადახდასა და სამშობლოში დაბრუნებაში დახმარებას საქართველოს ხელისუფლებისგან ითხოვდნენ. საქართველოში შეტყობინების გამოგზავნის მომენტში გემზე საწვავისა და საკვების მარაგიც ამოწურული იყო.

მხოლოდ ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს პოლიტიკა არასწორია და საჭიროა პრევენციული ღონისძიებების გატარება, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული ქართველ მეზღვაურთა შრომითი უფლებები.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2011 წლის შავ სიაში საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი ერთი საზღვაო მზიდი, 1978 წელს გამოშვებული VASILOS N-ც მოხვდა. აღნიშნული საზღვაო ხომალდი გემთმფლობელ კომპანია Pantravel & Shippin-ს ეკუთვნის, თუმცა სახარბიელო მდგომარეობა არ გახლდათ არც სხვა გემთმფლობელ კომპანიებთან მიმართებაშიც. საუბარია გაუმართავ და მოძველებულ საზღვაო ხომალდებზე, რის გამოც საქართველო ბოლო 15 წლის მანძილზე, „პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმის“ სტატისტიკის თანახმად, მოიაზრებოდა მაღალი რისკის მქონე დროშად და ყოველთვის ირიცხებოდა შავ სიაში.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში ამ ეტაპზე შავი სიის არსებობას საჭიროდ არ მიიჩნევენ, თუმცა არსებული ვითარება სრულიად საწინააღმდეგოზე მეტყველებს

ცნობილია, რომ „პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმი“ საზღვაო სფეროში მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს, სადაც შედის 27 საზღვაო ადმინისტრაცია: ევროკავშირის ქვეყნები, რუსეთის ფედერაცია და კანადა. ყოველწლიურად ის აქვეყნებს განვლილი სამი წლის მონაცემებს, ჯამდება თითოეული ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი გემების ინსპექტირებისა და დაკავების შედეგები, რის საფუძველზეც სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო დროშა ხვდება შავ, ნაცრისფერ, ან თეთრ სიაში.

საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემების კოეფიციენტმა მხოლოდ გასულ წელს დააკმაყოფილა საერთაშორისო სტანდარტები. მას შემდეგ, რაც თავიდან მოხდა 75 ქვეყნის სტატისტიკის გადახედვა, საქართველო პირველად, 15 წლის განმავლობაში აღმოჩნდა ნაცრისფერ სიაში.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში ამას ბოლო დროს გატარებული რეფორმებით ხსნიან და იმედოვნებენ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში საქართველოს სახელმწიფო საზღვაო დროშის რეპუტაციის ამაღლებას, რაც პირდაპირ პროპორციულია პოტენციური გემთმფლობელების მოზიდვისა.

„2011 წლისთვის საქართველოს სახელმწიფო დროშის ქვეშ დარეგისტრირებული იყო 239 მოძველებული და მაღალი რისკების შემცველი გემი. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გატარებული რეფორმების შედეგად, რაც გულისხმობდა საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, შესაბამისი საერთაშორისო მოთხოვნის დანერგვას და ევროდირექტივების გათვალისწინებას, გამკაცრდა გემების რეგისტრაციის პირობები და მოხდა გემის სახელმწიფო რეგისტრაციის ცენტრალიზება“, – განმარტავენ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში.

უწყების ინფორმაციით, სარეგისტრაციო მოთხოვნების გამკაცრების შედეგად გემების უმრავლესობამ ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნები და შედეგად, საქართველოს დროშის ქვეშ საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული 9 გემია რეგისტრირებული.

ტრანს

მირიან ბოქოლიშვილი

საზოგადოების ნაწილს კარგად ახსოვს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პირველი ტელედაკავება მაშინდელმა შს მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა განახორციელა, როდესაც კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის ყოფილი მინისტრი მერაბ ადეიშვილი დააკავა. ადეიშვილი, მთელი ქვეყნის თვალწინ, ტელეკამერების თანხლებით სახელმწიფო კანცელარიის შენობის წინ აიყვანეს. მას სახელმწიფო სახსრების მითვისებას ედავებოდნენ. საუბარი იყო ნახევარ მილიონ ლარზე.

მინისტრის დაპატიმრებას მალევე მოჰყვა მთლიანად ამ უწყების გაუქმება. ტრანსპორტის სფერო ეკონომიკის სამინისტროს დაუქვემდებარეს. ამის შემდეგ დაიწყო დიდი პრივატიზაცია. ერთმანეთის მიყოლებით კერძო მფლობელების ხელში აღმოჩნდა ქვეყნის უმსხვილესი პორტები, აეროპორტი და ა.შ.

სპეციალისტები ამბობენ, რომ დღეს ეს სფერო ქაოსურად ვითარდება და ქვეყანაში არ არსებობს ტრანსპორტის ერთიანი პოლიტიკა.

როგორც ჩანს, არსებული მდგომარეობის შეცვლაზე მმართველ გუნდშიც ფიქრობენ. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ტრანსპორტის ბოლო მინისტრი, მერაბ ადეიშვილი იმ კულუარულ გეგმებზე საუბრობს, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის შიგნითაც განიხილება და ამ იდეას, დეპუტატების ერთი ნაწილი განსაკუთრებით ლობირებს. სახელდება კონკრეტული პიროვნებაც, რომელიც ტრანსპორტის სამინისტროს აღდგენის შემთხვევაში ამ უწყებას ჩაუდგება სათავეში. მერაბ ადეიშვილის, თქმით, ამ თანამდებობაზე საკმაოდ კარგი კადრი იქნება ტრასეკას ყოფილი მდივანი და ამჟამად საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი, ზვიად კვაჭანტირაძე. სწორედ კვაჭანტირაძე და დეპუტატების გარკვეული ჯგუფი უმრავლესობიდან განსაკუთრებულად ლობირებს ტრანსპორტის სამინისტროს აღდგენის საკითხს, თუმცა ბოლო დროს სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გამწვავების ფონზე, მთავრობამ ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება გადაწყვიტა და შესაბამისად, ახალი სამინისტროს შექმნის იდეაც დროებით გადაიდო. ჯერჯერობით, ტრანსპორტის სფეროს კვლავ ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული სპეციალური დეპარტამენტი არეგულირებს, მაგრამ, როგორც მთავრობის კულუარებში ამბობენ, ეს საკითხი მალე დღის წესრიგში ოფიციალურად დადგება.

იგეგმება თუ არა რეალურად ტრანსპორტის სამინისტროს შექმნა? ამის გარკვევას ჩვენ დეპუტატ ზვიად კვაჭანტირაძესთან შევეცადეთ, თუმცა ის ამჟამად საქართველოში არ იმყოფება. დეპუტატი ოფიციალური ვიზიტით მალაიზიას სტუმრობს.

კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის ბოლო მინისტრი, მერაბ ადეიშვილი კი გვიდასტურებს, რომ მმართველ გუნდში ეს საკითხი ნამდვილად განიხილება.

მერაბ ადეიშვილი, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ყოფილი მინისტრი:

– თავის დროზე ტრანსპორტის სამინისტროს შექმნის იდეა ევროკავშირს ეკუთვნოდა, როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანში. ეს იყო ტრასეკას პროექტის ფარგლებში. საკმაოდ წარმატებული იყო იმ პერიოდში საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკა. შეიძლება ითქვას, რეგიონში ლიდერებიც კი ვიყავით, მაგრამ საკაბშვილს არ მოსწონდა ეს უწყება და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გააუქმა სამინისტრო. ასევე, გააუქმა ნავთობის კორპორაცია, რომელსაც გია ჭანტურია ხელმძღვანელობდა. საქართველოს პრიორიტეტი არის სატრანსპორტო დერეფანი, ამიტომ ქვეყნის პრიორიტეტები-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პორტის სამინისტრო აღდგება?!

ვინ ლობირებს პარლამენტში სააკაშვილის მიერ გაუქმებული უწყების ხელახლა შექმნას?

მერაბ ადეიშვილი: „კულუარულ დონეზე ვიცი, რომ მზადდებოდა კონცეფცია“

დან გამომდინარე ამ ინსტრუმენტის არსებობა აუცილებელი იყო და არის დღესაც.

– რა პრობლემები არსებობს დღეს ამ სფეროში?

– დღეს სატრანსპორტო პოლიტიკა არის გაფანტული, ქვეყანაში ასეთი პოლიტიკა საერთოდ არ წარმოებს. თუ ვაღიარებთ, რომ ქვეყნის პრიორიტეტი არის ტრანსპორტი, რატომ არ უნდა იყოს ტრანსპორტის სამინისტრო. ჩემი ინფორმაციით, საქართველოს მთავრობაში უკვე მომწიფებულია ეს იდეა და საინტერესოდ განიხილება, ჯერჯერობით კულუარულ დონეზე. ალბათ, დავუბრუნდებით იმ მდგომარეობას, რომ ქვეყანაში არსებობდეს ტრანსპორტის სამინისტრო. დღეს სატრანსპორტო მიმართულებები პრაქტიკულად ობლადაა, იქნება ეს რკინიგზა, საავიაციო, თუ საზღვაო მიმართულებები. ევროპაში მოქმედებს ევროპის ტრანსპორტის მინისტრთა კონფერენცია, რომლის წევრებიც ვიყავით. ევროპაში სულ სამი ქვეყანაა, სადაც არ არის ტრანსპორტის სამინისტრო, დანარჩენი ყველგან არსებობს.

– ამბობენ, რომ მმართველ გუნდში ამ სამინისტროს აღდგენას განიხილავენ...

– მეც კულუარულ დონეზე ვიცი, რომ მზადდებოდა კონცეფცია. მჯერა, რომ ადრე თუ გვიან დღევანდელი ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, არა წინამორბედის, ან რომელიმე პოლიტიკური ძალის ჯიბრზე, არამედ იმიტომ, რომ ეს ქვეყანას ნამდვილად სჭირდება. შეხედეთ, რა ქაოსია საავტომობილო დარგში, ვინ არეგულირებს ამ მიმართულებას? ვინ არეგულირებს საზღვაო სფეროს? ათასობით მეზღვაური დარჩა საერთოდ უფუნქციოდ და უპატრონოდ. თვითონ ამ სფეროს წარმომადგენლებიც მხარს უჭერენ ამ იდეას. რამდენადაც ვიცი, ამოსწიეს კიდეც მსოფლიო ბანკის პროექტი, რომელიც სწორედ ამ უწყების შექმნას ითვალისწინებდა.

– თუმცა ეკონომიკის სამინისტროში არსებობს შესაბამისი დეპარტამენტი და მოქმედებს სხვადასხვა სააგენტოც...

– კი, ბატონო, არსებობს ეს სააგენტოები, მაგრამ სხვა დონეა სამინისტროსა და მინისტრის პოზიცია, მთავრობის წევრის მხარდაჭერა. დიახ, ეს სფერო დღეს მოქცეულია ეკონომიკის სამინისტროში, მაგრამ ეკონომიკის სამინისტროს თავისი უამრავი ფუნქცია აქვს, რომელიც უნდა მართოს და განავითაროს. სატრანსპორტო სფერო სრულიად ინდივიდუალური და ავტონომიურია, რომელსაც ცალკე მართვა სჭირდება. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მთავრობა მივა ამ გადაწყვეტილებამდე. ეს აუცილებელია, მით უმეტეს დღეს, როდესაც ჩინეთმა მიიღო უზარმაზარი პროგრამა აბრეშუმის გზის განვითარებასთან დაკავშირებით. დაახლოებით 90 მილიარდზეა საუბარი, რომელიც აბრეშუმის გზაზე უნდა იქნეს რეალიზებული. ჩვენ ვზივართ სამი მარშრუტიდან ერთ-ერთ მიმართულებაში. აი, ამ ჩინურ პროგრამაში. გარდა ამისა, წინ გვაქვს ანაკლიის პორტის მშენებლობა, აეროპორტის, ფოთის პორტის, რკინიგზის რეკონსტრუქციები და სხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტები.

– იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებამ მართლაც მიიღო ტრანსპორტის სამინისტროს აღდგენის გადაწყვეტილება, თუნდაც მმართველი გუნდიდან, ვინ წარმოგიდგენიათ ამ უწყების ხელმძღვანელის პოსტზე?

– შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ზვიად კვაჭანტირაძეს. მას ჰქონდა სურვილი, არის სხვა ბევრი დეპუტატიც, რომელიც ამ იდეას უჭერს მხარს. მე რომ მკითხონ, ამ სამინისტროს სათავეში ჩავუყენებდი სწორედ ზვიად კვაჭანტირაძეს, რომელიც არის უმაღლესი რანგის პროფესიონალი ამ სფეროში. ის გახლდათ ტრასეკას გენერალური მდივანი.

– პირადად თქვენც ხომ არ გაქვთ სურვილი, დაუბრუნდეთ ამ სფეროს?

– არა, ხელისუფლებაში, პირადად მე არასდროს აღარ დავბრუნდები, თუმცა ნებისმიერ დროს მზად ვარ დახმარებისა და რჩევებისთვის. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამ სფეროს ზედამხედველობა აუცილებელია. ვინ არის დღეს პასუხისმგებელი ადამიანების უსაფრთხოებაზე, იქნება ეს ავტომობილი, თუ თვითმფრინავი? არ არსებობს ტექმომსახურება, არ არსებობს ელემენტარული კონტროლი, ყველაფერი ქაოსურად არის მიშვებული. უხერხულია, ევროპის ტრანსპორტის მინისტრების კონფერენციაზე საქართველოს რომ წარმოადგენდეს მხოლოდ დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ეს დარგი არ იმსახურებს, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში თავისი წარმომადგენელი არ ჰყავდეს.

ზვიად კვაჭანტირაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მაკა შალიკაშვილის ცხოვ

ნინო მჭედლიშვილი

სოფელში დაიბადა და გაიზარდა. ბავშვობიდან გამოირჩეოდა თანატოლებისგან უცნაური ჩაცმულობით, უცნაური მანერებით. მამა ეუბნებოდა გიჟი ხარო. დედასთან კონფლიქტი ჰქონდა, სიკვდილიც კი ინატრა ერთხელ, დედა რომ გაემწარებინა.

არ გაიზარდა, ასეთად დარჩა, ამის გამო უყვართ. ამბობს, რომ ხალხს მისი თავისუფლების შურს. თავად არავისი არაფერი შურს. ჩემი რესპონდენტი კეთილი, გულწრფელი და მიამიტია.

დღეს, მსახიობ მაკა შალიკაშვილს ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე ვესაუბრე.

კეთილი და გულუბრყვილო მშობლები

- მაკა, იმ გამოცდილებით დავიწყოთ, რომელიც ოჯახიდან, მშობლებისგან, იმ გარემოსგან მიიღე, რომელშიც იზრდებოდი...

- ოჯახს დიდი გავლენა აქვს ადამიანის ცხოვრებაში. ის გარემო, რომელშიც იზრდები, დიდ კვალს ტოვებს. რამდენი წლისაც არ უნდა გახდე, სულ გახსოვს რას გეუბნებოდნენ, როგორ გზრდიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურად საპირისპიროდ ვიცხოვრე, ბევრ საკითხში არ ვეთანხმებოდი ჩემს მშობლებს, თუ რამ კარგი მაქვს, სწორედ მათგან მაქვს. საბოლოო ჯამში, შინაგანად ვარ სწორედ ის ადამიანი, როგორიც ჩემს მშობლებს უნდოდათ.

- რას გულისხმობ?

- მამა სულ გვეუბნებოდა, მეც და ჩემს დასაც, რომ მთავარია სახელი, როგორ იცხოვრებ და რას იტყვიან შენზე. არ ვიცი, როგორ არ ეზარებოდა, ყოველდღე დაგვისვავდა მეც და ჩემს დასაც და გვარიგებდა, რომ უნდა ვყოფილიყავით კეთილები და არასდროს ბოროტება არ გაგვეკეთებინა. გვიხსნიდა, რომ ისეთები ვყოფილიყავით, რომ ჩვენი ნდობა შესაძლებელი ყოფილიყო. კაციც და ქალიც ისეთი უნდა იყოს, რომ ოჯახში შეისვლებოდესო, ამბობდა. არ უყვარდა ზედაპირული ურთიერთობები, თუ ადამიანს უყვარხარ, მან სახლის კარიც უნდა გაგიღოს და დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ შენ იქ არაფერს გააფუჭებ, არავის აწყენინებ. აი, ასეთები მინდა იყოთ, ყველა ოჯახში რომ გიშვებდეთო, გვარიგებდა. ქალისა და მამაკაცის მეგობრობაზე გველაპარაკებოდა ბევრს. მას სჯეროდა, რომ ასეთი მეგობრობა არსებობს, ჰყავდა ქალი მეგობრები და ძალიან სუფთად უყურებდა ამ ურთიერთობას. მეც ასე ვცხოვრობ დღემდე. ბევრი მეგობარი მამაკაცი მყავს, რომელთანაც ნამდვილი, სუფთა მეგობრობა მაკავშირებს... ანრი ჯოხაძესთან საწოლში გადაღებული ფოტო რომ გავრცელდა სოციალურ ქსელში, ცოტა გავბრაზდი. არ ვიცი ვინ რა იფიქრა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ვიხუმრეთ. ერთადერთი ადამიანი, ვისაც ამას ვერ ავუხსნი, ჩემი შვილია, თინანო. პატარაა და იმიტომ. მხოლოდ მის გამო ვდარდობდი, თორემ მთელმა თბილისმა იცის ჩვენი მეგობრობის ამბავი.

- შენი მშობლები რა პროფესიის არიან?

- დედა, ეთერ ხუციშვილი, ბაგა-ბაღის აღმზრდელი იყო, მამას მაღაზიები ჰქონდა და წლების განმავლობაში ვაჭრობაში იყო ჩართული.

- რომელს ჰგავხარ ხასიათით?

- გულობრყვილობა დედისგან მაქვს, ძალიან დიდი სიკეთე - მამისგან. ძალიან სუფთა დედ-მამა

„პატარა შვილი მყავდა და ვერ ვიგრიალებდი. ამან ხასიათი გამიფუჭა, ურთიერთობაც დაიძაბა. არ მქონდა გამოცდილება, რომ რაღაცები გამეტარებინა. ჩემს თავს ბევრ რამეში ვადანაშაულებ“

მყავს, კარგი ადამიანები არიან. იმდენად კეთილები და გულუბრყვილოები არიან, რომ არაფერი აქვთ.

- ფინანსური მდგომარეობა, სოციალური ფონი როგორი იყო ოჯახში, გაჭირვება გიგრძნია?

- არა, ძალიან მაგარი ბებია-ბაბუამ მყავდა, სულ შრომობდნენ, თავისი ხელით მოჰყავდათ ბოსტანში ყველაფერი. არაფერი გვაკლდა.

- მეზობლის ბავშვის სათამაშოზე თვალი არ დაგრჩენია?

- არასდროს. მამა სულ მოსკოვში დადიოდა და ძალიან მაგარი სათამაშოები ჩამოჰქონდა. კარგი ტანსაცმელებიც გვქონდა. მიუხედავად იმისა, რომ სოფელში ვცხოვრობდი, არ მაკლდა თეატრი, კინო.

როცა მშობელი მტერი გგონია

- გქონია პერიოდი, როცა შენი მშობლები შენი მტრები გგონია?

- კი, განსაკუთრებით დედასთან მქონდა კონფლიქტები, ასე მეგონა სულ მებრძოდა. ერთი ბიჭი მომწონდა ძალიან და დედაჩემმა პირდაპირ მითხრა, არ გამოვა თქვენი ურთიერთობაო. ეს არ იყო სწორი. ერთხელ რაღაცაზე გავაბრაზე დედა და ძალიან ცუდად წამომაძახა ამ ბიჭთან ურთიერთობა. ძალიან მეწყინა. მაშინ დღიურებს ვწერდი და იქ მიწერია, ახლა მინდა მოვკვდე და ამით დედაჩემი ძალიან გავამწარო-მეთქი.

- ძირითადად რაზე კამათობდით?

- სოფლის პირობებში ძალიან უცნაური ბავშვი ვიყავი. იგოეთში ვიზრდებოდი და ჩემი ჩაცმის სტილით ყველას ვაოცებდი. მეცვა მოკლე კაბები, მოკლე კაბებზე ჩექმები ზაფხულში, შორტები. დედა ამბობდა, თავი გაანებეთ, ასეთიაო. მამა იუმორით უდგებოდა ამ საკითხს, გიჟიაო, ჩემზე ამბობდა. თბილისში ერთი გიჟია, არუსიკა და აქ შენო (იცინის). მამასთან უფრო ვპოულობდი საერთო ენას. ჩვენ ვმეგობრობით.

- თაყვანისმცემლებზეც უყვებოდი?

- არ მყავდა თაყვანისმცემლები. დიდი ვიყავი, 17 წლის, პირველად რომ შემიყვარდა.

ნათლიის (გივი ბერიკაშვილის) კვალდაკვალ

- პროფესია როგორ აირჩიე?

- ნათესაობაში მსახიობი არ მყოლია. როცა ამ თემაზე დავიწყე

„იქ მიწერია, ახლა მინდა მოვკვდე და ამით დედაჩემი ძალიან გავამწარო-მეთქი“

ლაპარაკი, პირდაპირ მითხრეს, შენგან მსახიობი არასდროს გამოვაო. ძალიან მწარედ დამამახსოვრდა ეს სიტყვები.

- ვინ გითხრა?

- ახლა მაგას რა მნიშვნელობა აქვს, არ ვიტყვი. იქ ისეთი ოჯახის შვილები აბარებენო, მითხრეს... გივი ბერიკაშვილი იყო ჩემი ნათლია. მის ოჯახში ვცხოვრობდი. ის დამეხმარა ყველაფერში. გივი რომ არა, მე მსახიობი არ ვიქნებოდი. დიდი ზურგი მქონდა ამ ოჯახისგან.

- პირველი ჰონორარი, პირველი სამსახური...

- თეატრალურ ინსტიტუტში ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის სტიპენდია მქონდა, 60 მანეთი. 50-ს ბინის ქირაში ვიხდიდი და ათი მრჩებოდა. პირველი ჰონორარი სარდაფის თეატრში ავიღე. „ეთსეტერაში“, 14 ლარი გადამიხადეს. ჩემს დანაზოგს დავამატე და ჩექმა ვიყიდე. ისე მომწონდა... კაზაჩოკები იყო, 500 ლარი გადავიხადე. ახლაც მაქვს ის ჩექმა. ძალიან მიზანდასახული ვარ, თუ რამ მომეწონა, წლები ვაგროვებ ფულს რომ ვიყიდო.

სასიყვარულო გამოცდილება

- 28 წლის ასაკში გავთხოვდი. ჩემზე ბევრად პატარა ბიჭზე. არანაირი პრობლემა ჩემს მშობლებს ამაზე არ ჰქონიათ. იქით მხრიდან, ალბათ, იყო.

- რამ გააფუჭა თქვენი ურთიერთობა?

- ფინანსურმა მხარემ და იმან, რომ იმ პერიოდში მე ვიყავი არარეალიზებული, არ მქონდა ჩემი საქმე. მე არ ვარ ტიპი, რომელიც სახლში უნდა ჩაჯდეს. მე ვარ ადამიანი, რომელსაც უყვარს სოციუმი, ხალხი, ურთიერთობები. მაგრამ სხვანაირად არ გამოდიოდა, თინანო უნდა გამეჩინა, ფეხმძიმე კი ასეთი აქტიური ვერ ვიქნებიდი. მერე პატარა შვილი მყავდა და ვერ ვიგრიალებდი. ამან ხასიათი გამიფუჭა, ურთიერთობაც დაიძაბა. არ მქონდა გამოცდილება, რომ რაღაცები გამეტარებინა. ჩემს თავს ბევრ რამეში ვადანაშაულებ.

- გისმენ და შთაბეჭდილება მრჩება, რომ მხოლოდ საკუთარ თავს აბრალებ შენი ოჯახის დანგრევას...

- მარტო ჩემი ბრალი არ არის, მაგრამ მეც შემეძლო რაღაცების შეცვლა. ამ ბოლო დროს რაღაცების ანალიზი მეზარება. დავიღალე. მოხდა და დამთავრდა. რა აზრი აქვს ანალიზს, რატომ, რისთვის...

- როგორ ადამიანებთან არ შეგიძლია ურთიერთობა?

- ყველანაირ ადამიანთან შემიძლია ურთიერთობა, უბრალოდ, დიდი დოზით არა, მალე მბეზრდება. გულწრფელად გეუბნები, შეიძლება რაღაც მომენტში შვილიც კი მომბეზრდეს. არ ვარ ის ტიპი, მამაკაცს თავს რომ დაადებს. არ შემიძლია 24 საათი წოლა მამაკაცთან, მერე რა, რომ მიყვარს?

- რა არ გბეზრდება?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეპისეული გამოცდილება

- საქმე, რომელსაც მოაქვს ფული. ვიღაცებს ჰგონია, რომ ძალიან ბევრი ფული მაქვს. სულ მეუბნებიან, როგორ გულაობ, გრიალებ, ქვეყანა ხალხში დადიხარ, „ფეისბუქზე“ სულ შენი ფოტოებიაო.. არ მეგონა ჩემი ვინმეს თუ შეშურდებოდა. რა უნდა შეშურდეს ადამიანს ჩემი?.. მაგრამ მივხვდი, რომ ყველაზე მთავარი, - თავისუფლება შურთ. რაც შეეხება ჩემ გულაობას, ეს ჩემი მეგობრების დამსახურებაა, ძალით არავის არ ვერჭობი, კომფორტული ადამიანი ვარ, სიამოვნებთ ჩემთან ყოფნა, მეპატიჟებიან ხან სად და ხან სად.

ცხოვრების მთავარი შეცდომები

- უარყოფითი თვისება რა გაქვს?

- არასდროს არ ვიპრანჭები, არ ვუსვამ ხაზს იმას, რომ ქალი ვარ. მინდა ეს გამოვასწორო. ვაპირებ კიდეც. ქირურგიული ჩარევის წინააღმდეგიც არ ვარ, რაღაცები უნდა შევცვალო, მაგრამ არა ცხვირი. სანამ „მზეში“ დავიწყებდი მუშაობას, ველური ვიყავი, იქ დამამსგავსეს ქალს. დამთავრდა გადაცემა და ისევ ძველი სტილი დავიბრუნე. ახლა მინდა რადიკალური ცვლილებები შევიტანო ჩემს გარეგნობაში, სტილში. ვნახოთ რა გამოვა.

- თავად რა გამოცდილება გაუზიარე შვილს?

- ძალიან მგრძნობიარე ბავშვია და ვცდილობ დავეხმარო. პატარა კომპლექსებიც აქვს, ისინი ჩემთან არ თამაშობენო, უთქვამს. ამიტომ, ვცდილობ მაქსიმალურად შევაქო და არასდროს ჩავერიო, ბავშვების კონფლიქტში. თავად უნდა მოაგვაროს ურთიერთობა თანატოლებთან, არავითარ შემთხვევაში არ ჩავერევი. დამოუკიდებლობა მინდა ისწავლოს.

- დასასრულ, შეცდომებზეც გკითხავ, რას შეცვლიდი შენს ცხოვრებაში?

- არ გავთხოვდებოდი არასდროს და ერთ ადამიანთან არ დავიწყებდი ურთიერთობას.

- ოჯახის დანგრევის მერე სხვა იმედგაცრუებაც გქონდა სიყვარულში?

- ჰო, იყო. კაცი აბსოლუტურად გართმევს ყველაფერს...

- კაცი თუ ქმარი?

- რა მნიშვნელობა აქვს, მამაკაცთან ურთიერთობა თავს გაკარგვინებს. ყოველ შემთხვევაში მე ასე ვარ და ვერავის ვპატიობ ჩემს გათიშულობას. ძალიან ვბრაზდები ჩემს თავზე. გადაშენდნენ ყველანი, არ მინდა. ჩემთვის მთავარი არის ჩემი საქმე, ეს ვერ გავიგე ამდენი წელი. გაეშვი რა ამ ვიღაც ტიპებს?!.. სიყვარულები და ტკივილები არ არის ჩემი საქმე. მთიშავს, მწყენს, მაყრის (იცინის)!

- მაგრამ, სიყვარული ხომ არის სტიმული იმისთვის, რომ კარიერაშიც წარმატებული იყო?

- ჩემთვის სტიმული არის ჩემი პროფესიით ნაშოვნი ფული, ჩემი მეგობრები და ჩემი შვილი.

„არ მეგონა ჩემი ვინმეს თუ შეშურდებოდა. რა უნდა შეშურდეს ადამიანს ჩემი?.. მაგრამ მივხვდი, რომ ყველაზე მთავარი თავისუფლება შურთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო, სადაც ადვოკატი ოჯახთან ერთად „ჯინო პარადაისში“ ერთოობა

რატომ არ გამოცხადდა უგულავას ადვოკატი სასამართლოში?

გიგი უგულავას საქმის სასამართლო განხილვა უკვე დასკვნით ეტაპზეა, თუმცა მოსამართლეს განაჩენი ვერ გამოაქვს, რადგან ყოფილი მერის ინტერესების დამცველები სხვადასხვა მიზეზით უარს ამბობენ დასკვნითი სიტყვის წარმოთქმაზე. დაცვის მხარე შემაჯამებელი გამოსვლით სასამართლო პროცესზე ბოლოს 9 სექტემბერს უნდა გამოსულიყო, თუმცა ადვოკატი გიორგი კონდახაშვილი სასამართლოში არ გამოცხადდა და მოსამართლეს გაუგზავნა წერილი, რომ 10 სექტემბერს ბათუმში დაკრძალვაზე უნდა წასულიყო, ამ მოტივით კი 9 სექტემბერს დაგეგმილ პროცესს ვერ დაესწრებოდა.

მოგვიანებით კი სოციალურ ქსელში გავრცელდა კონდახაშვილის ფოტოები, სადაც ის ოჯახთან ერთად 10 სექტემბერს არათუ დაკრძალვაზე, არამედ გასართობ კლუბ „ჯინო პარადაისში“ იმყოფებოდა. აღნიშნული ფოტოები „ფეისბუქში“ თავად კონდახაშვილის მეუღლემ, ყოფილმა პროკურორმა, ნათია მოგელაძემ გაავრცელა.

პროცესზე მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ გიგი უგულავას მე-6 ადვოკატის, გიორგი კონდახაშვილის ქმედებებს „მასხარაობა“ უწოდა და ადვოკატი 500 ლარითაც კი დააჯარიმა.

„ეს არის არასერიოზული და უპასუხისმგებლო განცხადებები. 10 სექტემბერს თუ ბათუმში უნდა იყოს, 9-ში რატომ ვერ ახერხებს სასამართლო სხდომაზე გამოსვლას. ეს არის მასხარაობა და არასერიოზული დამოკიდებულება. მიმაჩნია, რომ დაცვის მხარის მიერ შეგნებულად ხდება პროცესების გაჭიანურება. ყველანაირ ხრიკებს მიმართავს დაცვის მხარე. მიმაჩნია, რომ ადვოკატის გამოუცხადებლობა არასაპატიოდ იქნას მიჩნეული სასამართლოს მიერ. ეს არის სასამართლოს მასხრად აგდება და არ ვაპირებ, ვინმეს მასხრად ავაგდებინო თავი. ეს საქციელი არასაპატიოდ იქნეს მიჩნეული და ადვოკატი დაჯარიმდეს 500 ლარით“, – **განაცხადა მოსამართლემ.**

რატომ ითხოვს „მაესტრო“ ფინანსური წყაროების გასაიდუმლოებას?

ტელეკომპანია „მაესტრო“ ფინანსური წყაროების გასაიდუმლოებას ითხოვს. შესაბამისი მოთხოვნით არხმა კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას მიმართა და დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა მოითხოვა.

მარეგულირებელმა ორგანომ ტელეკომპანიის ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

„ეს დოკუმენტი შეიცავს ინფორმაციას დაფინანსების წყაროების შესახებ, ბოლო ბენეფიციარი მესაკუთრის ჩათვლით. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც ციფრულ მაუწყებლობასთან დაკავშირებით გაუქმდა ლიცენზირება და ყველა ლიცენზირებული მაუწყებელი დაექვემდებარა ავტორიზაციას, ამ პროცესში კომისიამ გამოითხოვა ინფორმაცია. ეს ინფორმაცია კომპანიამ წარმოადგინა და თან მისი კომერციულ საიდუმლოებად ცნობა მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო“, – განუცხადეს „ლიბერალს“ კომუნიკაციების კომისიაში.

„მაესტროს“ 15 დღის ვადა აქვს გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად. ამ ვადაში კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია დახურულად რჩება და გამოთხოვის შემთხვევაში, არ გაიცემა.

რატომ ითხოვს „მაესტრო“ დაფინანსების წყაროების გასაიდუმოებას? ამის გარკვევას „პრაიმტაიმი“ „მაესტროს“ გენერალურ დირექტორთან, ბაია გადაბაძესთან შეეცადა, თუმცა ის სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. გადაბაძის მოადგილე, ბაჩო კიკაბიძე კი აღნიშნავს, რომ „მაესტროს“ გამონაკლისი არ არის და დაფინანსების წყაროების გასაიდუმლოებას სხვა ტელევიზიებიც ითხოვენ. მისივე თქმით, ტელეკომპანიამ კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება უკვე გაასაჩივრა. ამასთანავე, კიკაბიძე ვერ აკონკრეტებს, რა საფუძვლით ითხოვს არხის ფინანსური წყაროების კომერციულ საიდუმლოებად აღიარებას.

პრეზიდენტი ვეტოდადებულ კანონებს ხელს ბოლოს თავად აწერს ხოლმე. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ გიორგი მარგველაშვილს გამბედაობა არ ჰყოფნის, რომ ვეტოდაძლეულ კანონს ხელი არ მოაწეროს და პასუხისმგებლობა პარლამენტს გადაულოცოს. პრეზიდენტი თუ კანონს ხელს არ მოაწერს, მაშინ მის მაგივრად ხელი კანონს პარლამენტის თავმჯდომარემ უნდა მოაწეროს.

თუმცა, თავად პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ის ხელს მხოლოდ ფუნდამენტურ საკითხებზე კანონებს არ მოაწერს ხელს. თუმცა, ეს საკითხები თავად არ დაუკონკრეტებია, მაგრამ, როგორც განმარტავენ, საუბარი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, როგორიც არის, მაგალითად, სიკვდილით დასჯის აღდგენა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო ბურჯანაძესა და გოჩა ჯოჯუას შორის დაპირისპირება გრძელდება

ახლა საქმეს სააპელაციო სასამართლო განიხილავს.

ჯოჯუა ცდილობს, სასამართლოს გზით დაამტკიცოს, რომ ბურჯანაძემ „ქრისტიან-დემოკრატიული“ პარტია ხელში უკანონოდ ჩაიგდო. ის 2014 წლის მაისში მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს, რომლის მიხედვითაც ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს ნინო ბურჯანაძე.

ის „ქდმ“-ს თავმჯდომარეს საკუთარ თავს უწოდებს:

„ნინო ბურჯანაძეს მითვისებული აქვს არაკანონიერად, უპრინციპო და ამორალური საქციელითაც კი, ის რომ მას დღესდღეობით აქვს ის სიკეთეები, რომელიც მან მიიღო სწორედ მითვისებით, იმ ადამიანების დაუკითხავად, რომელ ადამიანებსაც ეკუთვნოდათ ეს ქონება“.

ბურჯანაძის პარტიიდან მას გიორგი ახვლედიანმა უპასუხა:

„ეს ისეთი საკითხია, რომ კომენტარის ღირსიც არ არის ეს თემა, ზოგადად. გოჩა ჯოჯუა 3 თვის წინ, აპრილში წავიდა პარტიიდან. მაშინ მიღებული იყო გადაწყვეტილება, რომ ჩვენ კოალიციურ ურთიერთობებზე უნდა დაგვეწყო მოლაპარაკება ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიულ მოძრაობასთან“. ეს იყო პარტიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება და გოჩა ჯოჯუა არასდროს ყოფილა ამ პარტიის ხელმძღვანელი. მაშინ გოჩა ჯოჯუამ თქვა, რომ ის არ იყო თანახმა და უნდოდა, პარტია კოალიციურ ურთიერთობებში შესულიყო მეორე კოალიციურ წარმონაქმნთან, რომლის ფორმირებაც მაშინ ხდებოდა“.

გოჩა ჯოჯუამ „ქდმ“-ს მაშინდელი ხელმძღვანელობის მიმართ მძიმე ბრალდებაც გააჟღერა და თქვა, რომ მათ ბურჯანაძეს პარტია მიჰყიდეს და რეალურად არანაირი ყრილობა არ ჩატარებულა:

„ლევან ვეფხვაძემ, გიორგი ახვლედიანმა და მათმა ხალხმა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ ნინო ბურჯანაძეს მიჰყიდეს იმისთვის, რომ მას კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის სიკეთეებით ესარგებლა. აზრი არავის ჰკითხეს. მთელი პარტია სამ კაცს უპირისპირდება. ჩვენ ვაპირებთ სასამართლოს გზით დავამტკიცოთ, რომ ნინო ბურჯანაძის მიერ პარტიის თავმჯდომარეობა არ შეიძლება“.

გოჩა ჯოჯუამ ნინო ბურჯანაძეს დიდი თავსატეხი გაუჩინა. გიორგი ახვლედიანი ადრე აცხადებდა, რომ ხელახალ ყრილობას ჩაატარებდნენ, თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ ყრილობის მაგივრად პარტიამ სააპელაციოს მიმართა. ახლა ისინი პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას გააპროტესტებენ - სასამართლომ არალეგიტიმურად ცნო ბურჯანაძის თავმჯდომარეობა.

ეს თემაც გამონაკლისი არ გახდა. ჯერ დიდი ხმაური ატყდა, ახლა კი ყველაფერი მიჩუმდა. ახლა ეჭვი სხვებს გაუჩნდათ, ეგებ ბურჯანაძემ ახლა ჯოჯუა მოისყიდა? საქმის ექსპერტები ამბობენ, რომ ეს კონკრეტული საქმე მინიმუმ ერთი მილიონი ღირს.

ეს ეჭვი იმიტომ გაჩნდა, რომ სასამართლო პროცესი შეიძლება მთელი წელი გაიჭიმოს და გოჩა ჯოჯუამ 2016 წლის არჩევნებში მონაწილეობა ვერც მიიღოს. თუმცა, როგორც ჩანს, ჯოჯუა ამაზე საერთოდაც არ წუხს. როგორც ამბობენ, მისთვის ამ კონკრეტულ საარჩევნო წელს მნიშვნელობა არ აქვს. მას ნინო ბურჯანაძისთვის პარტიის წართმევის შანსი არჩევნების შემდეგაც აქვს. ანუ ფულს ბურჯანაძე დახარჯავს, პარლამენტში შევა და სწორედ მაშინ, როცა გამარჯვებით ტკბობის წუთი ექნება, გოჩა ჯოჯუა მას პარტიას წაართმევს.

საქართველოში სოსო პავლიაშვილის პერსონა ნონ გრატად გამოცხადებას ითხოვენ

რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი სოსო პავლიაშვილი კვლავ საზოგადოების კრიტიკის ობიექტია. უფრო მეტიც, სოციალურ ქსელში არაერთი ადამიანი მისი პერსონა ნონ გრატად გამოცხადებას მოითხოვს. ამჯერად გაღიზიანება მომღერლის მიერ რუსეთის იმპერიასა და კავკასიის რეგიონზე გაკეთებულმა განცხადებამ გამოიწვია.

მოსკოვის „კროკუს სიტი ჰოლში“ გამართულ საიუბილეო კონცერტზე, სახელწოდებით Небо на ладони, სოსო პავლიაშვილმა სიმღერა Мой Кавказ ასე წარადგინა:

„რეგიონი, რომელსაც მე ახლა დავასახელებ, ბრილიანტია რუსეთის იმპერიის გვირგვინში და რაც უფრო გადის დრო, მით მეტად გრძნობს მთელი რუსეთი სიყვარულსა და ერთგულებას რეგიონიდან, რომელსაც ჩემი კავკასია ეწოდება“, – მიმართა მსმენელს პავლიაშვილმა, რასაც სოციალურ ქსელებში ქართველი საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც პრორუსული განცხადებების გამო მომღერალი სკანდალში ეხვევა. არცთუ დიდი ხნის წინ „კომსომოლსკაი პრავდასთან“ ინტერვიუში პავლიაშვილმა საქართველო ღიად დაადანაშაულა ომის დაწყებაში.

„საქართველოს ხელისუფლებას უთხრეს, ომი დაიწყეთო. დაიწყეს კიდეც, ვერავინ ვერაფერი ვერ თქვა სანინააღმდეგო. დაიწყო ომი და ქართველებს წყალი და პამპერსები გამოუგზავნეს. ისედაც პატარა საქართველომ კიდევ ტერიტორიები დაკარგა. ვის გამო? ავადმყოფური ამბიციების მქონე პირების გამო, ვის გამოც იტანჯება და იღუპება ხალხი... მე მიყვარს რუსეთი და მადლობელი ვარ მისი. მანახეთ, ერთი ქვეყანა მაინც, რომელიც აშშ-მ ან ევროსაბჭომ გააბედნიერა!“, – ამბობს სოსო პავლიაშვილი.

„ნაციონალური მოძრაობა“ პარტიულ ოფისს ყიდის. შენობა უკვე შეფასებულია და მისი ფასი 2,5-3 მილიონი ლარია. მთავარი ოპოზიციური პარტია თბილისის ცენტრისკენ გადმოინაცვლებს და ბინას ათონელის ქუჩაზე დაიდებს. სამსართულიანი ოფისი უკვე რემონტდება. ოფისში ნაციონალები ქირას გადაიხდიან. სოცქსელებში დაიწერა, რომ პარტიას ფინანსურად უჭირს, თუმცა, ნაციონალების ცენტრისკენ გადმონაცვლების მოტივი მოსახლეობასთან უფრო ახლოს ყოფნაა. პარტიაში ხუმრობენ, რომ მათ კოლმეურნეობის მოედანი შემთხვევით არ შეარჩიეს, რომ ვარდების რევოლუციის შემოქმედი პარტია ამჯერადაც ახლოს იქნება ვარდებთან.

კოლმეურნეობაზე ყვავილების ერთ-ერთი დიდი ბაზრობაა, სადაც ვარდებიც იყიდება.

საინტერესოა, ვინ იყიდის ნაციონალების ყოფილ ოფისს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლევან ბერძენიშვილი - „პოეზიამ თავისი ხარისხით ოდნავ გაასწრო მსოფლიო პროგრესს“

სალომე ჩადუნელი

ლევან ბერძენიშვილი უკვე მეორე წელია ლიტერატურული პრემია „საბას“ ჟიურის წევრია. ჩვენ დავუკავშირდით მას და „საბას“ რიგით მე-13 დაჯილდოების ანალიზი და შეფასება ვთხოვეთ.

- თქვენ ბევრ ქართულ ნაწარმოებს გაეცანით, რა არის ქართულ ლიტერატურაში მთავარი ხაზი, პრობლემა და ზის თუ არა ეს პრობლემა მსოფლიო გლობალურ ჭრილში? თუ ჩვენ რაიმე განსაკუთრებული გვაწუხებს?

- ლიტერატურული თვალსაზრისით ჩვენ აშკარად გამოვირჩევით, რაღაც განსაკუთრებული გვაქვს, იმიტომ რომ, ბოლო ხანებში პოეზიამ თავისი ხარისხით ოდნავ გაასწრო პროგრესს, რაც მსოფლიოში ასე არ არის. ეს ცოტა უცნაური მოვლენაა, ჩვენ უფრო ვრჩებით ერთგული მაღალი იდეალების, რაც საინტერესოა თავისთავად, გვყავს კარგი პოეტები, კარგი მწერლებიც გვყავს, მაგრამ პოეტები გამოირჩევიან.

- რაიმე განსაკუთრებული ქართული სტილი რჩება შემოქმედებაში?

- მე ვფიქრობ, რომ საქართველოში ყოველთვის ასე იყო, ჩვენი პოეზია ყოველთვის მაღლა იდგა და ეს ტრადიციაა და, ალბათ, კავშირშია ჩვენ ეროვნულ ხასიათთან, მაგრამ ამას ახლა ძალიან ღრმა ანალიზი სჭირდება.

- რითი იყო გამორჩეული ეს „საბა“ წინა წლის „საბასგან“? იყო რაიმე განსაკუთრებული აღმოჩენა თქვენთვის?

- ბრწყინვალე ნამუშევრები იყო შარშანაც და წელსაც, მაგრამ წლევანდელი დონე, მაგალითად, თარგმანში იყო უფრო მაღალი, წლევანდელი დონე პიესაში იყო უფრო დაბალი. რაც შეეხება რომანს, ის აღმოჩნდა მთავარი სიურპრიზი, იმიტომ რომ იბრძოდნენ სახელოვანი, გამოჩენილი მწერლები, „საბას“ ლაურეატები 10-20 წიგნის ავტორები და გაიმარჯვა დებიუტანტმა, რომელსაც საზოგადოება ჯერ არ იცნობს, მაგრამ აუცილებლად გაიცნობს, ორ ადგილას იბრძოდა ეს კაცი და ორივე ადგილას ჰქონდა გამარჯვების შანსი. აბო იაშაღაშვილი. ეს მისი ფსევდონიმია, საზოგადოება, ალბათ, მალე გაიგებს მის ნამდვილ სახელსა და გვარს. მინდა გითხრათ, რომ ეს აღმოჩნდა არც ისე დებიუტანტის ასაკის კაცი, უფრო მეტის, მაგრამ მარსელ პრუსტმაც გვიან დაიწყო წერა. მე მიხარია, რომ ჩვენ შევიძინეთ ბრწყინვალე მწერალი, რომელიც ჩვენს გვერდითაა და არ ვიცოდით. რომანი მართლა გამარჯვებულია, მართლა გიგანტებში.

- ყველა ელოდა, რომ წელსაც აკა მორჩილაძე გაიმარჯვებდა, იმიტომ რომ, მისი გამარჯვება თითქოს უკვე ტრადიციად იქცა...

- აკას გამარჯვების შანსი ყველა წარდგენილ ნომინაციაში ჰქონდა, თუმცა რომანში ჩვენ უპირატესობა ახალ სახელს მივანიჭეთ, იმიტომ რომ, სრულიად ახალი რამ დაგვანახვა, ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო მისი სახის დანახვაც კი. ძალიან გამიკვირდა, იმიტომ რომ, სხვა ტიპაჟს ველოდი, უფრო ახალგაზრდას, მასში არის ახალგაზრდულის და ასაკოვანის შერწყმა, ძალიან დიდი ფანტაზიის პატრონია. ამ თვალსაზრისით ქართულ ლიტერატურაში ასეთი ფანტაზიის კაცი არ ვიცი, მსოფლიო ლიტერატურაში ვიცი ერთი ორი კაცი, რომელსაც ფანტაზიაში ასეთი გაქანება აქვს.

- პიესებიდან, რადგან არავინ დაჯილდოვდა ე.ი. რაიმე მნიშვნელოვანი ჩავარდნაა ამ მიმართულებით?

- ხანდახან ხდება ასეთი რამ, სხვა დროს ყოფილა სხვა ჟანრში, შეიძლებოდა პიესებში გამარჯვებულის გამოვლენა, მაგრამ მივხვდით, რომ იმდენად დავაკლებდით სხვას, რომ პიესისთვის არმინიჭება უფრო მეტი სტიმული უნდა იყოს, უკეთესად რომ დაგვიწერონ მომავალში. ისინი არ დაგვეთანხმებიან, რა თქმა უნდა.

2015 წლის ლიტერატ

სალომე ჩადუნელი

ლიტერატურული პრემია „საბას“ 2015 წლის ლაურეატების ვინაობა უკვე ცნობილია. ხუთკაციანმა ჟიურიმ, 10 გამარჯვებული გამოავლინა. ლაურეატებს „საბას“ სიმბოლური ჯილდო და 44 000 ლარის ოდენობის პრემია გადაეცათ. წლის საუკეთესო რომანის ტიტული ერგო აბო იაშაღაშვილს წიგნისთვის „როიალ მერი“, ხოლო პრემია „საბა“ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის პოეტ ბესიკ ხარანაულს გადაეცა. 2016 წელს კონკურსს ახალი ნომინაცია - წლის საუკეთესო ელექტრონული წიგნი დაემატება.

7 სექტემბერს, საღამოს 10 საათზე, ივანე მუხრანბატონის სასახლეში, ქართული თანამედროვე მწერლობის წარმომადგენლები და მათი შემოქმედების კრიტიკული შემფასებლები - მკითხველები, პრემია „საბას“ რიგით მე-13 დაჯილდოებაზე შეიკრიბნენ. ტრადიციულად, პრემია „საბას“ ჟიურის წევრების ვინაობაც მხოლოდ დაჯილდოების დღეს გახდა ცნობილი. ხუთკაციანმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: ლევან ბერძენიშვილი, ზურაბ კიკნაძე, ზვიად რატიანი, ქეთი ქანთარია და დათო ტურაშვილი, 9 ნომინაციის გამარჯვებულები დასახელა.

კონკურსზე წარდგენილი 340 წიგნიდან ფინალურ ეტაპზე 46 საუკეთესო მოხვდა. კონკურსის აღმოჩენად აქამდე უცნობი მწერალი აბო იაშაღაშვილი დასახელდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ აბო მისი ფსევდონიმია, თუმცა ავტორი ნამდვილი სახელისა და გვარის გამხელას ჯერჯერობით არ აპირებს. აბო იაშაღაშვილი გამარჯვებისთვის ორ ნომინაციაში: საუკეთესო რომანსა და წლის დებიუტში იბრძოდა. საინტერესოა, რომ მისმა პირველმა ნაშრომმა დებიუტანტების კატეგორიაში, სახელწოდებით „ოსმალური მარში“, გამარჯვება ვერ მოიპოვა, თუმცა ყველაზე ცნობილ მწერლებსა და „საბას“ არაერთგზის მფლობელებს შორის შეძლო და წიგნ „როიალ-მერით“ წლის საუკეთესო რომანის კატეგორიაში გამარჯვება მოიპოვა.

გამარჯვებული, რომელსაც ჟიურის ნევრებმა წლის აღმოჩენა უწოდეს, ცოტას საუბრობს, სამაგიეროდ კარგად წერს, პრემია „საბას“ ფლობას მკითხველის წინაშე დიდ პასუხისმგებლობად აფასებს და უფრო მეტი რომანის დაწერას აპირებს.

აბო იაშაღაშვილი:

- ძალიან მოულოდნელი იყო. რასაკვირველია, დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. მეგონა, რომ აკა მორჩილაძე გაიმარჯვებდა და მას ვგულშემატკივრობდი, კიდევ ვმუშაობ სხვა წიგნებზეც. ნაიკითხეთ ჩემი წიგნი და თავად შეაფასეთ იმსახურებდა თუ არა გამარჯვებას.

პრემია „საბა“ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ქართველ მწერლებს ყოველწლიურად აჯილდოებს. 2015 წელს, ეს ტიტული ცნობილ პოეტს, ბესიკ ხარანაულს ერგო. პოეტის თქმით, გამარჯვება სტიმულია იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტი წეროს.

ბესიკ ხარანაული:

- მოულოდნელი იყო ჩემთვის, იმიტომ რომ, ასაკი უხდება ამისთანა ჯილდოს, რომელშიც ჯერ მე არ ვარ. ასეთი ღვაწლის ჯილდო დამთავრებული ამბავია. ამ მხრივ ღვაწლი არ მაწყობს. ერთადერთი ჯილდოა ხომ ხედავთ, რომელიც საერთოდ სახალხო ზეიმად არის ქცეული. სხვათა შორის ძალიან კარგი ჟიური იყო, ძალიან ობიექტური და ნამდვილი ლიტერატორები არიან.

პრემია „საბას“ რიგით მე-13 დაჯილდოება სიურპრიზებით იყო სავსე. წელს, წლის საუკეთესო პიესის ნომინაციაში გამარჯვებული არ გამოვლინდა და ჟიურის გადაწყვეტილებით ნომინაციაში: წლის საუკეთესო თარგმანი ორი გამარჯვებული დასახელდა: ლელა დუმბაძე ვირჯინია ვულფის „გზა შუქურისკენ“ თარგმნისთვის, ხოლო ხათუნა ცხადაძე, უმბერტო ეკოს „პრაღის სასაფლაოსთვის“. სამადლობელი სიტყვის წარმოთქმისას ჟიურის წევრის ქეთი ქანთარიასა და გამარჯვებული მთარგმნელების მხრიდან საყვედურებიც გაისმა. მათ მოუწოდეს ხელისუფლებას და საზოგადოებას მთარგმნელების შრომა დაფასონ.

ლელა დუმბაძის თარგმანები კონკურსში მეორედ წარადგინეს, ამბობს, რომ გამარჯვებას ვირჯინია ვულფისგან ელოდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ურული პრემია „საბას“ აღმოჩენა

ჟიურის მოულოდნელი გადაწყვეტილებები

ლელა დუმბაძე:

- ეს იყო მეორე შემთხვევა, როდესაც წარმადგინეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემი ორი თარგმანი იყო წარდგენილი. სოულ ბელოუს არაჩვეულებრივი რომანი „ჰენდელსონი წვიმის მეფე“ და ვირჯინია ვულფის „გზა შუქურისკენ“. რადგან ეს ორი თარგმანი ერთად იყო, რა თქმა უნდა, გამარჯვებას ვირჯინიასგან უფრო ველოდებოდი. იმიტომ რომ, მხატვრული თვალსაზრისით არაჩვეულებრივი ნაწარმოებია, პოეტურიც. პოეზია პროზაში, ასე ვამბობ ხოლმე. ვუსურვებ გამდიდრებას გამომცემლობებს და ჩვენს თავს უფრო მეტ ჰონორარებს, თორემ ისე მთარგმნელის შრომა სრულიად დაუფასებელია. კითხულობს ადამიანი ლიტერატურას და ავიწყდება, რომ შუამავალი მსოფლიო ლიტერატურასა და ადგილობრივს შორის არის მთარგმნელი.

პრემია „საბას“ დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ მაყურებელს ახალი ინიციატივა გააცნო. წერე ქართულად, არის კამპანია, რომელსაც თი-ბი-სი ბანკი იწყებს და რომლის მიზანი ქართული მწერლობის ჯეროვნად დაფასება და შენარჩუნებაა. მამუკა ხაზარაძის განცხადებით სიმბოლურია, რომ მუხრანბატონების სასახლე, იქ, სადაც მრავალი წლის წინ მე-19 საუკუნის მწერალთა ელიტა იკრიბებოდა, თანამედროვე ქართველ მწერლებსა და ხელოვანებს დღეს ისევ იბრუნებს და სთავაზობს იკინიატივას - წერე ქართულად.

მამუკა ხაზარაძე:

- ჩავატარეთ შატო მუხრანში და ამით კარი გავუხსენით ფართო საზოგადოებას, მწერლებს, ხელოვან ხალხს და გვინდა ვაჩვენოთ, რომ ეს კარები მათთვის სულ ღია იქნება. აქ უამრავი მსგავსი ღონისძიება ჩატარდება, რომელიც ქართულ კულტურას გაამაგრებს და კიდევ ის ინიციატივა, რომელიც ამბობს წერე ქართულად. წერე ქართულად არის უმნიშვნელოვანესი ინიციატივა, რამეთუ თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა დავიცვათ ის უნიკალური, რაც ჩვენმა წინაპარმა მოგვიტანა, ეს არის ქართული ენა და ქართული ანბანი.

პრემია „საბას“ დაჯილდოების ცერემონიას მსახიობი ნინო კასრაძე და მწერალი რატი ამაღლობელი უძღვებოდნენ.

რატი ამაღლობელის განცხადებით, ახლა მთავარია ქართველმა მკითხველმა დაიჭიროს ფინალში გასული 46 წიგნი და თავად გამოუტანოს ვერდიქტი, როგორც დაჯილდოების ობიექტურობას, ისე ქართულ თანამედროვე მწერლობას.

რატი ამაღლობელი:

- მთავარი ვერდიქტის გამომტანი არის ქართველი მკითხველი, იმიტომ ვაკეთებთ ყველაფერ ამას, რომ ეს წიგნები ქართველ მკითხველამდე მივიდეს, რათა პირდაპირი ეთერით მოვახდინოთ პროვოცირება იმისა, რომ ქართველი მკითხველი დაუბრუნდეს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, შეეხოს მას, მთავარი აზრის, ამბის და ვერდიქტის გამომტანი არის ქართველი მკითხველი და „საბას“ მიზანიც სწორედ ეს არის.

საბოლოოდ, პრემია „საბას“ 2015 წლის ლაურეატების სია ასეთია:

წლის საუკეთესო რომანი - აბო იაშაღაშვილი, „როიალ-მერი“(დიოგენე);

წლის საუკეთესო თარგმანი - ლელა დუმბაძე, ვირჯინია ვულფის „გზა შუქურისკენ“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა);

წლის საუკეთესო თარგმანი - ხათუნა ცხადაძე, უმბერტო ეკოს „პრაღის სასაფლაო“(დიოგენე);

წლის საუკეთესო პროზაული კრებული - გოგი ჩაგელიშვილი, „მხატვარი“ (ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“);

წლის საუკეთესო პოეტური კრებული - პაატა შამუგია, „შიზოგადოება“ (ინტელექტი);

წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი - გიორგი ნიკლაური, პიტერ აკროიდის „ლონდონი“ (აზრი);

წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა - ირაკლი მახარაძე, „დიადი მუნჯი - ქართული მუნჯი კინოს ისტორია“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა);

წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა - მალხაზ ხარბედია, „ტექსტი და სიმართლე“ (აზრი);

ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანი - კრისტიანე ლიხტენფელდი, ოთარ ჭილაძის რომანის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ გერმანულ ენაზე თარგმანისთვის;

პრემია „საბა“ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის - ბესიკ ხარანაული.

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა“ 2003 წელს დაფუძნდა. პრემიის მიზანი გასული ერთი წლის ლიტერატურული პროცესების შეფასება და წლის საუკეთესო წიგნებისა და ავტორების გამოვლენაა.

პრემიაზე „საბა“ განიხილება გასულ წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული, პიესა), უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი, ასევე ლიტერატურული კრიტიკის და დოკუმენტური პროზის ნიმუშები.

გამარჯვებულ ავტორებს, სპეციალურ პრიზთან ერთად, გადაეცემათ ფულადი პრემიები. საპრემიო ფონდი 44 ათას ლარს შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს თიბისი ბანკი გადასცემს.

კონკურსის ჟიური 5 წევრისგან შედგება. ჟიურის შემადგენლობა ყოველწლიურად იცვლება და მასში შედიან ის მწერლები და ლიტერატორები, რომელთა ნაწარმოებიც ამ წელს საკონკურსოდ არ განიხილება. ჟიურის არ ჰყავს თავმჯდომარე. გამარჯვებულის გამოვლენა ხდება დახურული კენჭისყრით, მინიმუმ 3 ხმის მიღების შედეგად.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოპოზიც

„ქართული ოცნება“ საკადრო ცვლილებებს გეგმავს



არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მმართველ კოალიციაში ვითარება იძაბება. ფაქტობრივად, „ქართული ოცნების“ შიგნით ვითარება ძალიან ჰგავს „მოქალაქეთა კავშირისას“ – ესეც ჭრელია თავისი შემადგენლობით, განსხვავებულია მენტალობით და თითქმის შეუთავსებელია ხედვებით. მოკლედ, სააკაშვილის წინააღმდეგ ერთ ბრძოლაში გავიდნენ. ახლა მათ ერთმანეთთან აღარაფერი აკავშირებთ და ხშირად ღიად აკრიტიკებენ ერთმანეთს.

ყველაზე მძიმე ვითარება მაინც რეგიონებშია. შიდა დაპირისპირებები მმართველ კოალიციას იმდენად ასუსტებს, რომ მას საკრებულოების დონეზე სერიოზული პრობლემები ექმნება.

სენაკში, მაგალითად, საკრებულოს თავმჯდომარე თვითონვე გააიმპიჩმენტეს.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის განმარტებით:

„სენაკში პარტიული კუთხით იყო კონკრეტული სირთულე და ამის შედეგი იყო საკრებულოს თავმჯდომარის იმპიჩმენტი. რაიონების მიხედვით არის განსხვავებული სიტუაციები. ათამდე რაიონია, სადაც უფრო მეტად იკვეთება აზრთა სხვადასხვაობა. რაიონების ჩამოთვლისგან თავს შევიკავებ“.

სენაკისგან განსხვავებით, გორში ოპოზიცია ცდილობს, საკრებულოს თავმჯდომარის გაიმპიჩმენტებას.

არჩევნებთან ერთად, მმართველი კოალიციის მთავარი პარტია „ქართული ოცნება“ საკადრო ცვლილებებს გეგმავს.

ირაკლი კობახიძე: „ჩვენ ყველა რაიონში ძლიერები ვართ. ამიტომ გაძლიერების კუთხით საკადრო ცვლილებების საჭიროება არ დგას. საკადრო ცვლილებები ჩვენს სიძლიერე-სისუსტესთან არანაირ კავშირში არ არის. იგივე სენაკი და გორი რომ ავიღოთ, ორივე რაიონში „ქართული ოცნების“ პოზიციები საკმაოდ ძლიერია. მყარი უმრავლესობის კუთხით რამდენიმე რაიონში არის პრობლემა. ეს ნიშნავს, რომ კოალიცია 50%-ზე მეტ ხმას ვერ ფლობს, მაგრამ პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით სხვა პარტიებთან თანამშრომლობა მიმდინარეობს და გადაწყვეტილებების მიღება ხდება.

მაგალითად, ოზურგეთში, კოალიციურად მყარი უმრავლესობა ჩამოყალიბებული არ არის, თუმცა, ვითარება მართვადია, იმ კუთხით, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობა შეუფერხებლად მიმდინარეობს. ეს არის მთავარი.

უმრავლესობის საკითხიც არ არის პირდაპირ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებული. ცალკეული ცვლილებები გამორიცხული არ არის, მუნიციპალიტეტი ცოცხალი ორგანიზმია და გარკვეული მიზეზების გამო შეიძლება ცვლილების საჭიროება იყოს, თუმცა ტენდენციის წარმოქმნა გამორიცხულია. ჩვენთვის ამ ეტაპზე მთლიანად პარტიისა და საოლქო ორგანიზაციების გაძლიერებაა მთავარი და ამაზე აქტიურად ვმუშაობთ. ჩვენ მომავალ არჩევნებში მაქსიმალურ და მაღალ შედეგს დავდებთ. მუნიციპალიტეტებში საკადრო გადაადგილებები კი არჩევნების მზადებასთან არანაირ კავშირში არ არის“.

„ეს ჩემი პირადი აზრია, რადგან მიშას პროგნოზირება არასოდეს არ არის შესაძლებელი. თუ საქართველო სააკაშვილს პრემიერ-მინისტრის პოსტს შესთავაზებს, ის დაბრუნდება“

„ექსპერტების განმარტებით, თუ ვითარება სოციალური კუთხით დამძიმდება, ან რევოლუცია მოხდება ან სახელმწიფო გადატრიალება“

ქეთი ხატიაშვილი

სააკაშვილის გარემოცვაში უკვე ოფიციალურად ითქვა, რომ ოდესის გუბერნატორი 2016 წლის არჩევნებით დაინტერესებულია. უკრაინული მედიით გავრცელდა ოდესის გუბერნატორის პირველი მოადგილის, ვლადიმერ ჟმაკის მცირე ინტერვიუ, სადაც ის ექსპრეზიდენტის პოლიტიკურ გეგმებზე საუბრობს:

„ჟურნალისტის შეკითხვაზე – დიდი ხნით მივიდა თუ არა სააკაშვილის გუნდი ოდესაში და რა არის მათი საბოლოო მიზანი? ჟმაკი შემდეგს პასუხობს: სულ მცირე, შემდეგი წლის ბოლომდე.

– 2016 წლის ბოლომდე?

– კი. 2016 წლის ოქტომბერში საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ტარდება.

– სააკაშვილს სურს არჩევნებში მონაწილეობა?

– მისი პოლიტიკური პარტია მიიღებს მონაწილეობას. ის სიდიდით მეორე პოლიტიკური ძალაა საქართველოში. ივანიშვილის მმართველო ბლოკი კარგავს პოპულარობასა და მხარდაჭერას. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგის ინდიკატორი იზრდება. ის, სავარაუდოდ, პარლამენტში უმრავლესობას მიიღებს. რადგან საქართველო საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, ჩამოაყალიბებენ რა საპარლამენტო უმრავლესობას, ისინი შეძლებენ, დანიშნონ პრემიერ-მინისტრი. ეს პროცესები რაღაც დროს წაიღებს. თუ საქართველო მიშას პრემიერის რანგში დაუძახებს, ვფიქრობ, ის დაბრუნდება. ის ხშირად საუბრობს იმაზე, რომ დარჩა ბევრი არარეალიზებული ისეთი რამ, რის გაკეთებაც მას საქართველოში სურდა. რის გაკეთებაც ვერ მოასწრეს. ისინი თავის დროზე ძალიან თვითდაჯერებული იყვნენ, ზედმეტად თვითდაჯერებული იმაში, რომ მათ გამარჯვება ჯიბეში ჰქონდათ. ისინი მოდუნდნენ და ამიტომაც წააგეს არჩევნები. თუმცა სხვაობა ძალიან მცირე იყო. ახლა, ოღონდ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ჩემი პირადი აზრია, რადგან მიშას პროგნოზირება არასოდეს არ არის შესაძლებელი, თუ საქართველო სააკაშვილს პრემიერ-მინისტრის პოსტს შესთავაზებს, ის დაბრუნდება“, – აცხადებს ვლადიმერ ჟმაკი.

საქართველოში კი ოპოზიცია მასშტაბური აქციებისთვის ემზადება. მათივე განმარტებით, ქუჩის აქციები აქტიურ ფაზაში ოქტომბერში შევა. სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების ლიდერები აცხადებენ, რომ ყველაფერი მაშინ დაიწყება, როცა ისინი საარჩევნო სისტემის შეცვლის მოთხოვნით 200 ათას ხელმოწერას შეაგროვებენ, თუმცა პარლამენტში მის გატანას ვერ მოახერხებენ.

სოციალური ფონი საკმაოდ იძაბება – ლარის კურსი, რთველი კახეთში, ფასების მატება... ოპოზიცია, რა თქმა უნდა, ამ განწყობებს გამოიყენებს. ვითარება ისეთია, ან ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს, ან ოპოზიცია არჩევნებს მოიგებს.

სააკაშვილის გარდა, ოპოზიციაში ლიდერი არ ჩანს. მის გარემოცვაში საქართველოში მის დაბრუნებაზეც აქტიურად საუბრობენ. ფაქტობრივად, თუკი ხელისუფლება სისუსტეს გამოიჩენს, მაშინ ექსპრეზიდენტი დაბრუნდება და ვერტიკალის სისუსტისა და უუნარობის დემონსტრირებას საზღვარზე დემონსტრაციულად შემოსვლით მოახდენს.

ექსპერტების განმარტებით, თუ ვითარება სოციალური კუთხით დამძიმდება, ან რევოლუცია მოხდება ან სახელმწიფო გადატრიალება, პოლიტიკური პროცესები ქუჩაში აუცილებლად გადაინაცვლებს.

ასე რომ, ხელისუფლება სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. მან კრიზისების მართვის უნარიც უნდა გამოიჩინოს და სოციალური მინებიც გააუვნებელყოს.

მეორე მხრივ, ბევრი რამ არის დამოკიდებული ოპოზიციაზეც. ქუჩის აქციების ექსპერტების განმარტებით, მთავარია, ოპოზიციამ ორგანიზებულობა მოახერხოს. თუმცა, სააკაშვილის გუნდს ამის გამოცდილება აქვს.

თუმცა, როგორც პირადი საუბრებიდან ირკვევა, ერთიან სამოქმედო გეგმაზე ისინი ჩამოყალიბებულნი ჯერ არ არიან. თუმცა, ყველას ესმის, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ხალხს ქუჩაში ვერ გამოიყვანს. ამიტომაც, როგორც თავად ამბობენ, ყველაფერი საარჩევნო სისტემით დაიწყება და საბოლოოდ მთავრობის გადაყენების მოთხოვნაში გადაიზრდება.

აქციას ქუჩის პროცესების, შეიძლება ითქვას, პროფესიონალებიც კი უერთდებიან. ისინი წლების განმავლობაში იდგნენ ქუჩაში ჯერ შევარდნაძის წინააღმდეგ, შემდეგ სააკაშვილის, ახლა წინ ივანიშვილია. ქართული პოლიტიკა მოჯადოებული წრიდან ამიტომაც ვერ გამოდის. თუმცა ეს სულ სხვა ისტორიაა.

საინტერესოა, რომ ქუჩის აქციების პროცესში ნინო ბურჯანაძე არ ჩაერთვება. თავის დროზე ის რადიკალური მეთოდებითაც კი გამოირჩეოდა. სირცხვილის კორიდორები და მიშას ერთ დღეში დასრულების ილუზია სწორედ მისი სამარკო ნიშანია. ახლა მის პარტიაში აცხადებენ, რომ მას გაცილებით უფრო საინტერესო გეგმები აქვს.

ქუჩაში 10-მდე პარტია გავა. მათ შორის, ბევრი ფიქრობს, რომ მეტი შთაბეჭდილებისთვის რუსთაველი უბრალოდ კი არ უნდა გადაიკეტოს, იქ კარვებიც უნდა დაიდგას.

აქციის მოლოდინში მყოფი ოპოზიცია რატომღაც ერთხმად აცხადებს, რომ დღევანდელი პოლიტიკური პროცესები ძალიან ჰგავს 2007 წელს. ელოდებიან, რომ მოვლენებიც სწორედ ამ მიმართულებით განვითარდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔ ᲐᲠ ᲩᲐᲔᲠᲗᲕᲔᲑᲐ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲝᲓᲐ“

„ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲙᲔᲢᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲨᲚᲘᲡ ᲘᲓᲔᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ“

ᲒᲐᲓᲐᲙᲔᲢᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ, ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲙᲐᲠᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲙᲝᲛᲞᲠᲝᲛᲔᲢᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲚᲘᲞᲔᲑᲘ

ანუ ხელისუფლება მათ დაარბევს, შემდეგ გადადგება და ახალი არჩევნები დაინიშნება. ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლება ახლა იმავე შეცდომას უშვებს, რაც მაშინ ნაციონალებმა დაუშვეს – ოპოზიციას საერთოდ აიგნორებს და მის მოთხოვნებს არ ითვალისწინებს.

თუმცა, ვალერი გელბახიანი, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის უახლოეს გარემოცვაში იყო და შტაბსაც ხელმძღვანელობდა, ამბობს, რომ პარალელების გავლება ნაადრევია. მისი განმარტებით, ბადრი მაშინ ლიდერი იყო, ხოლო ოპოზიცია – ერთიანი. ახლა კი არც ლიდერია და არც ერთიანობა.

ვალერი გელბახიანი, იურისტი, ექსპერტი:

– არ ჰგავს დღევანდელი ვითარება მაშინდელ მდგომარეობას. მაგრამ ამავე დროს ისეთი პროცესებია მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით, რომ გამორიცხული არაფერია. მაშინ უფრო პოლიტიკური კრიზისი იყო, ახლა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისია. ვითარება შეიძლება დაემსგავსოს, თუ უკმაყოფილო მასები გაჩნდება... მაგრამ მაშინ ხელისუფლების შესაცვლელად მოტივაცია უფრო მაღალი იყო. მთლად იდენტური ვითარება არ უნდა იყოს. თუმცა შეიძლება, პროცესებმა სიმძაფრე შეიძინოს. უბრალოდ, ის მოტივირებული იქნება არა პოლიტიკით, არამედ სოციალური სიდუხჭირით...

– ოპოზიციის გეგმებზე იცით რამე?

– ჭორის დონეზე ვიცი, რომ აქციებს აპირებენ. მთავარია, ხალხი გაჰყვეთ... ამას იდეოლოგიური ფონის შექმნა უნდა. ხალხი უნდა დაარწმუნო, რომ ქუჩაში გასვლით მათ პრობლემებს ეშველება. თუ არის ასეთი რესურსები, თუ ორგანიზება მოახერხეს, შეიძლება რაღაც გამოვიდეს, თუ ვერა და სურვილი სურვილად დარჩება. ნიადაგი არსებობს, რამდენად მზად იქნება ოპოზიცია, ეს მათ რესურსებსა და ორგანიზებულობაზეა დამოკიდებული. საკონსტიტუციო ცვლილებების გამო ხალხი ქუჩაში არ გამოვა. ერთადერთი მოწოდების საფუძველი, სისტემის შეცვლა და სოციალური ვითარების გამოსწორებაა. ხალხს ცხოვრება გაუძვირდა მოხმარების საგნებზეც და კომუნალურებზეც. ამ მოტივით ხალხის ქუჩაში გამოსვლა შეიძლება, განსაკუთრებით თბილისში. დღეს ნაციონალებს რესურსი აქვთ, თუმცა სხვა არც ერთ პარტიასთან არ თანამშრომლობენ, არა ჰყავთ შემკვრელი ლიდერი... შეიძლება, მათი ინტერესები დღეს კი ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ, შეუთავსებლობის გამო, ერთიანობა გამორიცხულია...

რუსთაველის გადაკეტვისა და კარვების გაშლის იდეის გარდა, ოპოზიცია აგრესიული სარეკლამო კამპანიის წარმოებასაც გეგმავს.

ნაციონალები საგარეჯოსა და მესტიაში შუალედურ არჩევნებში არ მონაწილეობენ, თუმცა, მათ უკვე განაცხადეს, რომ სარეკლამო დროის გამოყენებას აპირებენ. სარეკლამო დროში კი საგანგებოდ დამზადებული ვიდეოკლიპების გაშვება იგეგმება. ეს კლიპები ხელისუფლებისა და ოპოზიციის კომპრომატებზე იქნება აგებული.

ასე რომ, დაპირისპირება დაძაბულ და თითქოს საბედისწერო ფაზაშიც კი შედის.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

Global Gethering

„რაც გვქონდა დასახული, იმას თითქმის ასი პროცენტით მივაღწიეთ“

„რეკორდი მოიხსნა, ოცდახუთი ათასამდე მსმენელი იყო ფესტივალის ტერიტორიაზე“

მუსიკალური ზეიმი რუსთავში

ლაშა ზარანდია

საქართველომ მსოფლიო მასშტაბის მუსიკალურ ფესტივალს Global Gethering-ს უმასპინძლა. მსოფლიო დონის შემსრულებლები, მუსიკალური ჟანრების მრავალფეროვნება და მსმენელთა დიდი რაოდენობა, შეიძლება ითქვას, რომ ფესტივალმა წარმატებით ჩაიარა.

2015 წლის 11 სექტემბერს, „ბრავო რექორდსის“ ორგანიზებით, ქალაქ რუსთავში, მოტოპარკის ტერიტორიაზე ჩატარდა მსოფლიო მასშტაბის მუსიკალური ფესტივალი Global Gethering. ფესტივალზე წარმოდგენილი იყვნენ, როგორც ქართველი ასევე უცხოელი შემსრულებლები, მათ შორის მსოფლიოში განთქმული ელექტრონული მუსიკის გურუდ წოდებული Fatboy Slim. ასევე Kryder, Evol Waves, Tom Staar, Kevin Sounderson და სხვები. ფესტივალზე ქართველმა შემსრულებლებმაც მიიღეს მონაწილეობა, ნინა სუბლატი, ლევან მასპინძელაშვილი, ალეკო ბერძენიშვილი Vako Key, Lasha, Gio Shengelia, Zurkin. მსგავსი მასშტაბის მუსიკალური ფესტივალებით არ არის განებივრებული ქართველი მსმენელი, შეიძლება ითქვას, რომ საღამომ მუსიკალური ზეიმის სახე მიიღო და ყველაფერმა ისე ჩაიარა, როგორც მსმენელები ისურვებდნენ. როგორც ტექნიკურად, ასევე ორგანიზების მხრივ ყველაფერი იდეალურად იყო მოწყობილი. გათვალისწინებული იყო მსმენელთა გემოვნება და ფესტივალის ტერიტორიაზე ორი სცენა მოეწყო, სადაც სხვადასხვა მიმდინარეობის ელექტრონული მუსიკა ჟღერდა. მსგავსი მასშტაბის ფესტივალი, თან უფასო დასწრება, შეიძლება ითქვას, ძალიან დიდი საჩუქარი გაუკეთა „ბრავო რექორდსმა“ ქართველ და არა მარტო ქართველ მსმენელს.

Prime Time ესაუბრა „ბრავო რექორდსის“ პრეზიდენტ ზაზა შენგელიას:

- მთლიანობაში ძალიან ბედნიერები ვართ ყველანი, რაც გვქონდა დასახული იმას თითქმის ასი პროცენტით მივაღწიეთ, რაც საქართველოში ძალიან იშვიათად ხდება და „ბრავო რექორდსმა“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უმაღლესი სტანდარტებით მომუშავე კომპანიაა. ჩვენ შემოვიყვანეთ საქართველოში ბრიტანული, ერთ-ერთი უდიდესი ფესტივალი და ამით ქართველ მსმენელს უდიდესი საჩუქარი გავუკეთეთ. „ბრავო რექორდსი“ გაერთიანდა Global Gethering-ის მსოფლიო ოჯახში, ეს არის ქვეყნები სადაც ჩატარებულა და სამომავლოდ იგეგმება ჩატარება. გუშინ გამართულ ფესტივალს იაპონიის დელეგაცია ესწრებოდა, რომლებიც საქართველოს მერე ყიდულობენ ამ უდიდესი ფესტივალის ლიცენზიას და პირდაპირ შეიძლია გითხრათ, რომ ისინი აღფრთოვანებულები იყვნენ ფესტივალის ხარისხით. ფესტივალი გამოირჩეოდა უმაღლესი დონის გახმოვანებით, განათებით - ლაზერ შოუ, განათება, დიზაინი და ნებისმიერი საორგანიზაციო საკითხი, რა თქმა უნდა, გვირგვინი და ამ ფესტივალის უმთავრესი საჩუქარია ქართველი მსმენელისთვის Fatboy Slim, რომლის მასშტაბის ელექტრონული მუსიკის შემსრულებელი საქართველოს არ ახსოვს, ასევე სხვა დიჯეები და შემსრულებლები, რომლებმაც ჯამში შექმნეს ის, რაც 11 სექტემბერს იხილა ქართველმა და არა მარტო ქართველმა მსმენელმა. ასევე, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ფესტივალზე რეკორდი მოიხსნა, ოცდახუთიათასამდე მსმენელი იყო ფესტივალის ტერიტორიაზე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დასწრება თავისუფალი იყო, მაგრამ მსგავსი რაოდენობის მსმენელი არც ერთ ფესტივალს არ ახსოვს საქართველოში. ჩვენ ათიანზე ჩავაბარეთ გამოცდა, რომელიც დაგვისახა Global Gethering-ის ბრიტანულმა შემოქმედებითმა ჯგუფმა. ამაში ძალიან დაგვეხმარა უკრაინული მხარე, ისინი უკვე რვა წელია ატარებენ ამ ფესტივალს და გამოცდილება ნამდვილად აქვთ. ვიმედოვნებ, რომ მხარდაჭერა იქნება სამთავრობო სტრუქტურებიდან, ასევე კერძო კომპანიებიდან და სამომავლოდაც ჩავატარებთ მსგავსი მასშტაბის ფესტივალს, რაც ნამდვილად სჭირდება ქართველ მსმენელს.

რაც შეეხება მსმენელებს, მათი უმეტესობა აღფრთოვანებას ვერ მალავდა:

- ეს იყო მუსიკალური ზეიმის საღამო, ცხოვრებაში პირველად ვარ მსგავს ფესტივალზე და ვფიქრობ, რომ ხშირად უნდა ჩატარდეს ასეთი ფესტივალები. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ქართველი ახალგაზრდობის გემოვნების ჩამოყალიბებას. მე ვფიქრობ, რომ დღევანდელი საღამო, ჩემს ცხოვრებაში განუმეორებელია, რისთვისაც ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ორგანიზატორებს.

ქართველი შემსრულებლების გამოჩენამაც აღაფრთოვანა მსმენელი, მათი ორიგინალური ნომერი ძალიან საინტერესოდ ჟღერდა. ეს იყო მუსიკალური სინთეზი, სრულიად სხვა მიმართულების შემსრულებლების მიერ ნამღერი ელექტრონული მუსიკის ფონზე.

Prime Time ესაუბრა ფესტივალის მონაწილეს, ლევან მასპინძელაშვილს:

- მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟანრში, როგორც წესი, არ ვმღერი, ეს იყო მუსიკის ზეიმი, საღამო, როდესაც თავი სადღაც სხვაგან, სხვა სამყაროში ვიგრძენი. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ის შრომა, რაც „ბრავო რექორდსმა“ ამ ფესტივალში ჩადო, რეალიზდა და აისახა ამ საღამოს. თავში მხოლოდ ერთი სიტყვა მიტრიალებს, ეს არის ზეიმი, ზეიმი, რომელიც ამ მასშტაბებით პირველად ვნახე საქართველოში, ამდენი ბედნიერი სახე, სრულიად დადებითი ემოციები და მსმენელთა სიმრავლე. მე ვფიქრობ, რომ ეს საღამო შედგა!

მსმენელთა შორის იმყოფებოდა ერთ-ერთი საუკეთესო ქართული მუსიკალური ჯგუფის - Loud Speakers-ის სოლისტი ლევან ცხვარაძე, მან ჩვენთან საუბარში განაცხადა:

- ძალიან გახარებული ვარ, რომ ეს ფესტივალი ჩატარდა რუსთავში, ჩემი აზრით, აუცილებელია, რომ თბილისის გარდა სხვა ქალაქებშიც განვითარდეს მუსიკალური ინდუსტრია და ორგანიზატორებს მადლობას ვუხდი რუსთავის შერჩევისთვის. რაც შეეხება Global Gethering-ს ეს არის უმაღლესი დონის, მსოფლიოში ცნობილი მუსიკალური ფესტივალი და ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში ჩატარდა. სიამოვნებით მივიღებდით მონაწილეობას, ელექტრონული მუსიკის ფესტივალებზე მონაწილეობის გამოცდილება მივიღეთ წელს, ანაკლიაში Gem Fest-ზე. ჩემი აზრით, საჭიროა მსგავსი ფესტივალები ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა ქალაქებში ჩატარდეს, რაც ნამდვილად სჭირდება ქართველ ახალგაზრდობას. ისინი ბევრად აქტიურები გახდებიან და პირდაპირ რომ გითხრათ, ჩაერთვებიან მსოფლიო მუსიკალურ დუღილში. აქ არა მარტო Fatboy Slim, არამედ სხვა მსოფლიო დონის მუსიკოსები მონაწილეობენ და ეს ყველაფერი ძალიან დიდი საჩუქარია ქართველი მსმენელისთვის.

Global Gethering ეს არის მსოფლიო მასშტაბის ელექტრონული მუსიკის ფესტივალი, რომელიც ბრიტანეთში დაარსდა და წლებია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ტარდება. საქართველო ამ დიდი მუსიკალური ოჯახის ნევრი „ბრავო რექორდსის“ ძალისხმევით გახდა და 11 სექტემბერს, ქალაქ რუსთავში ნამდვილი მუსიკალური ზეიმი აჩუქა ქართველ მსმენელს. იმედია, ეს არ იქნება უკანასკნელი მსგავსი დონის ფესტივალი, რომელსაც საქართველოს არაერთი ქალაქი უმასპინძლებს და მსმენელს ჩართავს მსოფლიო მუსიკალურ სამყაროში.

„ეს იყო მუსიკის ზეიმი, საღამო, როდესაც თავი ვიგრძენი სადღაც სხვაგან, სხვა სამყაროში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



ᲤᲝᲢᲝ: ᲗᲘᲜᲐ ᲗᲣᲗᲘᲡᲐᲜᲘ

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

სახალხო დამცველის გამოხმაურება „პრაიმტაიმის“ სტატიაზე

ნინო გაბინაშვილი

„პრაიმტაიმის“ წინა ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით - „შვიდი წლის შემდეგ შეცვლილი ჩვენება“, სადაც საუბარია 2008 წელს მომხდარ გაუპატიურების ფაქტზე. აღმოჩნდა, რომ პატიმარ შალვა შალიკაშვილის საქმეში ახალი გარემოება იკვეთება. გოგონა, რომელზეც 7 წლის წინ მოხდა ძალადობა, ჩვენებას ცვლის და ამბობს, რომ 2008 წელს ცრუ ჩვენება მისცა შალიკაშვილის წინააღმდეგ. ხელახალი გამოძიების მოთხოვნით პატიმრის ადვოკატმა ვახტანგ გაგნიძემ ფოთის პროკურატურას არაერთხელ მიმართა. საქმე კი წინ არ მიდის. ადვოკატმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მიმართა სახალხო დამცველის აპარატსაც, თუმცა უშედეგოდ.

„უჩა ნანუაშვილი გააოცა საქმის მასალებმა, თუმცა ამის შემდეგ რამდენჯერ მივმართე სახალხო დამცველის აპარატს, მაგრამ ვერ შევხვდი მას. სამწუხაროა, რომ დღეს სახალხო დამცველის აპარატი დაემსგავსა საჩივრების რეესტრს. ამ საქმის მიმართ უყურადღებობა ნიშნავს გაამართლო ის ქმედებები რასაც სააკაშვილის ხელისუფლება ახორციელებდა“, - განაცხადა გაგნიძემ.

სწორედ ამ სტატიას გამოეხმაურა სახალხო დამცველი. ომბუდსმენის აპარატმა რედაქციას სპეციალური განცხადება გადმოუგზავნა, სადაც აღნიშნულია, რომ ამ საკითხის გამოძიება ევალება სასამართლოს.

„საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ადვოკატმა წარმოადგინა დამოუკიდებელი ექსპერტიზის ცენტრის „ვექტორის“ მიერ 2014 წლის 22 იანვრის კომისიური სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც წინააღმდეგობაშია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს იმერეთის რეგიონული სამსახურის 2008 წლის #405 დასკვნასთან.

2014 წლის 6 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, მოცემულ საქმეში დაზარალებულ მ.ს.-ს განცხადებაზე (დაზარალებულის განმარტებით, შ.შ.-ს მსჯავრდებას საფუძვლად დაედო მისი ცრუ დასმენა და ცრუ ჩვენების მიცემა, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ იგი მცირეწლოვნობის გამო ვერ აცნობიერებდა ქმედების შედეგებს) სამართლებრივი რეაგირების განხორციელების მიზნით, წერილით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და დაზარალებულის და მისი ადვოკატის განცხადებებთან დაკავშირებით საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა მოითხოვა.



სახალხო დამცველი: „აღნიშნული საკითხის გამოძიება ევალება სასამართლოს, რომლის კანონიერი უფლებაცაა ეს“

ვახტანგ გაგნიძე: „დღეს სახალხო დამცველის აპარატი დაემსგავსა საჩივრების რეესტრს. ამ საქმის მიმართ უყურადღებობა ნიშნავს გაამართლო ის ქმედებები რასაც სააკაშვილის ხელისუფლება ახორციელებდა“

2014 წლის 21 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან წერილობით აცნობეს, რომ ფოთის რაიონულ პროკურატურაში განიხილეს მსჯავრდებულ შ.შ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე შეტანილი იდენტური შინაარსის არაერთი განცხადება, რომელსაც გაეცა წერილობითი პასუხი...

2014 წლის 9 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წერილით ადვოკატ ვახტანგ გაგნიძეს ეცნობა დასაბუთებული პასუხი:

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებას არ წარმოადგენს მტკიცებულებების შეფასება, ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, პირის დამნაშავეობის/უდანაშაულობის საკითხის დადგენა, განაჩენის შეცვლა, გაუქმება ან გადასინჯვა.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებას არ წარმოადგენს მტკიცებულებების შეფასება, ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, პირის დამნაშავეობის/ უდანაშაულობის საკითხის დადგენა, განაჩენის შეცვლა, გაუქმება ან გადასინჯვა...“

სისხლისსამართლებრივი დევნისა და განაჩენის გამოტანისას, შ.შ.-ს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის საფუძვლის არარსებობას არ გამორიცხავს დაზარალებულ მ.ს.-ს მიერ 2014 წელს შეცვლილი ჩვენება, ასევე, 2014 წელს ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა, რადგან 2008 წელს, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, ასევე, განაჩენის გამოტანისას, აღნიშნული გარემოებები პროცესის მწარმოებელი ორგანოსთვის და სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო.

განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით დაცვის მხარემ უკვე მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს. ადვოკატს განემარტა, რომ აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტები: დაზარალებულ მ.ს.-ს განცხადება, ასევე, დამოუკიდებელი ექსპერტიზის ცენტრის „ვექტორის“ მიერ 2014 წლის 22 იანვრის კომისიური სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, უნდა შეაფასოს სასამართლომ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, როგორც ახალი ფაქტი ან მტკიცებულება.

ადვოკატს ასევე განემარტა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი შ.შ.-ს მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის შედეგად იკვეთება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მტკიცებულებების შეფასების საკითხი, რაც უნდა განახორციელოს მხოლოდ სასამართლომ კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის გამოტანის შედეგად“,- აღნიშნულია განცხადებაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამაზ მეჭიაური: „ეტყობა, სოსო ცისკარიშვილს კარგად არ გადაუხადეს და გაბრაზებულია“



რას გეგმავს სკანდალური დეპუტატი და როგორ აპირებს პარლამენტში მოხვედრას?

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

ზუსტად ერთი წელი და... ქვეყანა კვლავ ყველაზე ცხელი პოლიტიკური პროცესის წინაშე აღმოჩნდება. თუმცა, რაც უფრო იკლებს დრო არჩევნებამდე, პოლიტიკური ტემპერატურის ზრდასთან ერთად, იზრდება კონფლიქტები, აგრესია, ფეხის დადება, მუშტის მოღერება, შეგინება, ტალახი, ინტრიგა... რაღა თქმა უნდა, ვსაუბრობთ პოლიტიკურ ველზე განვითარებულ მოსალოდნელ პროცესებზე... ამ დროს ყველაზე კარგად მუშაობს „პიარი“ და „ანტიპიარი“. თუმცა უამრავია ისეთი ფიგურანტიც, რომელსაც ასეთი ტექნოლოგიების ჩართვა სულაც არ სჭირდება თავისი პოლიტიკური ბედის გადასაწყვეტად...

ამ პროცესებში უკანასკნელი დროის გამოკვეთილი „გმირი“ (ვისთვის კი „ანტიგმირი“) აღმოჩნდა დეპუტატი, რომლის აქტიურობა დიდად არ ყოფილა თვალშისაცემი აქამდე, მით უმეტეს, რომ მას სხვა დროიდანაც მოჰყვებოდა დეპუტატობის გამოცდილება...

„პრაიმტაიმის“ ამ სტატიის რესპონდენტი თამაზ მეჭიაურია, რომელმაც ბოლო დროის პოლიტიკურ ბატალიებში თავი განსაკუთრებულად „მეტოქეების“ შერჩევით გაითქვა. ერთი მხრივ, საქართველოს პრეზიდენტზე, მეორე მხრივ კი, რესპუბლიკელებზე შეტევამ მის გარშემო ეჭვების კორიანტელი ააგორა. ზოგიერთი ექსპერტისთვის, ცნობილი კანონპროექტის ავტორობა, რომლის მიხედვითაც ეროვნულ ბანკს უნდა გამოეყოს ბანკებზე ზედამხედველობის სამსახური, მოგვიანებით კი ამ კანონპროექტზე ვეტოს გამო მარგველაშვილისთვის უხეში თავდასხმა საკმარისი აღმოჩნდა ეჭვისთვის, რომ თამაზ მეჭიაურის ლტოლვა დაენახა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სავარძლისკენ...

დეპუტატის ირგვლივ დაგროვებულ კითხვებს „პრაიმტაიმთან“ დღეს თამაზ მეჭიაური თავად უპასუხებს:

– რას ნიშნავს თქვენი განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ, რაც მეტად გლანძღავენ „რესპუბლიკელები“, მით მეტად გლოცავთ ხალხი?

– ამ თემაზე აღარ მინდა საუბარი... მორატორიუმი მაქვს გამოცხადებული... ვისაც რა უნდა, ის იფიქროს...

– თუმცა კოალიციის ამ ფრთის მისამართით გაკეთებული უხეში განცხადებებით მხოლოდ თქვენ არ გამოირჩევით „ქართულ ოცნებაში“. ხომ არ არის ეს ღია განაცხადი „ოცნების“ „რესპუბლიკელებთან გამიჯვნის შესახებ?

– არ ვარ იმ მასშტაბის პოლიტიკოსი, რომ ჩემს ნათქვამზე დაიწყოს რღვევა კოალიციაში. მე ყოველთვის მაქვს ჩემი აზრი, რომელიც არასდროსაა ვინმესთან შეთანხმებული. ასე რომ, ეს იყო აბსოლუტურად ჩემი პოზიცია და გუნდი აქ არაფერ შუაშია...

– თუმცა, თქვენდა უნებურად ხომ არ გაამჟღავნეთ ტენდენცია, თუნდაც გუნდის კულუარებიდან? ისედაც ჟონავს მსგავსი ინფორმაციები...

– მე არაფერი ვიცი...

– არადა, სულ ცოტა ხნის წინ კანონპროექტზე, რომელიც მოგვიანებით პრეზიდენტთან დაპირისპირების საგანი გახდა, თქვენ რესპუბლიკელ ებანოიძესთან ერთად იმუშავეთ... შესაბამისად, სრული მხარდაჭერაც გქონდათ რესპუბლიკელებისგან...

– რაკი მივიღეთ მხარდაჭერა, ე.ი. წინააღმდეგობა არ გვქონია...



– მერე რა მოხდა? მით უმეტეს, გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ რესპუბლიკელები თქვენს კანდიდატურას მხარს დაუჭერდნენ საბანკო ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე...

– მსგავსი არც სურვილი მქონია და არც საუბარი ყოფილა ამის თაობაზე... ეს იმ განცხადებას ჰგავს, ჩემთვის აქამდე პატივცემულმა სოსო ცისკარიშვილმა რომ თქვა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტობა უნდაო... მაპატიეთ, მაგრამ ასეთი იდიოტიზმი როგორ შეიძლებოდა მოსვლოდა ვინმეს თავში? სურვილიც რომ მქონდეს, პრეზიდენტი შეიძლება გახდეს მხოლოდ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი... წევრებს კი პარლამენტში წარადგენს საქართველოს პრეზიდენტი... თუნდაც ჩემი გამონათქვამების გამო, მარგველაშვილი არასდროს განმიხილავს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად. ეტყობა, ბატონ ექსპერტს არ გადაუხადეს კარგად და განაწყენდა...

– რას გულისხმობთ?

– არაფერს...

– ასეთი სკანდალების მერე თქვენს თავს მომავალ პარლამენტში ხედავთ?

– მე ჩემი თავი განხილულიც მყავს და ნანახიც – უმუშევარიც, პატიმარიც, პარლამენტის წევრიც, აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც... ასე რომ, არაფერს გამოვრიცხავ მომავალში. წინასწარ არაფერი ვიცი...

– არადა ვრცელდება ინფორმაცია, რომ ახალ სიაში ძველი შემადგენლობიდან მაქსიმუმ სამი კაცი შეიძლება შევიდეს. თქვენი განცხადებების შემდეგ, რამაც გუნდი არაერთხელ ჩააგდო უხერხულ სიტუაციაში, ფიქრობთ, რომ ამ სამ კაცში მოიაზრებით?

– დეპუტატობისთვის სიაში მოხვედრა არ არის აუცილებელი.

– ანუ მაჟორიტარობას გეგმავთ?

– ვერაფერს გეტყვით. თუმცა ამის გამოცდილებაც მაქვს.

– და მაინც... შეგიძლიათ, დაადასტუროთ ინფორმაცია კოალიციის შესაძლო დაშლის თაობაზე?

– ვერაფერს დავადასტურებ. უბრალოდ, ვისურვებდი, რომ მომავალში, თუ მაინცდამაინც მოითხოვს აუცილებლობა კოალიციის არსებობას, სჯობს, უფრო დაახლოებული პოლიტიკური პოზიციის ძალებმა მოიყარონ ერთად თავი. ისე კი, უმჯობესია, არჩევნებში ყველა პოლიტიკურმა ძალამ თვითონ მოსინჯოს საკუთარი ძალები.

„ცისკარიშვილმა თქვა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტობა უნდაო... მაპატიეთ, მაგრამ ასეთი იდიოტიზმი როგორ შეიძლებოდა მოსვლოდა ვინმეს თავში?“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მის პლანეტა“ 20

„ჟიურის წევრები, მას მერე, რაც ავუხსენი რას ნიშნავს ჩვენთვის, ქართველებისთვის, ოჯახი, ამბობენ, რომ გვარს გადაიკეთებენ და „სემიაშვილები“ გახდებიან“

ირინა პაპაზოვა: „მომავალ ზაფხულს უკვე დაიგეგმა საქართველოში „მის მსოფლიო ტურიზმის“ ჩატარება. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტჯერ ვესტუმრო ამ ლამაზ ქვეყანას, ლამაზ ხალხს და დავტკბე თქვენი ულამაზესი ბუნებით“

„ძალიან ამაყი ვარ, რომ სწორედ მე წარვადგენ ამ კონკურსზე საქართველოს. როგორი შედეგითაც არ უნდა დამთავრდეს დღევანდელი ფინალი, მე ვიქნები ბედნიერი, ბედნიერი იმით, რომ ამდენი მეგობარი გავიჩინე, რომ ასეთ პრესტიჟულ კონკურსში მივიღე მონაწილეობა და ბედნიერი იმით, რომ ჩემი ოცნება ახდა“

my View
ნინო მჭედლიშვილი

12 სექტემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მსოფლიო მასშტაბის სილამაზის კონკურსი „მის პლანეტა 2015“ გაიმართა. უპრეცედენტო კონკურსის ორგანიზატორი სამოდელო სააგენტო „კარტინის“ ხელმძღვანელი, ეკა მგალობლიშვილი გახლდათ.

6 სექტემბერს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოს 26 ლამაზმანი ესტუმრა. ამავე საღამოს მისებს რესტორანმა „ჭაშნაგირმა“ უმასპინძლა, ეს იყო გაცნობითი ხასიათის ვახშამი, სადაც ჟიურის წევრებმა და კონკურსანტებმა ერთმანეთი უკეთ გაიცნეს. ამავე საღამოზე გოგონებმა ქართული ნაციონალური ცეკვები ნახეს და უგემრიელესი ქართული კერძები დააგემოვნეს. 7 სექტემბერს კონკურსის მონაწილე ოცდაექვსივე გოგოს „პრაიმტაიმმა“ უმასპინძლა. სწორედ ჩვენი პრესკლუბის საშუალებით გაიგო საქართველომ, რომ ჩვენს ქვეყანას მეტად პატივსაცემი სტუმრები ჰყავდა.

26 მისის და მათი წარმომადგენლების, უცხოელი ჟიურის წევრების მთავარი მასპინძელი კაჭრეთის „ამბასადორი“ გახლდათ. 8 სექტემბერს სწორედ ამ ულამაზეს სასტუმროკომპლექსში დაბინავდნენ გოგონები. „პრაიმტაიმს“, როგორც კონკურსის მხარდამჭერს, საშუალება ჰქონდა მათთან ერთად 4 ულამაზესი დღე გაეტარებინა. პროგრამა სასიამოვნოდ დატვირთული იყო. რეპეტიციები, მზადება სხვადასხვა ტურისთვის...

ეკა მგალობლიშვილი: „ამაყი და ბედნიერი ვარ ამ დღეებით. მე საქართველო შევაყვარე 26 მისსა და მათი ქვეყნების დელეგაციას“

პირველი ტური „ამბასადორის“ ულამაზს აუზზე 9 სექტემბერს მოეწყო, გოგონები საცურაო კოსტიუმებით წარადგენენ ჟიურის წინაშე. 10 სექტემბერს გოგონებს შეხვედრა ჰქონდათ მთავრობის წევრებთან. საღამოს კი კახეთის ულამაზეს სოფელ აფენში, რესტორან „ჰერეთში“ გადავინაცვლეთ. კახელებმა რესტორნის შესასვლელში ადგილობრივი სამზარეულოთი გააკვირვეს გოგონები. უკრაინის წარმომადგენელს, იქ მაცხოვრებელი უკრაინელები განსაკუთრებული სიყვარულით შეხვდნენ. ადგილობრივებმა ლამაზმანებს ჩურჩხელა თავისი ხელით ამოავლებინეს.

რუსეთი „მის ტალანტის“ კონკურსიდან მოხსნეს. საქმე ის გახლავთ, რომ კონკურსანტმა დამსხვრეულ შუშაზე გავლა ვერ შეძლო, თუმცა, ეს ნომერი თავად აირჩია

სწორედ კახეთის ამ ულამაზეს მხარეში გაიმართა შემდეგი ტური - ტალანტ შოუ. გოგონებმა იმღერეს, იცეკვეს, დახატეს, გამოძერწეს, ერთი მსახიობის თეატრი მოაწყვეს. ალბათ, არ გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ ამ ტურში საქართველომ ქართული ცეკვა აჩვენა მაყურებელს. თელავის ქორეოგრაფიული ანსამბლის „ლომისი“-ს ბიჭების დახმარებით თიკო ბაბლუანმა „ყაზბეგური“ შეასრულა და მაყურებელთა ოვაციები დაიმსახურა.

„მის პლანეტა 1015“-ის ფინალი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგა. კონკურსანტები, საცურაო კოსტიუმში, მომღერალ მარკუს მეტრეველის სიმღერის ფონზე პარტერიდან სცენაზე ავიდნენ. 26 ქვეყნის ლამაზმანი 3 ლუქით წარსგდა მაყურებლის წინაშე: საცურაო კოსტიუმით, ნაციონალური სამოსითა და საღამოს კაბე-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

15 საქართველოში

EXCLUSIVE

ბით. მანამ სანამ გამარჯვებული გამოვლინდებოდა, კონკურსის ორგანიზატორს საქართველოში ეკა მგალობლიშვილს გავესაუბრეთ.

ეკა მგალობლიშვილი:

- ამაყი და ბედნიერი ვარ ამ დღეებით. მე საქართველო შევაყვარე 26 მისსა და მათი ქვეყნების დელეგაციას. ყველა ცალსახად აღნიშნავს, რომ თითოეული დღე, რომელიც საქართველოში გაატარეს, დაუვიწყარი იქნება მათთვის. უკრაინის წარმომადგენელმა მითხრა, ასეთ მაგარ კონკურსზე ნამყოფი არ ვარ, თუმცა ბევრ კონკურსში მიმიღია მონაწილეობაო. ოცდაექვსივე ქვეყნის კონკურსანტი დედას მეძახის. ჟიურის წევრები, მას მერე, რაც ავუხსენი რას ნიშნავს ჩვენთვის, ქართველებისთვის, ოჯახი, ამბობენ, რომ გვარს გადაიკეთებენ და „სემიაშვილები“ გახდებიან. ძალიან მოეწონათ ჩვენი ქვეყანა. მგონი მალე მოქალაქეობასაც მოითხოვენ (იცინის).

- ეკა, ლიდერები უკვე გამოიკვეთნენ, ხომ არ გაქვს შენი ვარაუდი, ვინ გახდება გამარჯვებული.

- არა, ჩემო კარგო, ეს მხოლოდ ჟიურის გადასაწყვეტია. ასე რომ, დაველოდოთ შედეგებს.

ირინა პაპაზოვა (საერთაშორისო კონკურსის „მის პლანეტის“ პრეზიდენტი):

- ასეთი სტუმართმოყვარე ქვეყანა და ერი არსად მინახავს. ეკას ვეუბნებოდი, შემდეგ წელსაც აქ ჩავატაროთ „მის პლანეტა“-მეთქი. მომავალ ზაფხულს უკვე დაიგეგმა საქართველოში „მის მსოფლიო ტურიზმის“ ჩატარება. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტჯერ ვესტუმრო ამ ლამაზ ქვეყანას, ლამაზ ხალხს და დავტკბე თქვენი ულამაზესი ბუნებით.

თიკო ბაბლუანი:

- ძალიან ამაყი ვარ, რომ სწორედ მე წარვადგენ ამ კონკურსზე საქართველოს. როგორი შედეგითაც არ უნდა დამთავრდეს დღევანდელი ფინალი, მე ვიქნები ბედნიერი, ბედნიერი იმით, რომ ამდენი მეგობარი გავიჩინე, რომ ასეთ პრესტიჟულ კონკურსში მივიღე მონაწილეობა და ბედნიერი იმით, რომ ჩემი ოცნება ახდა. ბავშვობაში ხშირად ვოცნებობდი, ლამაზ კაბებზე, მაღალ ქუსლებზე, პოდიუმზე. იმის გამო, რომ ჩემი ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა, სამოდელო საქმიანობაზე მხოლოდ ოცნება თუ შემეძლო. დედა მიკერავდა კაბებს და ამითიც კმაყოფილი ვიყავი. ეკა მგალობლიშვილი ჩემი მეორე დედაა. მან აღმომაჩინა ჩემს რაიონში და წამომიყვანა „კატრინში“. მასთან ვცხოვრობდი და დავდიოდი სამოდელო სააგენტოში. ეკას დამსახურებაა ის, რომ მე დღეს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩემი ქვეყანა მგულმშემატკივრობს.

თიკო ბაბლუანი: „იმის გამო, რომ ჩემი ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა, სამოდელო საქმიანობაზე მხოლოდ ოცნება თუ შემეძლო. დედა მიკერავდა კაბებს და ამითაც კმაყოფილი ვიყავი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბაზარზე ფალსიფიცირ

მალხაზ დოლიძე: „დღეს რომ წერენ, პური საფუარის გარეშეა - უსაფუარო პური სინამდვილეში არ არსებობს“

გიორგი ურუშაძე

პურს ყოველდღე მივირთმევთ, თუმცა მის შემადგენლობას და ეტიკეტს იშვიათად თუ ვაკვირდებით. გამოშვების თარიღი, ვარგისიანობის ვადა და პურის ფქვილის ხარისხი, ეს ის მაჩვენებლებია, რომლის მითითება ეტიკეტზე ყველა ჩვენგანის ინტერესებში უნდა იყოს. სწორედ ამიტომ, რძის პროდუქტების შემდეგ იქმნება ტექნიკური რეგლამენტი, რომლის მიხედვითაც სავალდებულო გახდება პურის შეფუთვაზე ან სპეციალურ ფურცელჩანართში მითითებული იყოს, თუ რომელი ხარისხის ფქვილისგან არის გამომცხვარი პური.

რეგლამენტის ამოქმედება იანვრიდან იგეგმება და ამ პროცესში ჩართულები არიან, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პურპროდუქტებისა და მეხორბლეთა ასოციაცია.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში განმარტავენ, რომ შესაბამისი გადაწყვეტილება დამტკიცებული არ არის, რადგანაც რეგლამენტი ჯერ დამუშავების პროცესშია და შესაბამისი ვალდებულება მეწარმეებს ჯერ არ აკისრიათ.

პურპროდუქტების ასოციაციის ხელმძღვანელი მალხაზ დოლიძეც განმარტავს, რომ ის პურის რეგლამენტის დამუშავების პროცესში ჩართულია და პურის შეფუთვის ვალდებულებაზე ჯერჯერობით საუბარი არ არის.

მალხაზ დოლიძე:

- ლაპარაკია პურის ტექნიკურ რეგლამენტზე, რომელიც ითვალისწინებს, როგორც შეფუთული პურის წარმოებას, ასევე შეუფუთავი პურის წარმოებას. ეს არის მთელი მსოფლიოს სტანდარტი, რადგანაც ზაფხულობით, პირქით, რეკომენდებულია, რომ არ შეიფუთოს პური, რადგანაც ეს ხელს უწყობს პურის დაავადების გავრცელებას.

რაც შეეხება ეტიკეტირებას, მალხაზ დოლიძის თქმით, პროდუქციის ნაწილზე ეტიკეტი იქნება შეფუთვაზე, ნაწილში კი გამოყენებული იქნება ფურცელჩანართი, რომელიც პურის კონკრეტული პარტიის ფაქტურასთან ერთად იქნება წარმოდგენილი და რომელშიც დეტალურად იქნება განერილი პურის შემადგენლობა.

მალხაზ დოლიძე: - ფაქტურასთან ერთად იქნება წარმოდგენილი ფურცელჩანართი, როგორც პასპორტი. თუ პურში იქნება დამანატები, ეს აღნიშნული უნდა იყოს ამ ფურცელზე. თუ არ აღინიშნება, ჩაითვლება დარღვევად. მაგალითად, დღეს რომ წერენ, რომ პური არ შეიცავს შაქარს ან რომ წერენ, რომ პური არის საფუარის გარეშე - უსაფუარო პური სინამდვილეში არ არსებობს. არის შემთხვევები, როდესაც ნაკლები რაოდენობით არის გამოყენებული, ან დამჟავებული ცომით არის გამომცხვარი, რომელიც ასევე საფუარით მზადდება. არასწორი ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობა მეწარმეს აღარ ექნება.

ოლი ზოზიაშვილი: „განსხვავებას ვერ იპოვი, ისეა მიმსგავსებული. ეს პურები გაყალბებულია“

მისივე თქმით, ეს ცვლილებები არ შეეხება ტრადიციულ ქართულ პურს, რომელიც ძირითადად საოჯახო ბიზნესს წარმოადგენს და ე.წ. „გარაჟებში“ ცხვება.

მალხაზ დოლიძე:

- აღნიშნული ცვლილებები არ შეეხება ქართულ ტრადიციულ პურს, საუბარია შოთსა და ლავაშზე, რომელიც ძირითადად „გარაჟებში“ ცხვება. ქართულ პურს კულტურული და ეროვნული ღირებულებითი დატვირთვა აქვს და მასზე ცალკე მუშაობაა საჭირო.

ამ ახალი ინიციატივის ფონზე საინტერესოა, რამდენად იცავდნენ პურის კომპანიები აღნიშნულ სტანდარტებს და როგორია, ყველაზე მსხვილი პურის მწარმოებლების პოლიტიკა. „ლიტვურ საცხობსა“ და „იფქლში“ აცხადებენ, რომ ინიციატივა მისასალმებელია და მათი კომპანიები ისედაც, ყველა სტანდარტის დაცვით მოქმედებდნენ.

ლიტვური საცხობის წარმომადგენელი, ოლი ზოზიაშვილი:

- ლიტვური საცხობი ყველა სტანდარტს იცავს და ამით ზრუნავს საკუთარი მომხმარებლების ინტერესებზე. ჩვენს ყველა სახეობის პურზე დატანილია, თუ რისგან შედგება პროდუქტი და რამდენია მისი ვარგისიანობის ვადა. სწორედ აქედან გამომდინაროებს, რომ მომხმარებელი ჩვენი კომპანიის მიმართ ლოიალურადაა განწყობილი და გვენდობა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეზული პური გამოჩნდა

უსაფრთხოა თუ არა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტი?

EXCLUSIVE

კომპანია „იფქლის“ წარმომადგენელი, ხატია ოძელაშვილი:

- კომპანია „იფქლში“ მივესალმებით ყველა ინიციატივას, რომელიც ინდუსტრიის წინსვლას და გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. როგორც მედიიდან შევიტყვეთ, ახალ რეგლამენტში საუბარია პურეულის შეფუთვასა და ეტიკეტირებაზე. ჩვენი პროდუქციის შეფუთვაზე დაახლოებით 2010 წლიდან ვზრუნავთ. საკონდიტრო ნაწარმს კი უკვე 2 წელია ვფუთავთ. რაც შეეხება ეტიკეტირებას, ჩვენს ყველა პროდუქტს აქვს ეტიკეტი, რომელზეც მითითებულია პროდუქტის სრული შემადგენლობა. მასში კი დეტალურადაა ჩამოთვლილი პროდუქტის თვითოეული ინგრედიენტი.

თუმცა, როგორც „ლიტვური საცხობის“ წარმომადგენელი ოლი ზოზიაშვილი ამბობს, ბაზარზე გამოჩნდა რამდენიმე კომპანია, რომელიც რიგ შემთხვევებში იდენტური ვიზუალის მქონე პურს უშვებს. მათ შორის კი, კომპანია „იფქლიცაა“, თუმცა ამაზე ოდნავ ქვემოთ.

ერთ-ერთი ასეთი კომპანია შპს „ბაისოა“, რომელიც ქალაქ ბათუმში ზუსტად ლიტვური საცხობის ანალოგ პურებს აწარმოებს და ამით, მომხმარებელი შეცდომაში შეჰყავს.

ლიტვური საცხობის წარმომადგენელი, ოლი ზოზიაშვილი:

- განსხვავებას ვერ იპოვი, ისეა მიმსგავსებული. ეს პურები გაყალბებულია და ჯერჯერობით მხოლოდ ბათუმში იყიდება.

გაზეთი „პრაიმტაიმი“ შპს „ბაიოსაც“ დაუკავშირდა, თუმცა კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნულ თემაზე კომენტარის გაკეთებას თავი აარიდეს და ჩვენი მოშორება გულუბრყვილო მეთოდებით სცადეს.

პირველ ზარზე, კომპანიის წარმომადგენელმა ბადრი ბოლქვაძემ მიპასუხა. თუმცა, მას შემდეგ, რაც კითხვა მოისმინა, ტელეფონი სხვას გადააწოდა. იმ სხვამ კი ასეთი პასუხი გამცა:

- უფროსები არ არიან ახლა, ამ წუთას, მე სმენის უფროსი ვარ. ერთი ორი დღის დაწყებული მაქვს მუშაობა. ვინც მასწავლის ხოლმე, ის გასულია და როცა მოვა ვეტყვი, რომ დაგიკავშირდეთ. პირველი ვისაც ესაუბრეთ ბადრი ბოლქვაძე იყო, მასაც არ აქვს ინფორმაცია.

შემდეგმა ზარმაც უშედეგოდ ჩაიარა:

შპს „ბაიოს“ წარმომადგენელი:

„უფროსები არ არიან და მათ დაუკავშირდით“ , - მითხრეს და ამ ფრაზის შემდეგ ტელეფონი გამითიშეს. განმეორებით ზარებზე აღარ უპასუხიათ.

„პრაიმტაიმმა“ სპეციალური ფოტოებიც მოიპოვა, სადაც კარგად იკვეთება ორი სხვადასხვა კომპანიის პურების ვიზუალური იდენტობა.

გარდა, კომპანია „ბაიოსი“, ლიტვური საცხობის მსგავს პურებს, კომპანია „იფქლიც“ უშვებს. პურის სახელწოდებებში განსხვავება მხოლოდ ასოებშია - „ლიტვური პური“ და „ლატვიური პური“. მიმსგავსებული შეფუთვა და სახელწოდება შეიძლება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის საფუძველი გახდეს, თუმცა კომპანია „იფქლში“ აცხადებენ, რომ ერთადერთი, რაც ამ ორ პურს საერთო აქვს, მუქი შეფერილობაა, რომელიც ჭვავის პურისთვის ისედაც დამახასიათებელია.

ხატია ოძელაშვილი:

- 2005 წლიდან ბალტიისპირეთიდან ჩამოგვაქვს ჭვავის ფქვილი, ჭვავის პურის საწარმოებლად, რომელიც მომხმარებელს მოსწონს თავისი გემოვნური თვისებების გამო და წარმოების ხარისხით. ჩვენს პროდუქციას ყოველთვის ამშვენებს ჩვენი ლოგო, ჩვენი შეფუთვის ფერები და დიზაინი არის განსხვავებული, ერთადერთი - ჭვავის პური არის ყველა სხვა ჭვავის პურივით მუქი შეფერილობის.

ასე რომ, ქართული პურის ბაზარი ცვლილებების მოლოდინშია. ფაქტია, რიგ კომპანიებს ჯერ კიდევ აქვთ საშუალება „ოსტატური“ გზებით მომხმარებლები შეცდომაში შეიყვანონ და ამით, მოგებაზე გავიდნენ. რა მოხდება ახალი ტექნიკური რეგულაციების შემდეგ და მოგვარდება თუ არა ზემოთ აღნიშნული ყველა პრობლემა, ამას დრო გვიჩვენებს. მანამდე კი, კარგად დააკვირდით პურის ეტიკეტსა და შეფუთვას, რათა დარწმუნდეთ ყიდულობთ თუ არა სასურველი კომპანიის, სასურველ პურს.

რა ცვლილებებს მოიტანს ახალი ტექნიკური რეგულაციები ქართული პურის ბაზარზე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N36 (337) ორშაბათი, 14 სექტემბერი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

2015 წლის ლიტერატურული პრემია „საბას“ აღმოჩენა და ჟიურის მოულოდნელი გადაწყვეტილებები

„როცა ამ თემაზე დავიწყე ლაპარაკი, პირდაპირ მითხრეს, შენგან მსახიობი არასდროს გამოვაო“

მაკა შალიკაშვილის ცხოვრებისეული გამოცდილება

exclusive

„რაც გვქონდა დასახული, იმას თითქმის ასი პროცენტით მივაღწიეთ“ exclusive

Global Gethering

მუსიკალური ზეიმი რუსთავში

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

არ გასინჯო!! საშიში და მავნებელია exclusive

„ეს იყო ჩვეულებრივი ჯოჯოხეთი, სიკვდილის ზღვარზე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება